


Ա Մ Պ



ՀՅՈՒՐԱԳԱՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ ԿԱՐԵՎՈՅ ՀԱՌԱՋՈ № 1 (72)  
ՊԱՊԵՐԱԳՐԱԿԱՐԱԳՐԱՊԱՆԱԳՐԱՊԱՆԱԳՐԱ  
2025



ՁՐԾՎԱ ՀԱՌԵՎՈՅ ՀԱՌԱՋՈ

# ოლე

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა  
The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

## მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა  
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი  
სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი  
ერეკლე II-ის გამზირი №6  
III სართული  
მობ: 555 46 44 29  
მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთი“  
მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით  
E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა  
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge) — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“  
ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მერიის (მერი ბატონი ლევან ანდონიშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ მთვარელიშვილი) მხარდაჭერით.

დაიხსნა გამომცემლობა „მერიდიანი“

გარეკანის პირველი გვერდზე შოთა რუსთაველი და  
კოსმოსი. მხატვარი რეზო ადამია



№172, 2025

ი ტ ი  
ი ტ ი



გამოსაქმინებული სამთხვევი სამსახური



სამსახური სამთხვევი სამსახური სამსახური



## შიდაარსი

### ვარისაზი

2. აკაკი დაუშვილი. რუსთაველის თვალები  
– „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროში შესაღწევი  
კარიბჭე

3. რეზო ადამია. „ვეფხისტყაოსანი“ ზნეობრივ  
სიბრძნისეული აღმზრდელობითი გენიაა

შურნალ „ოლეს“ ავტორთა დაჯილდოვება

8. ნერე ქამუკაშვილი. გილოცავთ,  
გილოცავთ, გილოცავთ!...

დიალოგური ნოველები

9. გიორგი გოგოლაშვილი, თამაზ ხეალაპა.  
„თამადა სუფრის ჯავარია“, მამის მკერდივით  
საიმედო კავკასიონი

მხატვრული ლიტერატურა

17. კახაპარ პავლიშვილი. ლექსები

21. ზურაბ არსენიშვილი. პაპაშვილიშვილობა.  
მოთხოვის

25. ანა მაროვალი. ლექსები

27. თამაზ კოლალიშვილი. ლექსები

30. პავალ შანიძე. ლექსები

32. მარიამ ქამუკაშვილი. დავიბადე. მოთხოვის

41. ანი ჭავაშვილი. ლექსები

დეპიუტი

42. შოთა ქავთარაპა. ლექსები

ძრისტიანული პოეზია

44. გადრი სულაპა. ლექსები

პოეტის ერთი ლექსი

48. აკაკი ბიძინაშვილი. ოდესმე...

49. ვაჟა მიროტაპა. არყოფნის კართან

თარგმანი

50. ქორქ გოგოლე ბაირონი. ლექსები

კრიტიკა-კუპლიცისტიკა

54. ნინო დარბასისელი. ნელი ტანგო –

პროზიდან პოეზიაში

57. გიორგი ზურიტაშვილი. ვისრამიანის  
სამიჯნურო თავისებურებანი

60. თათია თოდუა. ეკონომიკური  
კონცეპტები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში  
რეპლიკა

62. ნერე ქამუკაშვილი. დასანარი შეცდომები

კულტურული ცხოვრების ძრონიკა

63. სერგო ასლანიშვილის დაბადების  
დღისადმი მიძღვნილი გამოფენა

1



ოლე, №1 2025



### რუსთაველის თვალები – სამყაროში შესაღწევი კარიბჭე

რუსთაველის მარადიულად არსებული თვალები სამყაროსეული სრულყოფილების ნანილია და ისლა დაგვრჩენია მათ მზერა გავუსწოროთ, კარიბჭე შევხსნათ და იქ დავანებული სიბრძნე ვიხილოთ. ამაში კი დაგვეხმარება სამყაროსეული გამოცდილების შემგრძნები და წამყითხველი მხატვარი რეზო ადამია, რომელმაც მოიხელთა და დაგვიხატა გერიოსის ყოვლისმხედველი თვალი, თვალი რომელმაც იხილა კოსმოსური აირებისა და მტკრისგან როგორ წარმოიშვა დედამიწა, როგორ ჩაისახა სიცოცხლე.

რა წარმოუდგენელი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ განიცადო და გაითავისო გენიალური პოეტის სამყარო და დახატო შოთას თვალები – სარკე პოეტის სულისა, რათა საუკუნეების სიღრმეებში ჩავალნიოთ და ჩავწვდეთ მათ იდუმალებას.

შოთა რუსთაველის გარეგნობა ჩვენში ჩამოყალიბდა განსაკუთრებით სერგო ქობულაძის და მოსე თოიძის პორტრეტებით. ასევე კოტე მერაბიშვილის ქანდაკებით და იაკობ ნიკოლაძის ბარელიეფით. რეზო ადამია არღვევს ამ სტერეოტიპს, თანაც ისე რომ მის ყოველ ახალ პორტრეტზე შოთა რუსთაველის სახე და თვალები განსხვავებულია. შოთა მართალია ქართველი პოეტია, მაგრამ იმდენად კაცობრიული მნიშვნელობისაა არ გამიკვირდება, რომ მომავალში დახატულ ახალ პორტრეტებს შორის სხვადასხვა კანის ფერის, რასისა და რელიგიის გამომხატველი პორტრეტი ვიხილო. მართალია ეს ზოგისთვის შოკისმომგვრელი იქნება, მაგრამ თუ ვთანხმდებით რომ შოთა სამყაროსეული გენიაა, მაშინ გასაკვირც არაფერია და კიდევ უფრო გაესმება ხაზი მის ზოგად-კაცობრიულ მნიშვნელობას. ფსევდოპატრიოტებს კი ვურჩევ „ვეფხისტყაოსანი“ კიდევ ერთხელ და დაკვირვებით წაიკითხონ.

მინდა მოვიყეანო ფრაგმენტი ავთანდილ არაბულის წერილიდან „პედი და ბედისწერა“: „... საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთგვარი სტერეოტიპი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ აღმოსავლურ გამომსახველობას დაუკავშირა და ამას ახალმა ქართულმა მხატვრობამ და პოლიგრაფიამაც კი ვერ დააღწია თავი. არადა, უეჭველია, „ვეფხისტყაოსანი“ ესთეტიკითაც და მსოფლმხედველობრივადაც ევროპული რენესანსის სათავეებს წარმოგვიდგენს. უპირველესად სწორედ ამ თვალით უნდა შევხედოთ ცნობილი მხატვრის, ორიგინალური მოაზროვნის, ბატონ რეზო ადამიას სრულიად ახლებურ მიღვიმას, სხვაგვარ ძალისხმევას შოთა რუსთაველის პორტრეტისა თუ პოემის პერსონაჟთა სურათების შექმნისათვის...“

ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანისა და ქართული კულტურის შემფასებელთა და დამფასებელთ მნიშვნელოვან სიახლესთან უწევთ შეხვედრა და, ჩემი მხრივ, მინდა გამარჯვება და აღიარება ვუსურვო ამ ახალ სიტყვას!..“

სულ მალე გაიმართება ბატონ რეზო ადამიას შოთა რუსთაველის თემატიკის ამსახველი გამოფენა. უურნალ „ოღეში“ კი გთავაზობთ აღნიშნული გამოფენის საუკუნალე ვერნისაუს, რომლითაც ერთგვარად შეგამზადებთ საგამოფენო სივრცესთან შესახვედრად.

შოთა რუსთაველის პორტრეტების უკეთ აღსაქმელად კი აქვე გთავაზობთ რეზო ადამიას წერილს.

აკაპი დაუშვილი



## „ვეფხისტყაოსანი“ ზეორბრივ სიბრძნისეული

### აღმზრდელობითი გენია

გენიალურობით ძვირფასის, შეუ-  
გნებელ უგულოთაგან, დაკარგულის  
პოვნა უფრო ძნელია, ვიდრე კოსმოსი-  
დან ახლად მოსული სიკეთე საოცრების  
ხილვა და შეგრძნება, თუმცა ორთავე  
თანაბრად დიდ სირთულეებს წარმოად-  
გენს.

რუსთველის ნაფიქრალი: ქართ-  
ველებო, მარადის თქვენთან მინდა  
ვიყო! ჩემს ძირითად იძერიულ-კოლხო-  
ბას კი ვერავინ და ვერაფერი წაშლის.

და შეიგნეთ ნებისმიერი დო-  
ნის მოაზროვნენო, გააზრეთ „ვეფხ-  
ისტყაოსნის“ დასასრულის წერტილიც  
რომ ქართველებო! თქვენი  
ფუფუნება, – ჩინ-მედლები შავი ჭირია,  
თუ ეროვნულ უკვდავებას ბოროტად  
ხელყოფთ. ერის გადარჩენა მხოლოდ  
შენირვებითაა... „ვეფხისტყაოსნის“ სი-  
ბრძნე, სიკეთე, სიყვარული, რაინდობა  
და აზროვნება კაცობრიობის უზნეო-  
ბისგან გადამრჩენელია.

„ვეფხისტყაოსანი“ წმიდად რო-  
მანტიული გონიათელი ბიბლიაა უფრო  
მიწიერი, კაცობრიობის უზნეობისგან  
გადამრჩენელი.

უკიდურესად უმაღლესი ფილო-  
სოფიური აზროვნების გარეშე არ იშვე-  
ბა ხელოვნების დიდი შედევრი.


„ვეფხისტყაოსნის“ ტიტანი ავტო-  
რის, დროსთან და სიკედილთან, და-  
ვიწყებასთან და განადგურებასთან მებრძოლი  
პორტრეტები მინდა შევქმნა – მათთან მედგრად  
მებრძოლი მგოსნის სახეები, როგორც ფერწერაში  
ასევე კეთილ, მორჩილ, პატიოსან გრაფიკაში, სად-  
აც პლანეტისეული მკვრივი ქანდაკების, ლვთიური  
თხრობის, ანგელოსისეული პოეზიის და კოსმიუ-  
რი მუსიკის ინტელექტუალური ბრძნული ხასიათი  
უნდა იყოს ჩაქსოვილ-ჩასახული. კოსმოსი და უფა-  
ლი მოწყალეა!

„ვეფხისტყაოსანი“ რომანტიული, ზნენათელი  
ბიბლიაა მიწიერი. დიდმა მგოსანმა, მონათლა და  
დაამშვენა მინა პლანეტა და საღი კოსმიური აზ-  
როვნების თვალი აუსილა.

და როგორც ამ პროზაული ნაწარმოების ავტო-  
რი ვამხელ თამამად, კოსმიურ რელიგიური მცნება  
ქადაგებათა მთლიანობაა შოთა რუსთაველი.

„ვეფხისტყაოსანმა“ ბიბლია რეალურ მიწიერე-  
ბას მიუახლოვა და ზე აზროვნებათა საუფლო შე-  
ქმნა.

ბიბლია და პოემა „ვეფხისტყაოსანი“  
ვარსკვლავეთური უკეთილშობილესი სივრცობრივი



განძია უნაკლო.

და როგორც ავტორი მხოლოდ ჩემეული გამ-  
ონათქვემებისა, გაბედულად წარმოვთქვამ „ვეფხ-  
ისტყაოსანი“ კაცთა მოდგმის ჭეშმარიტების მარად  
ურთულესი კოსმიური მიახლოებაა... ბრძნულად  
მოაზროვნე უნიჭიერესი შემოქმედი, ვარსკვლავე-  
თური სიძიდედრე სულიერი მარადიულობაა უსას-  
რულობამიც მოძრავ მკურნალი.

დედამიწაზე გარკვეული რაოდენობის საღად  
მოაზროვნე ადამიანი რომ არ იყოს, გენის გამო-  
ჩენა მეტეორის ცის კაბადონზე გაელვება გადა-  
ფრენასავით იქნებოდა. ურთულესი ბუნების ქა-  
რთველებო და არა მხოლოდ თანამემამულენო, მე  
განდეგილ მგოსანს ყოველთვის თქვენთან მინდა  
ვიყო. მრავალი საუკუნეა თქვენგან დევნილი მაინც  
სიყვარულით მოვდივარ და ვერაფრით ვერ მოვალ-  
ნიე უმთავრესამდე. ალიარებული, თანამედროვე მხ-  
ატვრის მიერ მხოლოდ წარმოსახვებით შექმნილმა  
პორტრეტებმა, რომელიც ქართულად სუნთქვავენ  
და აზროვნებენ, იქნებ შორეული წმინდანური ხედვა  
ფანტაზია აღგიდგინოთ და ჩემეული რწმენა სიმარ-





თლისა გაგიძლიეროთ და ჩემს უშუალოდ ნაშობ ორიგინალზე უაზრო და უტაქტო ჩარევა – შემოქმედებით სფეროზე შესწორებებით თუ თქვენული ლექსთა ჩამატებებზე ხელი აგალებინოთ. უტაქტონო, მოეშვით აღუწერელ შემოქმედებით ბოროტება ზეციურად ნაშობ ორიგინალთა შეთითხვანას.

ავტორის მოთქმა: მკითხველნო, ძვირფასო ადამიანებო, ჩემეულნო, ქართველებო ირწმუნეთ და მიიღეთ. მე მხოლოდ ხელოვან მოაზროვნე არ გახლავართ, ასევე, როგორც თქვენ, იდუმალ კოსმიურ ვარსკვლავეთური მცნობადი ვარ. ფაქტი? „ვეფხისტყაოსნი“ ავტორის – დაკარგული, სახე პორტრეტების ჩემეული აღმოჩენა მართალი განსახიერებაა..

ქართველთა და კაცობრიობის შემოქმედებითი ნიჭის და სიბრძნის მეფე-ლმერთი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შეუგნებელ – უაზრო ფანატიკოსმა თანამემამულებმა, თავადვე უკვალოდ დამარხეს, შეუგნებელ უაზრო შურითა და ბოლმით სავსე სამარცხვინო ბნელეთურებმა უკვალოდ გააქრეს. ამ დროს ქვეყანა საქართველოს დამპყრობნი, ლიმილითა და სხვადასხვა ღირსების ნოდება ჩინ-მედლებით და თანამდებობებით ამკობდნენ და აჯილდოებდნენ მათ. ჩვენდა საუბედუროდ ამ თაობამ რუსთაველს არ აღირსეს დამახსოვრება გვარის, სახელის და შედევრის ორიგინალი-ეტრატი კი სამუდამოდ

ფიზიურად და მეხსიერებაშიც ამოშალეს. შედეგად? საქართველოს გამანადგურებელთა მიერ მორთმეულ ჩინ-მედლებს სიამაყით ატარებდნენ. საკვირველ სამწესაროდ კი მათ საფლავებზე მარმარილოს პორტრეტ-ქანდაკებები დგას და სიამაყით გადაჰყურებენ მათგან გაძარცულ ქართულ უნიჭიერეს სივრცეს..

შოთა რუსთაველი საქართველოს ოქროს ხანის აზროვნების გენია გვირგვინი იყო. კიდევ ბევრ შედევრს შექმნიდა თქვენი გენია, მაგრამ ფანატიკოსთა შურმა და ბოლმამ შორეულ ადამიანებისგან დევნილად აქცია და ამით კაცობრიობამაც ბევრი დაკარგა და საუბედუროდ კაენის მოდგმამ თავისი გაიტანა.

მაგრამ, თანამოაზრევ!

სამყაროს, უფრო ჩვენი მზის სისტემის ნაშობი „ვეფხისტყაოსნი“ უსაშველი დროს – ტყუპისცალივით აედევნა მარადიულად.

მერე შემოქმედებითმა გენიამ სივრცეში განაცხადა: საერთო აზროვნების პლანეტა, მე და სანთელი მუდმივად ერთად – თანაბრად ვიწვით. დედამიწა? სიამით გვეხმარება ან დუშს გარინდული...

დევნილი გენის ფიქრი მომავალზე: მომავალში ან დღეს, საღად და ულალატოდ მოაზროვნეთაგანი ვიწმე სიმართლე ნაფიქრალ სინამდვილეს დაწერს, დახატავს ან გამოაქანდაკებს. ამჟამად თბზავენ ან ხატავენ. იტყვიან მართალნი, რატომ მოუვიდა ყოველივე უმსგავსობა და მაგდაგვარი მცდარი შეცდომა უკიდურესობა ზოგიერთ ქართველსო და მეცნიერულად ვერ გაამტყუნებ. რათა ძნელზე ძნელია – ურთულესია კოსმიურ ვარსკვლავეთური გზავნილი გენის ჩაწვდომა სიმართლის გაგება და საღი სიბრძნეთ ათვისება. დრო უნდა გარკვეული და იქვე ერის გამორჩეული, ზნეობრივად უდალატო ნიჭიერი პიროვნებები, რათა რეალური სიმართლე დახატონ ან შექმნან მეცნიერული აზრთ უმტკიცესი ნანარმოებები და თემატურად შემხმიანებელი კლასიკური მუსიკა, რათა ნათლად ახსნან მგოსანი გენის უდიდესი ნიჭის ჩაუწვდომლობა. ლვთისგან რჩეულმა უნდა დასძლიოს ის ზეციური მხილებანი, მოვლენა გენიალურ ადამიანებზე. ჩვენგან ნაბოძები ყოველივეს მიტევება კეთილად დათმობებისა პარ დაგვაინყდეს მეგობრებო, ფანატიზმი ბოროტი მოვლენაა. ის ერთნაირად ვნებს ჭეშმარიტებას და სარწმუნოებას).

და მანც, მათგან ბევრი მკაცრი კრიტიკის ღირსია და საკადრისი დასჯისაც. როდესაც ვერ წვდები გენის სიახლე-სიდიადეს. მისი რაობის კრიტიკა განადგურების უფლება ვინ მოგცა? თან უხეშად მოქმედებ შენი უნიჭიობიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა ასეთი პიროვნებები უნდა ჩამოვაშოროთ



რუსთაველისულ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე მახინჯ და მოღალატურ სჯა-მსჯელობებს რათა, საქართველოს დაუძინარი მტრები არ გავახაროთ.

„ვეფხისტყაოსნი“ წმიდათანმიდაა. ქართული, მაღალი დახვეწილი აზროვნებით და კოსმიურ უფლისმიერი შეგრძებებითაა შობილი, რომელსაც საპირისპიროდ უკიდეგანო ნათელ-ბნელი სივრცე ახლავს.

რუსთაველი იგონებს, შორეულიდან: მე ბევრმა ქართველმა დამკარგა და უსასრულო უხილაობაში გადამისროლეს. ხოლო რვა საუკუნის მერმე, ვინმე, წარმოშობით უძველესი კოლხეთის შთამობავალმა – ქართველმა მწერალმა და მხატვარმა რეზო ემელიანე ადამიამ თამამად, გაბედულად, თითქმის თავშეწირების პრინციპებით სივრცის მეხსიერებაში მიპოვა და წარმოსახვების მეშვეობით აღმომაჩინა, გამომხატა ჩემი კოსმიური წარუშლელი სიღრმეებით და ბედნიერი ვარ, კვლავ გამოვჩნდი საქართველოში და მინა პლანეტაზე მხოლოდ ქართული, ჩემეული სახის გამომეტყველებით. დიახ, ხსენებულმა ხელოვანმა სიკვდილს და მარადიულ გაქრობას წაართვა ჩემი თავი: როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მშობელი...

ქართული მარადიულობა უკვე ნაპოვნია.

დავძენდი!

აქ, პლანეტა დედამიწაზე, ვინც სატანურად იცხოვრა, ნუ აქვს იმედი იმისა, რომ ზეციურ სივრცეში მთავარი არ განსჯიან. უთუოდ ხომ ერთიანი სამყარო თავისი უკიდეგანო კანონებით...

დიდი მგოსანი, შავი ზღვის სანაპიროს დასეირნობს, ვინმე მეთევზე შემთხვევით შეხვდა, გაესაუბრნენ ერთმანეთს. მართალია მგოსანო – დიდო მოაზროვნევ, ვარძის ქვაბულთა გამოკვეთაში, კაცთა შებრძანებაში მოდგმით კოლხებმაც დიდი წვლილი შეიტანეს. სრული ჭეშმარიტებაა შურიგე!

კოლხთა ნაშიერთ, კერძოდ მოუსვენარ ლაზებს, სად არ შეაქვთ თავიანთი კოსმიურ უფლისმიერი ქართული ნიჭი და ყოველმხრივი ცხოვრებისული გამოცდილება. ლაზები ის ქართველი ხალხია, რომელიც პლანეტის ხელოვნებას, ქართულ აზროვნებას თვითნებურად ემსახურებიან. ურთულესი ორგანიზმისაა ქართული მრავალთერადი ეროვნული ფონდ-სამყარო, აქვე დავსძენ – ჩემო ზღვის და თევზთა თაყვანისმცემელნო, თავად ბერძნული ცივილიზაცია და მისი უდიდესი ანტიკური ხანა, უძველესი კოლხეთის ნიადაგზე იშვა, მათგან დანგრეულ და მიტოვებულ მინაზე აღმოცენდა და ბოლომდე არ მოშორებიან ისინი უძველეს საოცრება კოლხეთის ნიადაგს.

ლაზები პლანეტაზე თუ არა, ჩვენს კონტინენტზე მაინც მომთაბარე არა, მაგრამ კეთილი გადაადგილების ხალხია და ბედად

მტრისგან მიტაცებულობისა უთუოდ ოდითგანვე ხელოსან-ხელოვანნი გახლდნენ და ასეთებად დაორჩნენ. მათი ბოლო პერიოდი ცუდ ბედს დაექვემდებარა – აბა რა უნდა ქართველთა უძლიერეს ტომს თურქეთში, მათი უბედური და უკულმართი ბედი რომ არა! მაგრამ სიცოცხლე წინ მიდის.

ჩემი როგორც მხატვრის მიზანია, მხატვრულად წარმოვაჩინო და გონებრივად სრულყოფილად გამოვხატო, ქართულ, იბერიულ-კოლხური „ვეფხისტყაოსნისული“ აზროვნება და მისი გენის შორეული იდუმალება. კერძოდ, ამ პორტრეტით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი – ტიტანი რუსთაველი, უცნაური შორეულ-უახლოესი თვალებით იმზირება არა გარკვეული ობიექტისკენ, არამედ უცხოდი იხედება ღრმად ოპტიმისტური სივრცის უსასრულობისაკენ, საიდანაც იდუმალება მაგნიტურად უკუგამოიზიდა – ღვთიურად ჩვენებული გახადა. რუსთაველი სივრცისგან დამაგნიტებული თვალებით უსასრულო სირთულეებისკენ მძაფრად გმირული დაუნიებით იმზირება და იწვის მომავლისთვის...

ყოველივე ზემოთ მოყოლილ ურთულეს საქმე-ძიება-შრომაში, მორალურად თუ იმედად გვერდით მედგა თავისი მაღალი წმიდა ქართული და საკაცობრიო აზროვნებით, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი როინ მეტრეველი; აკადემიკოსი ვალერი ასათიანი;





აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე; საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი; მწერალი ზაალ ბოტკოველი; რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი დაიგით შემოქმედელი; დოქტორი, წმიდათაშიძიდა პატრიოტი ბესო გვაზავა; ხელოვნების თაყვანის მცემლები: მიხეილ ჯიქია და მალხაზ კერძაია; „ტელეიმედი“ ნიკა წულუკიძის თაოსნობით; „საქართველოს რესპუბლიკა“ სპარტაკ ქობულიას რედაქტორობით. ხოლო არნოლდ ჩიქობაგას სახელობის ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა ჩემს მიერ შექმნილი რუსთაველის პორტრეტები სიღრმისეულად გაანალიზა. ასევე უმრავი საღად მოაზროვნე ხელოვანი, თუ მეცნიერნი და ჩვეულებრივ ნაცონბი მოქალაქები უშურველად – თამამად მამხნევებდნენ და ჩემს უმთავრეს მართალ გაბეჭდულ აზრებს საღად იზიარებდნენ, რათა უცხოური ჭუჭყისგან გაგვეწმინდა „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის ვარსკვლავეთური პიროვნულობა ყოველგვარი არაქართული შეურაცხმყოფელი ლაქებისაგან, რათა თავად ზოგი ქართველი მეცნიერნი თუ ხელოვანი თავიანთ სასარგებლოდ თხზავდნენ მოღალატურ აზრებს, რათა დამპყრობთა და ერთს გამნადგურებელთა მტრული ინტერესები დაეკმაყოფილებინათ.

და ამით მტრებს ეძლეოდათ საბაბი ემტ-კიცებინათ, ქართველი ერი ჩვეულებრივი მორჩილი მასისგან შედგება და არა შორეული კოსმიურობით აღვსილი გენიოსებისგანო.

ამ ურთულეს შემოქმედებით მრავალ-წლიან შრომაში რა თქმა უნდა ოჯახის ყველა წევრი მეხმარებოდა, ჩემი გოგობი, უფროსი ჭვევანი მედეა და უმცროსი – მხატვარი მაია. განსაკუთრებით ხელს მიწყობდა ჩემი მეულლე ნანი კვარაცხელია ადამიას.

ურთულესი ძიება ბნელ საუკუნეებ მოცული თავდადებით გრძელდება. ქართული და საკაცობრიო გენის ვარსკვლავეთური წმენდა დახვენა ბოლომდე უნდა აღსრულდეს. თქვენი მონა-მორჩილი, როგორც რუსთაველის პორტრეტთა სერიის ავტორის კოსმიურ ღვთიური ძალები, უთუოდ შემომთავაზებენ და გონებას გამინათებენ, რათა რეალურ წმიდანურად მივუახლოვდე ჭეშმარიტებას, პლანეტის გენიის ნათელ მონოლითურ სახეს.

შორეული ხმაც გაისმის!

მწერალმა და მხატვარმა რომელსაც დაბადებით გააჩნია ვარსკვლავური სული (როგორც ყველა თქვენთაგანს), ყოველივე შესწავლის გარეშე საღი ალლოთი, ნათლად და თამამად წარმოაჩნია ჩემი უთუოდ ავტორისეული თანადგომითი სურათები რათა უსასრულობიდან პლანეტა მიწას ვაწვდიდი სივრცის მეხსიერების უმ-თავრესს და მაინც, თითქმის ორი წლის განმავლობაში დაუღლელი დღე და ღამე შრომით, გონებრივ ფიზიკური შენირვით სიახლე მოვლენებისა, შეგადაშიგ, სამწუხაროდ, გარემოსაგან გადაშესამვა წინააღმდეგობისა, მაინც მედგრად მიპოვა, უმთავრესი ნათელი სიმართლე სივრცეში გადანახული გამოსახულებით და შემოქმედებითი იდუმალებიდან განასახიერა მარადიული ჩემი სახე ფიქრ გადმოახილი.

სამყაროში არაფერი არ ქრება და იკარგება, ოღონდ პოვნა უნდა, პიროვნება-ავტორის თითქმის თავშენირვის დონეზე. ამ უდიდესი საქმის შექმნაში გვერდით მიდგანან და ყოველთვის აშუქებენ თავიანთ უურნალ-გაზეთებში: აკაკი დაუშვილი, ფარნა რაინა, გულნაზ ხარაიშვილი, თამარ შაიშმელაშვილი, ავთანდილ ბერიძე, ივანე ამირხანაშვილი და სხვა მრავალი.

„ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველს მზე 317-ჯერ აქვს რითმულად ნახსენები. მთვარე მშვიდი და დარბასისელი, რომელიც დამალობანას თვისებას ფლობს 47-ჯერ. ასევე წითელი ფერის მარსი, ლურჯი ფერის ვენერა, ყვითელი მერკური, მწვანე სატურნი, ალის-ფერი იუპიტერი, ნარინჯისფერი მზე-სიცოცხლე და მთვარე მდუმარე იისფერი.



ნარმოიდგინეთ, კაცობრიობაში ორიათას ხუთასი ენაა და ამ ენათაგან შექმნილ შობილი რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ ალბათ სამეულში მაინც გადის და შენ გამყიდველო სულის ადამიანო უნიჭოდ ნუ უკირკიტებ ამ საოცრებას და შიგ ნუ უმატებ მიმსგავსებულ შენს ლექსს ნაჯღაბნებს!!!

და ზემოთ ჩამოთვლილი ჩვენი მზის სისტემის პლანეტების ზნე-ხასიათს უკავშირებს თავის გმირებს – პერსონაჟებს. უძველესი კოლხები სიმართლით მოძღვრავდნენ ადამიანს, ყოველ პიროვნებას თავისი პატრონი ვარსკვლავი ჰყავსო. ეს იყო სიმართლე, რომელიც მარადიულობის საგანძურშია შესული.

მეცხრამეტე საუკუნეში გენიალური გოეთე გვმოძლვრავდა: „რწმენა საწყისი კი არა სიბრძნის დასასრულია“. ხოლო ფერწერის ღმერთი, ვარსკვლავეთური ხედვის მხატვარი ვან გოგი გვარიგებს: „რაც უფრო რელიგიური ხარ, უფრო მეტად მალავ შენს სათქმელს“.

ყოველივე ზემოთ ზარ დაკრული კოსმიური სინამდვილე „ვეფხისტყაოსანის“ ავტორმა მეთორმეტე საუკუნეში გაიაზრა კოსმიურად, პოეზიით განავრცო, კოსმიუროვე იდეებით შეამკო და შობა გენიალური შედევრი რომელსაც ორი ათას ხუთასი ენა ეთაყვანება, ასევე ყოველივე ზემოთ გაშუქებულ შემოქმედებით სიმართლეებს – სიღიადეს.

უფლის მიერ, კოსმიური მცნებით, უდიდესი ექიმ დასტაქრის ცოდნით დიაგნოზი დაუსვა რუსთაველიდან რამდენიმე საუკუნის მერმე დიდმა მოაზროვნებ თომას მანმა, რომელიც სამყაროსულ მართალ ფაქტ სურათებს ამარადიულებდა სივრცობრივი სურათ გამონათქვამებით: „ჯოჯოხეთის ქვაში ცეცხლის შენთხების გარეშე არ იქმნება გენიალური ნაწარმოები“. ეს შემოქმედებითი პროცესი ტანჯვით და ნამებით ფანატიკოსებისგან გაიარა და ისე შობა გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“. თურმე ზეციური კანონებით გენიოსებს შორის საუკუნეებიც მცირე დრო მანძილია. დრო უთუოდ ზე ძალებით იკუმშება და მთლიანდება უფრო გენიათ შემოქმედებით საუფლოში. დიდება კოსმოსს – უფალს.

ამ შემთხვევაში ნაწარმოების აზრთა განმეორება მსგავსება კი არაა მხოლოდ, არამედ მათი შინაგანი ნათესაური მსგავსება და ურთიერთ სულიერი შევსებაა, რომელიც საერთო თხრობის შინაარსს ამთლიანებს და თემას აზრობრივად კრავს.

თუმცა ამ შემთხვევაში ქართველ ავტორებს მიუძღვით დიდი შეცდომა-პრალ-დანძაული. ბოლოს და ბოლოს „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი, პლანეტა



მინის და კოსმიური სივრცის მარადიულმა შემოქმედებითმა უნარმა შორეული უხილაობის იღუმალ სივრცეში დიადურად გაასეირნა. უფალივით შეუმჩნევლად გაელიმა და მადლიერებით ჩაილაპარაკა, მადლობა კოსმოს უფალს ჩემეული სახე იმედი, მიახლოებით, უკვე რგაასზე მეტი წლის შემდგომ, წარმოშობით კოლხი ქართველი მხატვრის ხელ-გონებით და იმედ მადლიერებით გამოისახაო. საუკუნეებია მამახინჯებენ და ყოველმხრივ მიუღებელ უცხოურ ფორმაში მმოსავენ მორჩილს, როგორც სხვადასხვა თაობისა და ეროვნების მხატვრები, ასევე ზოგი ღრმად შემცდარი მეცნიერნიც. რატომ? არავინ ხომ არ გავალებთ და რისთვის? არ მეყო, რაც ჩემს შემოქმედებით მოღვაწეობისას უნიჭოთა ბრბო თავს მესხმოდა კაენის თვისებებით... ჩვენდა მხსნელად გულთმისანთა ნაამბობიდან, უძველეს კოლხ-იბერიული დიდი ქართული მეხსიერება, რომელიც სამყაროში დამოუკიდებლად არსებობს, მარადიულად უკვდავია და ლირსეულთ ყოვლად მნიშვნელოვანი მხოლოდ წარმოსახვებით გვევლინება. დიდი პროცესი მარადიულად გაგრძელდება... სხვა მხრივი განმეორებები აუცილებელია რომ რეალობა მყარად ჩამოყალიბდეს.

**მთერალ-მხატვარი რეზო ადიამია**



## გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ!..

2024 წელს ჩვენს სახელოვან და საყვარელ უურნალ „ოლე“-ს დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა.

„ოლე“ თავიდან მარტო იყო, მაგრამ მალე, მკითხველთა სიმრავლე, დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა!

ეს უურნალი, ხომ დიდი ქართველი კლასიკოსი პოეტის გიორგი ლეონიძის შედევრი ღერქის – „ოლეს“ სენიაა.

8



დროის ამ მცირე მონაკვეთში „ოლეშ“ საკმაოდ რთული გზა განვლო!.. იგი თანამედროვე ლიტერატურ-ის საჩრდილობელი გახდა...

2024 წლის 25 დეკემბერს თელავის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა უურნალ „ოლეს“ ავტორთა დაჯილდოება, რომელიც მიეძღვნა „ოლეს“ 20 წლის იუბილეს.

დაჯილდოების ცერემონია გახსნა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარემ, ბატონიშვილი ფარნა რაინამ. მან საინტერესოდ მიმოიხილა უურნალის ისტორია, განვლილი წლები.

ნუნუ ძამუკაშვილმა ავტორებს დამსახურებული ჯილდოები მიუღლოცა.

რაფიელ ერისთავის სახელობის საპატიო დიპლომები გადაეცათ: თინათინ თელაველს, აკაკი ბიძინაშვილს, მარიამ კოზმანაშვილს, გიორგი ზუბიტაშვილს.

გურამ რჩეულიშვილის სახელობის საპატიო დიპლომები გადაეცათ: ზურაბ არსენიშვილს, გიორგი შარვაშიძეს, მარიამ ძამუკაშვილს, კახაბერ პავლიაშვილს, ხათუნა გოზალიშვილს.



უურნალ „ოლეს“ სახელობის საპატიო დიპლომები გადაეცათ: თამარ კოლელიშვილს, ანა მანოშვილს, გიული ჩიხიაშვილს, ნათელა ქურციკიძეს, გიორგი გიგაურს, ვაჟა გიგაურს, ზაირა მინდელს.

დაჯილდოების შემდეგ, გაიმართა საინტერესო შემოქმედებითი სალამო, – ავტორებმა წაიკითხეს პოეტური და პროზაული ნაწარმოებები.

ეს დღე, მართლაც გულში ჩამწვდომი და დასამახსოვრებელი იყო, როგორც ავტორებისთვის, ისე – დამსწრე საზოგადოებისთვის.

რესპუბლიკურ კონკურსებში ექვემდებული „ოლე“, ერთხელ კიდევ, წარმოჩინდა და გამობრნებული და გამობრნებული მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი ბაირახტარი...

## ცუცუ ქამუკაშვილი



ବୁଦ୍ଧିମତୀ  
ବୁଦ୍ଧିମତୀକାଳୀନ  
ବୁଦ୍ଧିମତୀକାଳୀନ

כטבנש אוניברסיטאות ומוסדות מחקר מתקיימים מפגשים וכנסים אקדמיים, בהם מושרים נציגים מרחבי העולם.

ახლახან გამომცემლობა „მერიდიანშა“ დასტუამბა ენათ-მეცნიერ გიორგი გოგოლაშვილისა და მწერალ თამაზ ხმალაძის წიგნი „პერსონაჟს სახელი ამშვენებს“ (დიალოგური ნოველები); წიგნს ერთვის რედაქტორის, მწერალ როსტომ ჩხეიძის, საინტერესო და მრავლისმთქმელი წინასიტყვა („მზით ნაფიცხი სიტყვების კვალდაკვალ“).

ფაქტობრივ ეს არის მკითხველისა (გ. გოგოლაშვილის) და მწერლის (თ. ხმალაძის) საუბრები თამაზ ხმალაძის შემოქმედებიდან ალძრული საკითხების შესახებ. „მკითხველი“ ცდილობს ღრმად ჩაგვახედოს მწერლის შემოქმედებით სამყაროში; მწერლის სურვილია, განმარტოს, დააკმაყოფილოს „მკითხველის“ ინტერესი... საუბრის თემები გასცდება ხოლმე მსჯელობის საგნად ქცეული მწერლის შემოქმედებას და პრობლემები ფართო თვალთახედვით განიხილება...“

თემები მრავალფეროვანია; ძირითადი აქცენტი ტრადიციებსა და ადათ-წესებზე კუთდება... წიგნში 14 „დიალოგური ნოველა“ არის დაპეჭილი. გთავაზობთ ორ მათგანს.

## „თამაღა სუფრის პავარია“

**გორგი გოგოლაშვილი** — თამაზ, „ლვინის ტრადიციის“ ერთ კომპონენტზე (სადღესასწაულოზე) ვისაუბრეთ წინა ნოველაში. განვაგრძოთ საუბარი ამ ტრადიციის კიდევ ერთ მთავარ კომპონენტზე — თამაზაზე.

შენი მოთხოვბა „სადღეგრძელო“ ასე იწყება: „თქვენა, ჩემო შვილებო და ძმებო, ალბათ იმასა პფიქრობთ, ეს რა ყბედი და ლაშფანდურა თამა-და გამოგვადგაო“... როგორ განმარტავ სიტყვას „ლაშფანდურა“; ეს შენი სიტყვათშემოქმედებაა თუ...

**თამაზ ხმალაძე** — თავად განმარტავს თამა-  
და — „ყბედი და ლაშვანდურაო“... სინონიმებია...  
ეს ის თამადაა, უსაგნოდ რომ მრავალსიტყვაობს,  
თითქოს-და დროის გასაყვანად... სათქმელს რომ  
სადღეგრძელოს თემასთან არა აქვს კავშირი...  
ესაა ლაშვანდურა...

בְּשָׁנָה תְּבִרֵךְ


გ. გ. — ქართული კულტურის ნაწილია; ლონის კულტურის შემადგენელი ყველაზე ღმია თბილია... ამიტომაც წვრთნისწინ ძალაშვრობით ვე... ფინანსები, ეკიურ წვრთნაა...

• • • • •

8. გოგოლაშვილი  
თ. ხმალაძე



9





## გიორგი გოგოლაშვილი

ვინმეს სადლეგრძელო გაქვთ სათქმელი, მე ჩემდათავად ნება მომიციაო და მოლოდინით შემომხედავდა“. სუფრის თამადა (ჯაღალა) სუფრის წევრს (მორიგი სადლეგრძელოს თამადას) შესთავაზებს, თქვას ახალი სადლეგრძელო...“

საზგასმა თამადის როლსა და მნიშვნელობაზე სხვაგანაც ჩანს.

ფრაგმენტი მოთხოვიდან „ტოპონიმოსი“:

„მექვეს დღე იყო, ესენი, ეს ერთმანეთის სადლეგრძელოებშებეზრებული ლვინისმტეები პეტრეს ირჩევდნენ თამადად და პეტრეც გულმოდგინედ ცდილობდა თავი მოეწონებინა. ისინი კი ისე შესციცნებდნენ თვალებში, როგორც პაპუასები მიკლუხო-მაკლაის — შენ ჩვენთვის ღვთის ნაბოძები წყალობა ხარო, ციდან მოვლენილი საჩუქარიო — თავს ევლებოდნენ. ეს კიდევ უფრო თოთხარდებოდა — იქით ადგილსა-ზელები ექაჩებოდნენ, აქეთ ეშინანად ნათქვამი სადლეგრძელოთი თავმოწონება. მექვეს დღე იყო, სადლეგრძელო საბალვედა, სადლეგრძელო სჯაღდავდა საკეთებელ საქმეს“... აქაც სუფრა, თამადა, სადლეგრძელო... ტრადიცია და ერთგულება ამ ტრადიციისა... მე მგონი, ამის თქმა გსურს...“

**თ. ხ.** — თამადის ტრადიცია უნიკალურია. თქმულა — „სუფრა ლვინო და თამადააო“.

**გ. გ.** — მომწონს ფორმულირება: — „სუფრა ლვინო და თამადააო“.

**თ. ხ.** — ეგ ჩვენეული დაზუსტებაა დიმიტრი პაპასეული შეგონებისა: (დემნას მიმართავს) — „დაიმახსოვრე, სუფრაზე სასმელია მთავარი („დროის მკვლელები“)...“

რაც შეეხება თამადას, გიორგი ლეონიძეს დავუჯეროთ: მისი შეგონებანი მოვიშველიოთ:

„კარგი თამადა სახლს პატივად შეემატება!“

„თუ თამადა კარგია, მასპინძელიც გულდადებულია!“

„პაცის სიმაღლე თამადობა არისო“...

„თამადა ხომ სუფრის ჯავარია!“

ანდა: „კარგმა თამადამ ხორციანი, ბედაური სიტყვა უნდა იცოდეს; ენა თაფლით უნდა ჰქონდეს სველი, ოქრობაგეთი უნდა იყოს... ბორჯვლიან გულზე დამბოლავ სიტყვას უნდა ერიდებოდეს“.

**გ. გ.** — ეს მარტივი ჭეშმარიტება: კარგი ლვინო და რიგიანი თამადა სუფრას სამახსოვროდ აქცევს... იშვიათად შემხვედრია კაცი, საჭმელ-კერძების სიმრავლისა თუ გემრიელობის მიხედვით შეეფასებინოს სუფრა...“

**თ. ხ.** — ლაშვანდურობა, უაზრო მრავალსი-ტყვაობა, ფუქსიტყვაობა დროის გასაყვანად სიტყვათა ტრიალი (რაც არცთუ იშვიათია ქართულ სუფრაზე) მოსაწყენსა და უინტერესოს ხდის ლხინს... წინა ნოველაშიც გავიხსენეთ: დარდობენ ბიჭები — „დასვამს სუფრის თავში ბიძამისა და უსმინე იმის ბრტყელ-ბრტყელ სადლეგრძელოებსო“...

**გ. გ.** — ასეთი თამადა ლხინს აუბრალოებს, ხალისს უკარგავს, უინტერესოს ხდის... ასეთ სუფრას შევესწარი, როგორ გაეხუმრა სუფრის შემოსწრებული წევრი ამგვარ თამადას:

მერამდენე სადლეგრძელოაო, — იკითხა. ვიღაცამ გულნრფელად უპასუხა, მეოთხეო; შემოსწრებულმა ჭიქა ასწია და თქვა; დედმამიშვილებს გაუმარჯოსო.... ვერ გეტყვით, არ მიმიქცევია ყურადღება, თამადამ გაიცინა თუ არა...“


**თ. ხ.** — კარგი თამადა? აი, გიორგი ლეონიძისეული შეფასება: „თამადა ლვინჯუამ იმედები გაამართლა. პირდაპირ ოქრო სცვიოდა, სიტყვით ზღვა გადააყენა, ზღვაზე ხიდი გადო; ცაზე კიბე მიიდგა, მზესთან ადიოდ-ჩამოდიოდა, მართლაც სწორუბოვარი თამადა იყო, უტოლუმბაშესი! სუფრაზე ვარდ-მანანა წვიმდა“...

**გ. გ.** — თამადის ხელში სუფრის მართვის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ალავერდია... გიორგი ლეონიძემ ალავერდის მნიშვნელობასა და ფორმაზეც ისაუბრა: „ალავერდი სუფრას ამაგრებს, აძლიერებს“... თამადა ასახელებს თანამეინახეს, თამადის შემდეგ ვინც უნდა თქვას სადლეგრძელო; მეალავერდეს არჩევას სხვადასხვა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს: ალავერდს მასთან გადადიან, ვინც უკეთ იცნობს მას, ვისი ან რისი სადლეგრძელოცაა; ანდა ვის სიტყვასაც ამ სფეროში მეტი წონა აქვს... ალავერდის გადასვლას თავისი წესი აქვს:“

„იყავ ჩემი ნებისა!

ვარ შენი ნებისა!“ (გ. ლეონიძე).





## თამაზ ხემალაძე

**თ. ხ.** — ღვინჯუა თაყას ირჩევს მეალავერდედ; თავის მხრივ, თაყა სხვასთან გადადის ალავერდა და სუფრას ამაგრებდა, აძლიერებდა...

**გ. გ.** — საქართველოში, ღვინის ქვეყანაში, სუფრის მაღალი კულტურის ქვეყანაში, თამადობის ინსტიტუტი კარგად ჩამოყალიბებული და განვითარებული რეალობაა.

**თ. ხ.** — თამადობა არაა იოლი საქმე, მარტივი პროცესი: დაინიშნა და დაიწყო... არაა ასე... თუ როგორ აეწყობა სუფრა, თამადობა, დამოკიდებულია საერთო განწყობაზე, გარემოზე, თანამეინაზე... როგორც კი მოთხოვობაში საჭიროება მოიტანდა, ვცდილობდი ეს ტრადიცია სწორად ამესახა, სამკაციანი იქნებოდა ეს სუფრა („სადლე-გრძელო“, ოთხკაციანი („ტოპონიმოსი“) მრავალკაციანი (რომანის ეპიზოდები)...

გახსოვს ფილმი („ღვინის ქურდები“): კარგმა თამადობამ და კარგმა სადლეგრძელომ ელიბოს რეალობა გადაავიწყა ...

ყველაფერია გასათვალისწინებელი... არაერთი ცნობილი თამადა ვიცით, კონკრეტულ შემთხვევაში თამადობა რომ არ ნასვლია...

**გ. გ.** — ამის მაგალითის მოყვანა შეგვიძლია: გიორგი ლეონიძე ცნობილი თამადა იყო... სადლე-გრძელოც კი შემოგვრჩა „გოგლაურა“... აი, რა გვიამბო ალექსი ჭინჭარაულმა:

გიორგი ლეონიძემ იჯახში მიმიპატიჟა. დიდი სუფრა იყო გამლილი. ბატონი გიორგი სუფრის თავში დაჯდა თამადად. მეც ახლოს დამისვაო... სუფრის ბოლოს ერთ ვიღაცას მოჰკრა თვალი. შეც-

ბა, ამას აქ რა უნდა, როგორ გაბედა მოსვლაო... წაუხდა ხასიათი... გოგლას თამადობა ადრეც მენახა, მერე შევიტყვეო, ჰყვებოდა ბ-ნი ალექსი, კახეთის გზაზე ავარია მომხდარა. ამ კაცს გაუვლია თავისი მანქანით და უარი უთქვამს დამავებულის მანქანით გადაყვანაზე (მანქანა დაისვრებაო)... ეს გაუგია ბ-ნ გიორგის და ამის გამო იყო აღშფოთებული... ასეთმა კაცმა ჩემს ოჯახში მოსვლა ვერ უნდა გაბედოსო...

ამგვარ მოთხოვებს (გიორგი ლეონიძის „ღვინჯუა“, შიო არაგვისპირელის „ღვინის ქურდები“, თ. ხმალაძის „სადლეგრძელო“, „ტოპონიმოსი“ თუ სხვა...) ჩემთვის ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ეს ტრადიცია პირველყოფილი სიწმინდით შემოვნახოთ...

**თ. ხ.** — გული დაგწყდება კაცს, სუფრის ასეთი ტრადიციის ქვეყანაში ამ ბოლო დროს დამკვიდრებულ მახინჯ წესს რომ გააზრებ — „დაქირავებული თამადა“: ქორნილში ნეფე-დედოფლისა და მათი მშობლების სახელებსაც კი „შპარგალკიდან“ რომ კითხულობს...

**გ. გ.** — ვთქვათ ესეც: „დიდი მსმელობა“ (როგორც ლუარსაბ თათქარიძეს ათქმევინებს იღია ჭავჭავაძე) თუ „გოლიათი მსმელობა“ (როგორც ლადო ასათიანი იტყვის) იყო კი აუცილებელი მახასიათებელი თამადისა?

**თ. ხ.** — არადა, არაერთხელ გვინახავს ამ ნიშნით შერჩეული თამადა: „დაცლა ბოლომდე“... „ვინც არ დალიოს“... „მაგას როგორ ვაპატიებ მაგ სტაქანს“ (დ. კლდიაშვილი).

**გ. გ.** — თამადობის ასეთი გააზრების ირონიული შეფასება მგონია ლადო ასათიანის ლექსი „გულბაათ ჭავჭავაძე“. ვფიქრობ, სწორედ ამგვარი ფაქტი აქცია პოეტმა განსჯის თემად. გავიხსენოთ ლადოს ეს პოეტური შედევრი:

ჩათავდა რთველი: ლხინია კახეთში.

„და ჭავჭავაძე გულბაათი დასვეს თამადად.

დასვეს თამადად გოლიათი მსმელი კახელთა“...

და დაიწყო „ლხინი თავადთა“... „სვეს უმოწყალოდ“. „და როცა სუფრას აღარ შერჩა ერთი კაციცა“ (ფეხიზელი), „გოლიათი“ თამადა „გადაირია, როგორც ერთ დროს შედან ჭილაძე და იერიში მიიტანა წვრილ ჭინჭილაზე“...

მოახსენეს, მხოლოდ ამ სასმისით არ შეგისამსო...

და ქვევრების მნთქმელ გოლიათ თამადას წვრილი ჭინჭილა მოერია... თამადა „აზრდაკარგული გაიშვართა შუა ღამეში“...

**თ. ხ.** — ლექსად ლექსი შესანიშნავია, მაგრამ ამბად ის არის თქმული, რომ „უმოწყალოდ სმა“ ქართული სუფრის ტრადიცია არ არის... ლექსის ბოლო სტრიქონებიც ამის დასტური ჩანს:

„გაჩალებულა მაღვალაკი თვალი კახურში





და სუფრის ბოლოს ხითხითებდა მთვრალი ბახუსი...“

**გ. გ.** — „მსმელი თამადის“ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ივანე (ვანო) როსტომაშვილის (1852-1924), ქალიშვილის — ანასტასიას — მოღონება. ტასო ერთ ლხინს მოიგონებს: დიდი სუფრა იყო. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ალექსანდრე ყაზბეგი და ძმები რაზიკაშვილები. „სიმხიარულე, სიცილი, ცეკვა, სიმღერა, ღვინის სმა... აქაც ვანო იყო თამადა, სიფხიზლის მომხრე ვანო. ძალიან ნაკლებად სვამდა, სხვათაც არ აძალებდა; ასე რომ, მისი თამადობით მიმდინარე ლხინი ლხინსა ჰქნავდა და არა მუცელობასა...“

**თ. ხ.** — თუნდაც ეს ბოლო ფრაზა იმის ხაზგასმაა, რომ „მუცელობაც“ (ანუ „უმოწყალო სმაც“) არ იყო უცხო, თუმცა ის ლხინი არაა...

**გ. გ.** — სწორედ ამიტომ მოგონების ავტორი ამ ეპიზოდის აღნერისას საჭიროდ მიიჩნევს, სქოლიში ხაზგასმით განმარტოს: „უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველგან, თუმც ვანო ღვინოს სულ არა სვამდა, თამადათ იყო არჩეული დიდ თუ პატიარა ღირსშესანიშნავ წვეულებაზე“ (ჟურნალი „საგურამო“, 19, 2024).

\*\*\*

**თ. ხ.** — ესეც ვთქვათ, გიორგი: თამადის თქმული განსჯას არ ექვემდებარება. ეს ეხება როგორც სადღეგრძელოს თემას, სუფრაზე სადღეგრძელოთა ერარქიას, ისე სადღეგრძელოში ჩამოყალიბებულ აზრს.

საინტერესო მინიშნებას აკეთებს ამის შესახებ გიორგი ლეონიძე:

„ორბთ ხელმწიფის შვილს გაუმარჯოს! – ასწია თამადამ, თუმცა არავინ იცოდა ვინ იყო ორბთ ხელმწიფის შვილი ან რატომ სვამდნენ მის სადღეგრძელოს...“

**გ. გ.** — თამადობა საუკუნეობით განმტკიცებული ტრადიცია, ქართული ტრადიცია... სწორედ ამას გულისხმობს ცნობილი გამოთქმა: „**თამა სკავა, ნიკ სკავა!**“. ქართული სუფრის წესსა და რიგს, თამადობის ტრადიციას განუმარტავენ მას, ვისთვისაც უცხოა ამგვარი რამ...

თამადა ერთპიროვნული წინამძღოლია სუფრისა, არავითარი დემოკრატია! დიქტატურა!...

ეს ასპექტიც კარგად არის დაჭრილი შენს რომანში; დამაჯერებლადაა გადმოცემული, როგორ „შებედა“ სუფრის წევრმა თამადას „კრიტიკა“ (თუ ამას კრიტიკა ეთქმოდა), რასაც გაწევ-გამოწევა მოჰყოვა...

„შევგვრემანი, სქელკისერა ბიჭი — მშობელი ბუნების მიერ თავიდანვე თამადად ჩაფიქრებული — ამაოდ ცდილობდა სუფრის დაწყვეტილი მთლიანობის აღდგენას, მთელი ხმით ამბობდა მორიგ სადღეგრძელოს:

— ...და ასე თაობიდან თაობას უწყვეტად და დაუსრულებლად გადაეცემა ჯიში და გენი ჩვენი მოდგმისა. არავის არაფერი შეეძალოს! კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი...

— კარგი იყო, ის მაინც გცოდნოდა, ალგეთი სად არის და რა ლეკვები იზრდებიან იქ... — თვითონაც არ მოელოდა დემნა, ისე გამოუფრინდა ეს ფრაზა ბაგებიდან. უბოროტოდ, გულუბრყვილოდ, თითქოს ოთართან საუბარს აგრძელებსო შინაურულად.

გადაირია სქელკისერა, ველარავინ გააჩერა.

— გამოვიდეს გარეთ, ორ სიტყვას დაველაპარაკები ერთიერთზე, მეტი არაფერი!

დემნა უკვე ნანობდა ამ როყიოდ და დაუფიქრებლად წამოსროლილ წინადადებას...“

დემნა ალბათ, მართალი იყო, მაგრამ დაირღვა სუფრის ტრადიცია...

**თ. ხ.** — ქართველებისთვის ქვირფასი ტრადიციაა ეს... საუკუნეობით განმტკიცებული ტრადიცია... იცის ჩვენმა მეტოხელმა: ვანში ქანდაკება იპოვეს არქეოლოგებმა, ყანწი რომ უჭირავს ხელში, თამადა დაარქვეს – ამ ტრადიციის წყალბით...

**გ. გ.** — თამადობის ტრადიციასთან დაკავშირებით ის საინტერესო ამბავი გავიხსენოთ, თელაველმა კოლეგებმა რომ გვიამბეს:

XIX საუკუნის ბოლოს თელავში იყო ცნობილი თამადა, რომელიც ამ ტრადიციის შემონახვისათვის, დაცვისათვის, ღირსეული გავრძელებისათვის ზრუნავდა. გარდა იმისა, რომ ხშირად უწევდა ამ თავისი კურთხეული ნიჭის გამოვლენა თელავურ სუფრებზე, მას „სათამადო საკვირაო სკოლა“ ჰქონდა გამართული (სახელწოდება პირობითია და ჩვენია — გ.გ; თ.ხ.). მშობლებს მოჰყავდათ ყმანვილები (ახლომახლო სოფლებიდანაც კი), მოჰქონდათ ხელადა ღვინო, გუდის ყველი, დედას პური და „მასნავლებელი-თამადა“ „მსმენელებს“ უტარებდა გაკვეთილს თამადობაში...

ჩვენი თელაველი მეგობრის, პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის ცნობით, ეს კაცი კოტე ბახუტაშვილი იყო. ამ პიროვნების შესახებ საინტერესო ინფორმაცია და ფოტომასალა მოგვაწოდა პროფესორმა თენგიზ სიმაშვილმა: ფოტოზე ასეთი წარწერაა:

„კოტე ბახუტაშვილი — ცნობილი თამადა

გადაღებულია თელავში; ცენტრში ზის: კოტე ბახუტაშვილი; ვერსოზე: ფოტოატელიეს შტამპი და მინანძრი: „კოტე ბახუტაშვილის თამადობის იუბილის გადახდის გამო (25 წლის). ნადიკვრის დაბლა „ბეკონიჩის“ ეზოში კაკლის ხის ქვეშ. აქ არიან თელავის თითქმის ყველა უწყების მოსამსახურენი...“

თელავის საზოგადოებას კოტე ბახუტაშვილისათვის 1908 წელს თამადობის 25 წლის იუბილე გადაუხდიათ! ფოტოზე 50-ამდე კაცია — იმ-



დროინდელი თელავის საზოგადოება...

**თ. ხ.** — დიდებული ფაქტია. მარტო იმას რომ წარმოიდგენ კაცი, ქალაქი უხდის „სათამადო მოღვაწეობის“ იუბილეს (აქ არიან თელავის ყველა უწყების წარმომადგენელი — თელავის საპატიო საზოგადოება), გაიხარებს ჩვენნაირი კაცი — თამადობა პროფესიის დონეზეა აყვანილი... დაფასება და პატივისცემა ღირსეული ტრადიციისა...

**გ. გ.** — აი, ეს კოტე ბაზუტაშვილი ასწავლიდა ყმაწვილებს თამადობას...

**თ. ხ.** — ეტყობა, რა სახის (მიზანდასახულობის) სუფრაზე სადლეგრძელოები რა რიგით უნდა თქმულიყო; ცალკეულ სადლეგრძელოში რას უნდა მისცემოდა მნიშვნელობა და ა. შ.

**გ. გ.** — თელაველი თამადის შემთხვევა არ ჩანს ერთადერთი და გამონაკლისი. მე ჩემი ბავშვობა მახსენდება. ოკრიბაში, ტყიბულის რაიონში, ვიზრდებოდი. დედულეთიც ოკრიბაში მქონდა. ზაფხულობით ბებიასთან ვიყრიდით თავს ბიძაშვილ-მამიდაშვილები. ექვსი ბიჭი ვიყავით, ორი-სამი წლით განსხვავებული ერთმანეთისაგან. ბიძაჩემი გიორგი ჩვენთვის პატარა ჭურში აყენებდა ღვინოს.

რომ შევიყრიდით თავს, მოგვიხდიდა ჭურს, ტაბლას გაიტანდა ჭურის თავზე, ბიცოლა სუფრას გაგვიწყობდა და პატარა ქამრიანი ჭიქებით „ვქეიფობდით“... მორიგეობით გვათამადებდა; გვასწავლიდა, რა რიგით უნდა გვეთქვა სადლეგრძელოები და როგორ...

და ეს ზაფხულის განმავლობაში რამდენ-ჯერმე განმეორდებოდა... ცხადია, ყველას ერთნაირად არ გამოგვდიოდა... ბარემ ამასაც ვიტყვი: ბავშვობაში მეკვლედ გვინვევდნენ მეზობლები ახალ წელს. დილაადრიან შინიდან რომ გამიშვებდნენ, მშობლები გვასწავლიდნენ, როგორ უნდა შევსულიყვავით ოჯახში, რა უნდა გვეთქვა; საახალწლო სუფრასთან რა სადლეგრძელო უნდა შეგვესვა და როგორ... ესეც წვრთნა იყო...

**თ. ხ.** — ეს მტკიცე ქართული ტრადიცია ჩანს. როცა ამ საკითხზე ვსაუბრობდით, ჩვენმა მეგობარმა, ამ წიგნის დიზაინერმა ირაკლი ავალიან-მა თავისი სიყმანვილე გაისსენა. აქ, თბილისში, ვეძისში, ბავშვები თავს რომ მოვიყრიდით ბიძასთან, სუფრას გაგვიწყობდა, პატარა ჭიქებს ჩამოგვირიგებდა და რიგ-რიგობით სადლეგრძელოს გვათქმევინებდაო... ქართულია ეს ტრადიცია...

**გ. გ.** — ქართული კულტურის ნაწილია; ღვინის კულტურის შემადგენელი ელემენტია თამადა... ამიტომაც წვრთნიდნენ ბავშვობიდანვე... დიახ, ესეც წვრთნაა...

**თ. ხ.** — წვრთნა კი, მაგრამ მარტო წვრთნა ვერ უშველის... ხომ ვთქვით, თამადობა ნიჭია...

**გ. გ.** — ჰოდა, ქეთევან მაღალაშვილს სცოდნია თქმა: ვის დაუცემა ციდან ნიჭი, არავინ იცისო...

**თ. ხ.** — ისიც ნიჭია თამადისა, არ გადაღალოს სუფრა, არ გააპეზროს თანამეონაზეები... ცნობილი თამადა მუხრან მაჭავარიანი რომ ამბობს ხომ გახსოვს: — „ნიჭის საზომი წერტილია; სად და როდის დასვამ წერტილს, ესაა ნიჭის გამოვლენა!“ (ზოგადი შეგონება ეს)...

**გ. გ.** — ჰოდა, დავსვათ ჩვენც წერტილი... ისე მაინც მინდა ვთქვა: ეს ტრადიციაც ისეთი სიზუსტითაა შეს ნაწერებში, ეთნოგრაფს შეშურდება... ამ ტრადიციის შემონახვასა და განმტკიცებაში შენი წვლილიც იქნება, თამაზ...

**თ. ხ.** — და ალბათ ამ წიგნის წვლილიც...

### მამის მკერდივით საიმედო კავკასიონი

13



**გიორგი გოგოლაშვილი** — წინა ნოველაში დიდებული ვაჟა გავიხსენეთ: „ბუნება მბრძანებელიაო“... შეს შემოქმედებაზე საუბრისას ამ თემას ასე იოლად ვერ მოვრჩებით...

თამაზ, ეს ფინალია შენი რომანისა:

— „სილნალი სინათლეებით ეკიდა ცაში. ქვეშველი ჰქონდა გაშლილი. შორს, ველის გაღმა ვებერთელა, ჩაშავებული მთები იდგნენ მდუმარედ.

— რისთვის მოვდივართ? რისთვისა ვართ? რისთვის მივდივართ? — იყვირა, თუ მხოლოდ მოერვენა, რომ იყვირა დემნამ. თავისი ძახილი თვითონაც ვერ გაიგონა — სივრცემ ღრუბელივით შეინოვა, შეისრუტა.

პასუხის ღირსს ვინ გახდიდა, როცა გაღმა აყუდებულ მთებს — მამის მკერდივით საიმედო კავკასიონს, რომელსაც მისი დაჭრილ-დასახიჩრებული სამშობლო ზურგით მიყრდნობოდა და ხმლის ნატეხით ცდილობდა სისხლდახარტებული ყვავყორნების მოგერიებას — ექვც კი არ დაუბრუნებიათ უკან.

„ექ ქართული სიტყვა არ გახლავთ, მშობლიურად უპუ გვიქვიაო, ეგრე გვასწავლიან ძველები“ („დროის მკვლელები“).

**გ. გ.** — კავკასიონი შეს მოთხოვებშიც ხშირად შეგვხდება... კიდევ ერთ მაგალითსაც მოვიყვან:

**თ. ხ.** — „შუადლე დიდი ხნის გადასული არ იქნებოდა, უცაბედად რომ ჩამობნელდა და გომბორიდან წამოსულმა შავფაშვიამოშვებულმა, ჩახევულმა ღრუბელმა ერთიანად დაფარა სივრცე, ჩაიყლაპა, გაქრა, რაც რამე თვალგასახარი მეგულებოდა. აღარც დაბლა გულაღმა განოლილი მდედრი — აღაზნის ველი ჩანდა და არც იმ თმაშევერცხილილი მამრის — კავკასიონის — ციცაბოფერდობები“.

**გ. გ.** — კავკასიონისადმი შენი პერსონაჟების დამკიდებულება (ჯობია ვთქვა, შენი დამკიდებულება) გამორჩეულია...

კავკასიონი — მამის მკერდივით საიმედო...

№1 2025





კავკასიონი — თმაშევერცხლილი მამრი... და სხვა...

მაგალითები სხვაც შეიძლება:

— „საიდანაც ალაზნის ველი ფარდაგივით გაქვს ფეხევეშ გამლილი და თუ ძალიან მოინადინებ და მოაჯირს კარგად გადაეყუდები, შეიძლება კავკასიონსაც მიაწვდინო ხელი“...

„ლამის ჩემი წილი კავკასიონი შემაძულოს“ და სხვა...

**გ. გ.** — კავკასიონის თემაზე საუბრისას რეალური ფაქტი მინდა გავიხსენო თელავური მოგონებებიდან (ნოველის ბოლოს მეითხველი მიხვდება, რატომ ვიხსენებ ამ ამბავს):

თელავში, უნივერსიტეტში საინტერესო ამბავი მიაშეს პროფესორ ლეილა შალვაშვილის შესახებ:

ქ-ნი ლეილა შალვაშვილი თელავის რაიალ-მასკომში ბინის რიგში იდგა. ჩევენი თაობის ადამიანებმა იცაიან, რა პრობლემა იყო ეს საბჭოთა პერიოდში. ათეული წლები უხდებოდათ ლოდინი და ლეილა შალვაშვილმა მიიღო ბინა...

დატრიალდნენ მისი გახარებული მეგობრები, მოუწესრიგეს ბინა და მოუწყეს მუმბარაქი.

მეორე დღეს ქ-ნი ლეილა მიადგა რაიალმასკომის თავმჯდომარეს, მიართვა განცხადება — ჩაიბარე თქვენგან ბოძებული ბინაო... თან ბინის გასაღებიც დაუდო მაგიდაზე. სანამ განცხადებას ჩაიკითხავდა აღმასკომის თავმჯდომარე, დაბნეულმა შეხედა ქ-ნ ლეილას... თუმცა დაბნევა და გაკვივრება მერე გენახათ, როცა განცხადება ჩაიკითხა:

— ჩემი ბინიდან კავკასიონი არ ჩანს, ამიტომ დაიბრუნეთ ბინაო...

ეს ამბავი თელავში ანეკდოტად დატრიალდა... ახირებულობასა და უცნაურობაში ჩამოერთვა ეს ქ-ნ ლეილას...

მერე ეტყობა, მისცეს ისეთი ბინა, კავკასიონს რომ გასცეუროდა, მაგრამ ისევ ანეკდოტად იქცა „მორიგი ახირება“:

შინისაკენ მიმავალი ქ-ნი ლეილა აღმართს რომ შეუყვებოდა, გზადაგზა შეჩერდებოდა, შემობრუნდებოდა და ბოდიშს უხდიდა კავკასიონს

**თ. ხ.** — ებოდიშებოდა, ზურგი შეგაქციეო...

**გ. გ.** — ესეც ახირებად მიიჩნიეს, ქ-ნი ლეილა უცნაურობად...

თამაზ, რა არის ეს? რა ხდება? ქ-ნი ლეილა ქიზიყელია... ამონარიდს მოვიყვან ჩევენი ადრინდელი დიალოგიდან:

„პროფესორი ლეილა შალვაშვილი, ცნობილი ენათმეცნიერი, შენც კარგად გახსოვს, ჩევენი ახლო ნათესავი იყო. ჩემს ბავშვობაში სათობით უჯდა დედაჩემს და მის ნაუბარს იწერდა. თავიდან ეს მაღიზიანებდა, დედაჩემის ნათქვამ შეცდომებს ინუსხავს-მეტქი. მაგრამ მერე ამ საქმიანობამ მეც გამიტაცა და ჩემი ლექსიკონის შედგენა დავიწყე.

ეხლაც ბევრი იმ დროინდელი სიტყვა შემომრჩა ჩაწერილი, რომელსაც ვერცერთ და ვერანაირ ლექსიკონში ვერ იპოვი, თუმცა საჭირო და საინტერესო კი მგონია“.

**თ. ხ.** — ლეილა შალვაშვილი ჩემი უახლოესი ადამიანი იყო. ალალი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ ის და მამაჩემი. ნუკრიანში ჩვენი სახლები 30-40 მეტრის დაშორებით იდგა.

**გ. გ.** — მახსოვს, თამაზ, არაერთგზის გამოგიხატავს მადლიერება მის მიმართ.

**თ. ხ.** — ჩემს ცხოვრებაში ძალიან ცოტა ვინმე შემსვედრია ისეთი, რომ ჩემთვის ხელი წაეშველებინა, იმ გზაზე დავეყენებინე, რასაც მწერლობა ჰქვია. ლეილა იყო ასეთი:

ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. მამა ომში დაეღუპა: დედას დარჩა ორი პატარა გოგო... ეკონომიურად ძალიან უჭირდათ... მაინც ცდილობდა, ჩემთვისაც შეეძინა საინტერესო წიგნები. ასე მომიტანა რეზო ინანიშვილის მოთხობების პირველი კრებული. მითხრა, ძალიან საინტერესო მოთხობებია და მიაქციე ყურადღებაო...

თბილისში რომ ჩამოდიოდა, ჩვენთან რჩებოდა ხოლმე. სტუდენტობის დროინდელი ჩანაწერები პეტრი შემოკლებია — სოფელსოფელ რომ იწერდა დიალექტურ ტექსტებსა თუ ქიზიყურ ლექსიკას. მე გადმომცა ეს ჩანაწერები... ძვირფასი მასალაა...

**გ. გ.** — ქ-ნი ლეილა მე კავკასიონის თემატიკასთან დაკავშირებით გავიხსენე... როგორც ვთქვი, მისი დამოკიდებულება კავკასიონისადმი დღემდე ახირებად და უცნაურობად მიაჩნიათ და გასახალისებლად იხსენებენ. მე კავკასიონისადმი დამოკიდებულებაში ქ-ნ ლეილასა და მწერალ თამაზ ხმალაძეს შორის (ვითვალისწინებ შენს შემოქმედებას) მსგავსებას ვხედავ...

**თ. ხ.** — ალბათ ასეა...

**გ. გ.** — თუ ასეა, ქ-ნ ლეილას „ახირებულობისა“ თუ „უცნაურობის“ საკითხი გავარკვიოთ, ანდა თამაზ ხმალაძეც ისეთივე ახირებულად უნდა მივიჩნიოთ...

**თ. ხ.** — ლეილას ქმედებაში მე ახირებულს ვერაფერს ვხედავ...

**გ. გ.** — ვერც მე და, აი, რატომ:

გავიხსენოთ, ვინ იყო ქ-ნი ლეილა შალვაშვილი; გვაქვს თუ არა უფლება მისი პირველების გათვალისწინებით ვისაუბროთ „უცნაურობაზე“, „ახირებაზე“?

**თ. ხ.** — მე მირჩევნია შენ მოგისმინო, მიკერძოებულობაში რომ არ ჩამეთვალოს...

**გ. გ.** — პირადად მე მის გაკვეთილს არ დაესწრებივარ და მისი ლექცია არ მომისმენია, მაგრამ სხვათა აზრი ვიცი...

მე ვიცნობ მის მეცნიერულ საქმიანობას, მომისმენია არაერთი მოხსენება... დავსწრებივარ მისი სადოქტორო დისერტაციის დაცვას... დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ლეილა შალვაშვი-



ლი ჭეშმარიტი პროფესიონალი იყო...

იგი პედაგოგის შეუდარებელი ნიჭით იყო და-ჯილდოებული...

**თ. ხ.** — უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, ლეი-ლა ლაგოდების სოფელ ლელიანში იწყებს მას-ნავლებლობას... ქართულს ასწავლის... ყოველ-დღიურად ნუკრიანიდან დადიოდა ლელიანში... თბილისი-ლელიანის ავტობუსი ჩვენს სოფელზე გამოივლიდა და ლეილაც ყოველდღიური მგზავრი იყო მისი...

**გ. გ.** — თამაზ, შენ იცი ჩემი ინტერესი იაკო-ბის „დედა ენის“ მიმართ. მე გაოცებული დავრ-ჩი, როცა გავიგე, რომ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორმა ლეილამ თელავის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში პირველი კლასი აიყვანა და იაკობის 1912 წლის გამოცემული „დედაენით“ ასწავლიდა, მერე უნივერსიტეტში მოიყვანა თავისი მონაფეები და „სპექტაკლი“ მოგვიწყო...

როგორი სიყვარულით, საქმის ცოდნით, ენ-თუზიაზმით საუბრობდნენ პირველკლასელები 1912 წლის „დედაენაზე“ — როგორ განმარტა-ვდნენ მოძველებულ ლექსიკურ ერთეულებს, იმ დროის გრამატიკულ ფორმებსა თუ სხვა...

**თ. ხ.** — ეს „სპექტაკლი“ მეც ვნახე და დღემდე მომყვება ის აღტაცება...

**გ. გ.** — მერე გავეცანი სერგო კლდიაშვი-ლის მოგონებას დავით კლდიაშვილის შესახებ.

ვფიქრობ, ეს ქ-ნი ლეილას, როგორც პედაგოგის, მიმართ იგივე ითქმის. ცოტა ვრცელია, მაგრამ მოვიყვან მაგალითად (და არა მხოლოდ ამ შემთხ-ვევისათვის, არამედ ზოგადი შეგონებისათვის):

„დავითს ერთი თვისება ახასიათებდა: მას ჰქონდა ნიჭი გრძნობა და გონება გაელვიძებია იმ ადამიანში, ვინც, სხვათა აზრით, მოკლებული იყო ამ კაცურ ლირსებას. მე ვგრძნობ, რომ ვერ ვამბობ იმას, რაც მინდა ვთქვა. იქნებ ჩემი სათქმელი ამ ამბავმა უკეთ ახსნას:

ჩვენ გვყავდა ერთი მოჯამაგირე, ერქვა იესე. ხნიერი იყო. სადღაც, ოდესლაც სახლი და მამული ჰქონია. შემდეგ გაპარტახებულა. ამაზე თვითონ ლაპარაკი არ უყვარდა. მეზობლები გვირჩევდნენ: ნუ დაიყენებთ, მანანნალა კაცია, საქმის გამ-კეთებელი არაა, ზედმეტი ტვირთი იქნება ოჯახი-სათვის, მეტი არაფერი. დედამ მაინც დაიქირავა. იესეს საქმეზე უფრო მეტად ლაპარაკი უყვარდა. დედას იესე მალე მობეზრდა. სამაგიეროდ მამას შეუყვარდა. სოფელში მოწყენილმა დავითმა საუ-ბრის დიდი მოყვარული კაცი იშოვა. დავითს ეს ერჩია ყანისა და ვენახის მოვლას.

ერთხელ ასეთ სურათს შევესწარი: მამა და იესე ბუხართან სხედან, მამა ელაპარაკება ამერ-იკელი რომანისტის, ტეოდორ დრაიზერის წიგნის „ნიუ-იორკის სახეების“ შესახებ. ეს წიგნი ძალიან მოსწონდა დავითს და რამდენიმეჯერ ჰქონდა



კოტე ბახუტაშვილის თამადობის 25 წლის იუბილე. თელავი. 1908 წ.





ნაკითხული. მამა ისე ელაპარაკებოდა იქსეს, როგორც თანასხორს. მე გავკირდი, როცა იქსეს სახე დავინახე. ის დაკვირვებით უსმენდა. მისი თვალები, აქამდე თითქოს უგონო, ახლა აზრიანი მეჩვენა. შევხედე და დავრჩნებუნდი, რომ დავითის ნათქვამი კარგად ესმოდა.

და უეცრად იქსე ასეთ შენიშვნას იძლევა:

— ბოროტი ქალაქი ყოფილა, ბატონო. ხე იმას არ ჰქონია და მიწა. კაცი ქვაზე ვერ გეიხარებს!...

ამ დღიდან მე ვირწმუნე — ყველასათვის ყველაფერი გასაგებია, თუკი სიყვარულით მიხვალ მასთან“.

თუ რას ნიშნავს, „ყველასათვის ყველაფერი გასაგები იქნება, თუ სიყვარულით მიხვალ მასთან“, ამის ცოცხალი მაგალითი იყო სასწავლო წლის ბოლოს პირველკლასელთა მიერ ნაჩვენები „სპექტაკლი“...

**თ. ხ.** — ლეილას ნამდვილად „ჰქონდა ნიჭი იმისა, რომ გრძნობა და გონება გაელვიძებია იმ ადამიანში, ვინც სხვათა აზრით მოკლებული იყო ამ კაცურ ლირსებას“...

**გ. გ.** — მაგრამ ვერ შეძლო, კავკასიონი ისე დაენახვებინა სხვებისთვისაც, როგორც თვითონ ხედავდა... როგორც თამაზ ხმალაძე ხედავს...

როგორ გავიგოთ, თამაზ: იმ გარემოში, ქიზიყში, ასეთი იყო აღქმა კავკასიონისა?

**თ. ხ.** — რა გითხრა... ვიმეორებ, მე ახირებასა და უცნაურს ვერ ვხედავ-მეთქი... პირიქით, კავკასიონისადმი ლეილას დამოკიდებულებაში მე მის მაღალ პოეტურ ბუნებას ვხედავ. იცი, რა თქმა უნდა, რომ ლეილა ლექსებსაც წერდა...

**გ. გ.** — ასე ვთქვათ, შენ მიერ დანახული კავკასიონის გასააზრებლად და აღსაქმელად ქ-ნი ლეილასეული ხედვა გვეხმარება...

**თ. ხ.** — თუ ახირება და უცნაურობა, მეც ასე-თი ვარ... თუმცა არ არის ასე...

**გ. გ.** — თმაშევერცხლილი, გოროზი კავკასიონი (მამრი) ამაყად დაჰყურებს ალაზნის ველს (მდედრს)....

**თ. ხ.** — არა მარტო დაჰყურებს: ანაყოფიერებს კიდეც: კავკასიონის ფერდობებიდან ჩამონახვა ადენ მდინარეებს ჩამოაქვთ ნაყოფიერება...

**გ. გ.** — ესა შენი და ქ-ნი ლეილას ხედვა...

**თ. ხ.** — არა მხოლოდ ჩვენი, ბევრის, ძალიან ბევრის...

**გ. გ.** — სალოცავია...

**თ. ხ.** — ნამდვილად, ჩვენი სალოცავი არის... მინდოდა, ასეთი დამეხატა; კარგია თუ შევძელი...

კავკასიონი საოცრება არის. წარმოდგენაც საოცრებაა...

არ არსებობს კავკასიონი დღის სხვადასხვა მონაკვეთში ერთნაირი იყოს...

არ არსებობს კავკასიონი, დღეს და ხვალ რომ

არ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან...

არ არსებობს დრო წელიწადისა, რომ კავკასიონი ერთნაირი იყოს, არ განსხვავდებოდეს საკუთარი თავისაგან...

ესაა დასანახი და აღსაქმელი — **მრავალფეროვნება კავკასიონისა...**

**გ. გ.** — ამას ხედავენ და გრძნობენ ქ-ნი ლეილა შალვაშვილი და თამაზ ხმალაძე...

**თ. ხ.** — კავკასიონზე ვინც ცხოვრობს, ეტყობა, იმისთვის სხვაა... ჩვეულებრივი ყოფაა... მას არ შეუძლია ჩვენსავით შეადაროს კავკასიონი ალაზნის ველს, ან ივრის ზეგანს, ან გომბორის ქედს... ის კავკასიონის მეტს ვერაფერს ხედავს; ყოველდღიურობა არ აძლევს ამის საშუალებას...

**გ. გ.** — თამაზ, ერთი შენი პერსონაჟი (შიო) ამბობს, „ჩემი წილი კავკასიონიო“... ეს როგორ გავიგოთ?

**თ. ხ.** — ყველას საკუთარი კავკასიონი გვაქვს... ჩვენია, ქართულია...

**გ. გ.** — და იგივე შიო მეორე პერსონაჟის (კიაზის) შესახებ ამბობს: „ისეთი მყარი მზერა მიუბრჯენია კავკასიონისათვის, მეჩვენება ზედ კაცი იოლად გავლის“ („ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა“). ამ პასაჟში ამგვარად კავკასიონის ძალმოსილებაა გამოხატული თუ კიაზის ბუნება?

**თ. ხ.** — მე როცა გავიგე, რომ კავკასიონი თურმე სხვაგანაც იყო, არა მარტო საქართველოში, რა დაგიმალი და, პატარაობისას ძალიან განვიცადე... და ეს განცდა კიდევ უფრო ძლიერი იყო, როცა გავიგე, რომ კახეთის კავკასიონს ლეკის მთას ეძახდნენ...

**გ. გ.** — იმ მთის გადალმა (კავკასიონის გადალმა) დალესტანია, ლეკები ცხოვრობენ...

**თ. ხ.** — კავკასიონი იმათიცაა, იმათაც ისევე უყვართ, ალბათ, როგორც ჩვენ...

ესეც მიიფიქრია: რადგან საერთო გვაქვს კავკასიონი, ჩვენ და ლეკებს არ უნდა გაგვჭირვებოდა საერთო ენის გამონახვა...

**გ. გ.** — არადა გაგვიჭირდა... „ლეკიანობა“ ჩვენი ისტორიის მძიმე მოგონებაა... იმათი კავკასიონი სხვაგვარი გამოდგა, სხვა რამ ისწავლეს კავკასიონისაგან...

**თ. ხ.** — ამ კუთხით ნულარ გავაგრძელებთ საუბარს!...

ის გავიხსენოთ, მთელი ჩვენი ისტორია, წარმოდგენები, მითოლოგია კავკასიონის ირგვლივ ტრიალებს.

**გ. გ.** — მარტო კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის თქმულება რად ღირს...

**თ. ხ.** — ისე მაინც საოცრება მგონია, ჩემმო გიორგი, ხალხებს კავკასიონი ჰქონდეს საერთო და მისრაფებები და ინტერესები სხვადასხვა...

**გ. გ.** — შენ ამას ამბობ: ჩვენთვის თუ კავკასიონი „მამის მეტრიდივით სამედოვო“, მათთვის რატომ არ უნდა იყოს, არა?...



კახაბერ  
კავლიაშვილი

ଜ୍ଞାନୀ ମେଳିର୍କୁ ଲ୍ରାଙ୍କାର୍କୁ ଶ୍ଵେତରୀଗ୍ରହ,  
ଅସ୍ତିତ୍ବ, ନିର୍ମାଣ, ଶୈଖିକୀଯାରୀ ଯୁ.  
ନିର୍ମାଣ ଜ୍ଞାନ ପଦିମ୍ବ ବ୍ୟୋମରୀ ଓ  
ନିର୍ମାଣ ଫୋର୍ମ ଶିଖିକ୍ୟାର୍କୁତ୍ତଳୀ ଗ୍ରହିନୀ.


ପ୍ରକାଶନ କମିଶନ



## კახაზების სიმღერა

არც ძალიან ღარიბი ვარ,  
არც ძალიან მდიდარი ვარ,  
გული, მაინც, სიხარულით ფეხქავს.  
საქართველო შვილად მსახავს,  
კახაბრიობა დამანათლა,  
მართლაც, კახაბერი უნდა მერქვას!

დღისით წყლულებს გავუმთელებ,  
ლამეს ლოცვით გაცუთენბდ,  
სასოებით ვუმზერ ზეცის სარკმელს.  
სიძლერაა დასამლერი,  
სიყვარული — გასამხელი,  
საქართველო — ჩემი სულის სარკე.



ପାତ୍ରବିଧି  
ପାତ୍ରବିଧି

შევესიოთ ზვარს და ყანას,  
მოვუაროთ ჩვენს ქვეყანას,  
თორემ, მტრისგან ნუ მოელი შველას.  
საქართველოს ცის ნათელთან,  
ვისაც, როგორ ემართლება,  
იმ სიმართლით გაუმარჯოს კველას!

უბალოდ და უვენახოდ,  
მოყვარეს ვით დავენახოთ,  
გადახმა და გაინალდა ტევრი.  
გუთნის დედა გუთანს გაჰყვეს,  
მებალემ მიხედოს ბალებს,  
მეღვინემ ლვინით დაათროს ქვევრი.

„მუშა უნდა მუშაკობდეს,  
მეომარი გულორებდეს“,  
არ კარგავდეს რწმენასა და იმედს.  
ბერი უნდა კალმასობდეს,  
კახაბერი კახაბრობდეს,  
ფარად ედგას ამერსა და იმერს!





## გამოძახილი

მაშინაც, ასე კვნესოდა გული,  
მაშინაც, გრგვინვა ისმოდა მეხთა,  
როცა ბაზალეთს, გამწარებული  
ორი ქართველი ერთმანეთს ჩეხდა.

ერთი მეორეს ღალატს ჰყვედრიდა,  
თუმცა, ორივე, შემცდარი იყო.  
ორივეს ერგო მძიმე ხვედრი და  
ორივემ დიდი მსხვერპლი გაიღო.

და... მაშინდელი ბრძოლის შედეგად,  
ჩაკვდა მამული; გალალდნენ მტრები,  
და დაეკარგნენ ქართულ მშვენებას  
ქეთევანები და პაატები.

ახლაც, ასეა. ეს ისტორია –  
გაუგებრობის სამაგიერო,  
რად გვავიწყდება, რად გვავიწყდება,  
რად გვავიწყდება ერო და ბერო?!

## მე მზეს მათრობს

განა ღვინო? მზეც კი მათრობს, –  
– სხივებს მაწვდის ფიალებით,  
და, ამიტომ, სხვებს ჰგონიათ  
მუდამ, მთვრალი ვიარები.

ზეცა ჩემი სარკე არის  
და ღრუბელი ტანზე მეკვრის,  
ეს ვარსკვლავი ანათებს, თუ,  
მაგ თვალების ანარეკლი?

მითხარ, მელის მე რა ბედი?!..  
ბერად ვდგავარ შიომღვიმეს,  
ვარ მხრჩოლავი მე აბედი,  
მხოლოდ, შენ, თუ, გამალვივებ.

გაბანგულა თარით გული,  
ველარ იტევს ჩემი მკერდი.  
მსურს გრძნობების თაიგული  
მოგიძლვნა, ვით – ალავერდი!

განდეგილი და ყარიბი  
არ მსურს ვიყო ხმელთა კიდეს...  
ჯიხვის ყანწი მომაწოდეთ,  
რომ ალავერდს გადმოვიდე!..

განა ღვინო? მზეც კი მათრობს,  
სხივებს მაწვდის ფიალებით,  
და, ამიტომ, ზოგს ჰგონია –  
მართლა, მთვრალი ვიარები!



## მერამდენედ

მერამდენედ, პანაწინა მეთაურმა  
ჯოხის ხმალით დაიფრინა მტრის ჯარი,  
მერამდენედ, უფლისნულის ბედაურმა  
მზის სავარცხლით დაივარცხნა ფაფარი.

მერამდენედ, ცისარტყელამ გადო ხიდი  
და იმ ხიდზე მზემ ვარსკვლავი განათლა...  
მერამდენედ, მიეპარა ეზოს ბინდი  
და სიმღერას ჩაეხვია მარანთან.

მერამდენედ, გაგვირისხდა მაღლით ზევსი,  
მერამდენედ, გაგვიწილდა თემიდა...  
მერამდენედ, ქალალდს შერჩა სველი ლექსი,  
სველ ხელადას რომ გადმოჰყვა ყელიდან.

მერამდენედ, ზარბაზანის საზარელი  
ხმა ჩაახშო ჰანგმა ბულბულისამა,  
მერამდენედ ფოლადივით მტკიცე გული  
ორად გაჰყო პანაწინა ისარმა.

მერამდენედ, გამოცდილმა გამომცდელმა  
ამოცანა ვერ ამოხსნა მთლიანად,  
მერამდენედ, გაიტანა ბურთი მცველმა,  
თავდამსხმელმა, როცა დააგვიანა.

მერამდენედ, წეროების გუთნის ხნულში,  
მთვარემ სხივთა ელვარება დათესა...  
მერამდენედ, ჩავიჭერი სიყვარულში,  
მერამდენედ კარგი მეუარესა.

მერამდენედ, ვანგრევთ, უკვე, აშენებულს,  
მერამდენედ ვალამაზებთ ფასადებს,  
მერამდენედ, თავს ვუხრით მის მრისხანებას,  
ჩვენს ცხოვრებას, ვინც კაპიკის ფასს ადებს.

მერამდენედ, ერეკება ღრუბლებს ქარი...  
მერამდენედ, უფასური ფასდება.  
მერამდენედ, დასაფიცი საფიცარი,  
რწმენის კედელს ჭიქასავით ასკდება.

მერამდენედ, გატეხილი ვერ ვამთელე...  
მერამდენედ მტერი შევიბრალე.  
მერამდენედ... მერამდენედ... მერამდენედ...  
ვეღარ... ვეღარ... ვეღარ დავითვალე! .



## სულო პირველად


გულში რაღაც შემოიჭრა,  
სიოდ შეიძრიალა.  
თბილი გრძნობა დამიტოვა.  
მტკიცნეული კი არა.

ამიქროლა, ჩამიქროლა,  
ვერ გავიგე, რა იყო,  
ამიტაცა ღრუბლებს ზემოთ  
და ცის კარი გამილო.

გრძნეული ისარი მტყორცნა,  
ვარსკვლავივით კრიალა.  
ურუანტელმა დამიარა,  
ცეცხლად ამაბრიალა.

არც მზე იყო და არც მთვარე,  
არც ჭინკა, არც სატანა...  
მოვიდა და სიყვარული  
შენთან გამომატანა.

20



შოთა რუსთაველი.  
მხატვარი რეზო ადამია



## ზურაბ არსენიშვილი

უწინული თვისება სდევს „ძელ გალავანს“ – განა იქ ხალხი არ მიღი-მოდის, ანდა მანქანები არ დაგორავენ, მა-  
გრმ ყოველივეს მანე წარსულის მეუფი აზის – თოთქოს  
სადაც არის დარჩხნების აღმართი განკაზე მორიგი ლაშქრო-  
ნიდან მომდალმა ერეულებ უნდა ამორთავოს. შესაძლოა  
ეს შთაბეჭილებრა აგურით ნაგები ძეველი აიღნიანი სახლების  
გავლენაა ან ყაფორის გორაზე წამომართულ კვირიეს  
წახე-გალავანისა, მაგრმ აქ მყოფი კარ ფრონა და სივრცეში  
რომ იკრგება ეს უჟველია.

ზ. არსენიშვილი

21



## პაპაშვილიშვილობა

### ეპიზოდი პირველი

ნაშუადლევს ბიძაშვილმა დამირეკა – მძახ-  
ლები ჩამომიყვიდნენ თბილისიდან, შვილიშვილ-  
იც ჩამომიყვანეს და გადმოდიო. მეც თავბატი-  
უს რად დავიდებდი, მით უმეტეს, ვიცოდი, წინ  
ბაქმაზივით ლვინო მელოდა. ბიძაშვილი, ვაჭრო-  
ბის ყოფილი მუშაკი, ერთ დროს, თელავიდან  
კლაიპედამდე აბამდა ალებ-მიცემის ქსელებს და  
სსრკ-ს დაშლის შემდეგ ათმწკრივიანი ვენახის  
მოვლა-პატრონობა რად გაუჭირდებოდა! ზოგა-  
დად კი შესასწავლია ეს გარემოება თუ ვნება –  
ქართველი როგორც კი ცხოვრებას მოიმწვანი-  
ლებს (ანდა პირიქით!) დარჩენილ წუთისოფელს  
ვენახის მოვლა – ლვინის დაყენებაში ატარებს.  
ამ მოვლენას, რა თქმა უნდა, ილია გვერდს ვერ  
და არც აუვლიდა. მისი სიტყვებით – ვენახი და  
ლვინო ქართველისთვის არა მხოლოდ ეკონო-  
მიკური, არამედ სულიერი ცხოვრების წყაროც  
არის. აკი, ბოლო დროს, თვით სტალინმაც პო-  
ლიტბიუროზე ჯდომას, კუნცევოს სათბურებში  
გაშენებულ ვენახში ტრიალს ამჯობინებდა და  
აკი შეეწირა კიდეც ამ სწრაფვას – ბელადის  
მტრებმა მისი ხელით თუ ფეხით დაწურულ  
„ქინძმარაულში“ გაურიეს მომაკვდინებელი  
საწამლავი.

შორს ჩვენგან კრემლი თავისი ბნელი საქ-  
მეებით და ნაშუადლევზე თელავის ქუჩებს გავუ-  
ყევი. როგორც კი ხევსაღმა გადავედი, ქალაქის  
ხმაური თანდათან მინელდა და მალე გაუჩინარ-  
და კიდეც.

უცნაური თვისება სდევს „ძელ გალავანს“ –  
განა იქ ხალხი არ მიდი-მოდის, ანდა მანქა-  
ნები არ დაგორავენ, მაგრამ ყოველივეს მაინც  
წარსულის ბეჭედი აზის – თითქოს სადაც არის  
დაბახნების აღმართი განჯაზე მორიგი ლაშქრო-  
ბიდან მომავალმა ერეკლებ უნდა ამოათავოსო.  
შესაძლოა ეს შთაბეჭდილება აგურით ნაგები  
ძველი აიგნიანი სახლების გავლენაა ან ყადორის

გორაზე წამომართულ კვირიკეს ციხე-გალავნი-  
სა, მაგრამ აქ მყოფი კაცი დროსა და სივრცეში  
რომ იკარგება ეს უეჭველია.

ეს სიცარიელე-სიმარტოვე, ცოტა არ იყოს,  
ბურძგლის კიდეც კაცს და მეც ნაბიჯს ავუჩქა-  
რე. ჯილდოდ ქუჩის თავში ახალგაზრდა ქალი  
დავლანდე, ბავშვის ეტლის წინ წაგდებით მომა-  
ვალი. როცა დედა-შვილს მივუახლოვდი, ტანში  
სითბომ დამიარა და გავიფიქრე – აი, რა აკლია  
თურმე აქაურ, ტურისტთა მოსაზიდად შემონახ-  
ულ ერთ-ორსართულიან უბანსთქო და გრძნო-  
ბამოჭარბებულმა ბავშს მონდომებით გავულიმე.  
მან კი, ცაცუკების გამოწოდებით, ლულუნა ხმით  
გამომძახა – ბაბუ, ბაბუო. აი ჩემი დაბურძგვლა  
მაშინ უნდა გენახათ! რა დასამალია და კახელს  
„ბაბუ“ წუ დაუძახებ და ღვინოს წუ დაუწუნებ,  
დანარჩენი რა უნდა იყოს ისეთი რომ არ გეპა-  
ტიოს!

ბედად იქვე მაღაზია (უკაცრავად, მარკე-  
ტი!) მიკრავდა მწვანე თვალს და შიგ სწრა-  
ფად შევედი, უფრო კი შევვარდი. კარგა ხანს  
ვარჩიე წუგბარი – ხუმრობა ხომ არ იყო, პირ-  
ველად უნდა შევცვედროდი ახალ მძახლებს და  
მათ მონაგარს!. გარეთ რომ გამოვედი, მიზან-  
თან ახლო მყოფმა, ფეხს ავუჩქარე. ნაცნობი  
ეზოს კარი ღონივრად შევალე და კინალამ უკვე  
ერთხელ ნანას ახალგაზრდა ქალბატონს შევე-  
ჯახე. იქვე მდგომმა ბიძაშვილმა, ჩურჩულით  
ჯერ რძალი გამაცნო და მერე სიამაყით მძინარე  
ბავშვზე მიმანიშნა – ეს კი ჩვენი გვარის გამგრ-  
ძელებელიაო.

სალამ-ქალამის შემდეგ მალევე მივუსხედ-  
ით მარნის სიგრილეში გაშლილ სუფრას. ღვინო,  
როგორც ყოველთვის, სამაგალითო გამოდგა –  
მზეჩამდგარი და მათრობელა.

როცა წამდინარევი ბიჭი სადლეგრძელებ-  
ლად შემოიყვანეს, თითო ლიტრს ალარაფერი

№1 2025





გვაკლდა. ცოტა ხნის წინ ქუჩაში გამოჩენილი სულმოკლეობით შეწუხებულმა, უკვე მე გავინოდე მისკენ ხელები – მოდი გენაცვალე ბაბუსთან-თქო. ბავშვი მცირედ შეყოვნდა და ცრემლმორეულმა წამოიძახა – არა, მე პაპასთან

## ეპიზოდი მეორე

როდესაც ჩემს ძმას შვილთაშვილი ეყოლა, დიდად გავიხარეთ. აკი ნათქვამია – შვილიშვილი შაქარია და შვილთაშვილი თაფლიო.

როგორც კი ბიჭი ფეხზე დადგა თელავში ჩამოიყვანეს, რათა კახეთის სურნელი და მადლი შეეგრძნო. ნიკო მალე შეეთვისა ნადიკვრის კარუსელს და მამალოს, ალაზნის ველს და კავკასიონს. ერთი უხერხულობა მაინც აყვა ბავშვის კახეთში ყოფნას. დასავლეთელი მძახლები მისგან ჩემთვის „ბაბუს“ დაძახებას ითხოვდნენ, დამხვდურნი კი „პაპისას“. ნიკო როგორც კი სადერმაკაციო ხაზს გამოსცდებოდა (ორ ეზოს შუა, მუდამ ღია კარჩაბმულ მავთულბადეს) „პაპას“ ძახილით ჩემკენ, უფრო კი კომპიუტერისკენ გამორბოდა.

ტრადიციულ დავაში „პაპის“ ამღიარებელი ამაგდარი მეცნიერნი, თედო სახოკია და შალვა ნუცუბიძე გვიმაგრებდნენ ზურგს, მონინააღმდეგენი კი შევარდნაძეს გვიხსენებდნენ, როგორ მეორედ მობრუნებისას, ლიხთ აქეთ თუ იქეთ, ყველა „ბაბუს“ ეძახოდა (ზოგჯერ თოვლისასაც).

## ეპიზოდი მესამე

თელავში, განსაკუთრებით შემოდგომობით, ღონისძიებათა სიმრავლეა. ერთერთზე, თბილისელ ხელოვან ქალთა მიერ ორგანიზებულზე, მე და ჩემი ოჯახიც მიგვინვიეს. ან სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა აქტივობას, „ელენე, ზაირა და...“ ერქვა. უფრო გასაგები რომ იყოს, შეხვედრა ელენე ახვლედიანის და ზაირა არსენიშვილის ცხოვრება-შემოქმედებას ეძღვნებოდა და „...მანდ ვინ მოდის მომავლიდან“ თემასაც ეხმაურებოდა.

დრო და ადგილი, შემოდგომის ქარვისფერი შუქით განათებული ბატონის ციხე და მისი შემოგარენი, ნამდვილად ხელს უწყობდა ამაღლებულ განწყობას. იქაც, ციხე-გალავნის ჩრდილოეთის კედელზე მიბჯენილ ავანსცენიდან, ცნობილი საესტრადო მომღერალი სასიყვარულო-პატრიოტულ სიმღერებით ატკბობდა და ამხნევებდა მსმენელს.

მუზეუმელთა მტკიცებით, სწორედ ამ შემაღლებიდან (რომლის ფიცრებიც თავისთავად ცხადია, უამიდან უამამდე იცვლებოდა და იცვლება) პატარა კახს კავკასიონის ჭოგრიტით თვალიერება უყვარდა. უფრო კი ყადორის

მინდაო და ბიძაშვილს ყელზე შემომეხვია. „პაპამ“ კი ჩემკენ გადმოხრით ჩამიჩურჩულა – შენმა ძალომ, ბოლლინო აჭამა კაცს და საჩვენოში გადმოაბრძანაო.

თუ რატომ ამას შეხსენება არ სჭირდება. თუმცა მაინც – მის ჩამოსვლას მოყვა თავისუფალ, მაგრამ დაპირისპირებით და უთაობა-ლალატით გალატაკებულ ქვეყანაში, ჰუმანიტარული დახმარების საკვებ-ტანასაცმლის ფუთები.

მაგრამ ისევ ნიკოს რომ მივუბრუნდეთ. ბავშვს კლასიკური მუსიკის სიყვარული აღმოაჩნდა, განსაკუთრებით კი საოპერო უანრის. როგორც კი ეკრანზე ლურიანო პავაროტის, ჭლასილ დომინგოს და ხოსე კარერასის ცნობილ კონცერტ -შეჯიბრს დავაყენებდით და ჩავრთავდით, ჩვენთვის არაფერი აღარ არსებობდა. ასე გასინჯეთ, თავად ლიხის ქედი, აქეთ-იქით თავის პაპა-ბაბუათი. არ ვიცი, ნიკოს მუსიკალურ თვალსაწიერს დავაბრალო თუ მის ირგვლივ არსებულ ვითარების გამოსწორების სურვილს, ერთხელაც ჩემკენ გამოცეცულმა, შორიდანვე გამომდახა – პავაროტი, პავაროტი, პაპუაო. ამ შეძახილმა ყველას იარაღი აყარა და „სამოქალაქი ომიც“ დავიწყებას მიეცა.

გადმოსასვლელის მოჩხრეკა, რათა, ვთქვათ, ხოხვით მოპარულ ღლილვებს შილდა-ენისელი არ დაეწიოკებინათ. ეჭვგარეშეა, ამ დროს, იქვე წინ და უკან მოსიარულე დარეჯან დედოფლალი მორიგ ჩვილს ანუ ბატონიშვილს უგურგურებდა. ქართველი კაცისთვის ფრიად ჩვეულ ისტორიზმში რომ არ გადავვარდნილიყავი, ეზოს დავუწყე თვალიერება. აქაც ყველაფერი მოწესრიგებული ჩანდა – რამდენიმე რიგად ჩამწკრივებულ სკამებზე მაყურებელ-მსმენელი ისხდნენ. ერთიორი ცარიელი ადგილი კი ჯერაც ელოდა პატრონს (დამჯდომს).

ღონისძიების სულისჩამდგმელი ქალბატონები, ერთად იყვნენ შეჯგუფებულები და როგორც ახლა იტყვიან, სიტუაციას აკონტროლებდნენ. ლენინის თქმისა არ იყოს, მაკონტროლებელსაც სჭირდება კონტროლი და თუმცა მე ეს არანაირად არ მევალებოდა, თავისდაუნებურად თვალი გადავავლე შეხვედრის ორგანიზატორებს.

ნურავის ეწყინება და დედაქალაქის შარმი, გინდ ექნი სულ სხვაა. სიგარეტის სახალხოდ წევას და საჩვენებელი თითის მოხდენილი მოძრაობით ფერფლის დაბერტყვას არ ვგულისხ-




მობ! ეს რაიცენტრებში და თვით სოფლადაც კარგად აქვთ ათვისებული გოგონებს (უფროს თაობაზე თავს ვერ დავდებ!). მაგრამ ვერა-ვაკელი სტილისტები, თუნდაც მცირე ხნით, ისეთ სილამაზეს ქმნიან, თავი ჰოლივუდში გეგონება.

ფიქრი წამით შემიფერხდა, რადგან მივხვდი, ჩემ მეუღლეს ჩამოსულებში ძველი ნაცნობი გამოენახა და სტუმარ-მასპინძელი ტკბილად (ალბათ!) საუბრობდა. მალე დედას ქალიშვილმაც მიბაძა და ლონისძიებას თბილისიდან ატორლიალებულ თანაკურსელ ბიჭს მკლავი გამოსდო. ერთი სიტყვით, ოჯახიდან მხოლოდ მე დავრჩი ეულად. ხმამაღლა ამას რა მათქმევინებს და ზოგადად, იმედის მომცემ სიმარტოვეს არც არასდროს გავქცევივარ!

ისევ ერეკლეს რომ მივუბრუნდეთ. ბუნებით მოძრავ, მებრძოლ მხედარს, ალბათ რარიგ ტანჯავდა საელჩო დარბაზში ტახტზე ჯდომა და უცხოელ თუ ადგილობრივ, ოქრო-ვერცხლზე დახარბებულ დიდებულების დროში განელილი საუბრები. იქაც დედოფალი დარეჯანი თავისი ეჭვებით. ზოგის თქმით, მისი მრავალშვილიანობა ანა აბაშიძის კვალის წამლას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ქართველთა გამრავლების კეთილშობილურ მიზანს. ისევ ზოგის თქმით, დედოფლის რუსეთისადმი სიძულვილი კი ერეკლეს თეთრი დედოფლისადმი ხშირ მიმონერას ეფუძნებოდა. კიდევ კარგი დარეჯანი, ამ ცოტა ხნის წინ ირლანდიის ბიბლიოთეკაში ერეკლეზე ახალი დოკუმენტების აღმოჩენას ვერ მოესწრო, რომელთა მიხედვით ფრიდრიხ II-ის არმიაში კაპრალად მსახურების დროს, ერეკლე და რუსეთის მომავალი იმპერატრიცა ეკატერინა (რომლის იმ დროისთვის ქალიშვილობის გვარი – სოფია, ფრედერიკა, ავგუსტა ანგალტ-ცერბსტისკაია იყო) პოდამის სან-სუსის ბალებში, რამის დილის საარამდე სეირნობდნენ და ვინ იცის, ბუჩქებიდან გამოსულ პრინცესას ყველა გვარი ბაგრატოვნობით იყო გაჭრილი.

ვხვდებოდი, წარსულში ექსკურსით კვლავ ვშორდებოდი დღის წესრიგს და დაჯდომა გადავწყვიტე. ხალხში გარევა დროებით მაინც დამავიწყებდა სამშობლოს მდელვარე წარსულს და არა ნაკლებ არჩევნებით აბურდულ-დაბურდულ დღევანდელობას! მივიხედ-მოვიხედე მაგრამ თავისუფალი ადგილი ველარსად დავლანდე (აი, მეტისმეტი და უადგილო განსჯის შედეგი!). თუმცა ისიც ნათელია, რომ „ჰომო საპინსი“, რომლის რიგს მეტნაკლებად ყვე-



## ზურაპ არსენიშვილი

ლანი მივეკუთნებით, ნებისმიერი გარემოებიდან ხეირს ნახულობს. ვინ თქვა, რომ დგომა ჯდომას არ ჯობია! უფრო მეტიც, დგომა წამალია და მე მას „ანტილიპინს“ ვუნოდებ, თუ რატომ ამას ყველა წონასთან მებრძოლი კაცი თუ ქალი მიმიხვდება. ეგეც რომ არა, ჩემი სიმაღლიდან (182სმ!) კარგად მოჩანდნენ ზეიმის მონაწილენი – ნორჩი მხატვრები ელენე ახვლედიანის პოსტერებს აკოპირებდნენ, ლიტერატურის მოყვარულნი კი ზარას წიგნებიდან ამონარიდებს კითხულობდნენ:

23



...უფალო, კვლავაც გევედრები.

მესაჭუობას ხუ მიანდობ ბრიყვს და უმეცარს, ვის ტვინშიაც ჩიტი ნისკარტს ვერ

დაისველებს...

შენ შეაფერხე ფუჭი სრბოლა მწყრების სპასეტთა

თქარათქურით რომ მიაჭენებ ცხოვრების შარას.

ამ სტრიქონებს განსაკუთრებული ტაში მოყვა (პიველი რიგის გამოკლებით – თავშეკავება ხომ ზემდგომთა მოვალეობა-ლირსება!). ხელისუფლება და ხალხი, ყველა დროის გადაუჭრელი დილემა და სანამ, ამჯერად ერეკლეს თავსატეხიდან (ირანი, თურქეთი თუ რუსეთი) თანამედროვე პოლიტიკის მორევში გადავეშვებოდი, კვლავ შეადლის თუ სალამოს ეშხიან ორგანიზატორებს მოვალე თვალი და გავიფიქრე, ღმერთი-რჯული მე რომ პოეტი ვიყო (მხოლოდ ისტორიკოს-რომანტიკოსი ვარ!), საზოგადოდ არცთუ საქებარ, ცხოვრების შემთხვევით გარემოებებით ტკბობის ნიჭს მივუძლნიდი ლექს-თქო. ექსტრასენსობის და ზოგადად მჩხიბაობის არ მჯერა მაგრამ ტანით ვიგრძენი – ერთერთი ქალბატონი დაეთანხმა ამ მოსაზრებას და უფრო მეტიც, ჩემკენ გამოემართა. მეც მხრები შევათამაშე და კარასავით (ჩემი სეტერია, მიყვარს ნადირობა!) გავინაბე. სანამ ქალბატონი ჩემამდე მოვიდოდა მივხვდი, სადღაც მყავდა ნანახი, თანაც არაერთხელ. ალბათ დედაქალაქში ყოფნისას ტრამვაი-ტროლეიბუსში-თქო გავიფიქრე, თუმცა ვარაუდი იქვე უარვყვავი, რადგან ასე ჩატმულ-დახატულები საზტრანსპორტით არ დაიარებიან! სტუმრის თხოვნა მოულოდნელი და სასიამონო (რომ არ ვთქვა ამაღლებელი!) გამოდგა. მშვენიერმა ქალბატონმა ხელი გამომიწოდა და შემომცინა – ვიცეკვოთო. ცოტა არ იყოს შევრჩევიდი – საღამონ ხომ სულ სხვა მიმართულებას ითვალისწინებდა, მაგრამ ჯანსაღმა ინსტიქტმა მძლია და უმაღლესი მარჯვენა

ოლქა №1 2025





### მხატვარი სოფიო ჭელიძე

ხელით ქალის მოქნილი წელი მოვდებნე, მარცხ-ენაში კი მეწყვილის ფაფუკი მტევანი მოვიგდე და როგორ არა, გზადაგზა, ზოგადად ქალის მექრდის უსასრულობაში კიდევ ერთხელ დავრ-მეუნდი.

კაცი ვიყავი და ცეკვაც მე უნდა მექარნახა! ყველაზე სასურველი, ლამბადა, იმთავითვე გა-მოირიცხა, თუნდაც ადგილის სიმცირის და ირგვლივ მცირენლოვან გოგო-ბიჭთა სიმრავლის გამო. მაღალი ბალახი არც ვალს-ფოქსროტისთვის იძლეოდა გასაქანს და ისევ ადგილზე რწ-ევა ვამჯობინე, ქუთაისელები ჭიბხაუნას რომ ეძახიან. მეწყვილე ერთბაშად მომენდო და ჩემ მოძრაობას აჰყვა. მეც დავმშვიდდი – ბოლოს და ბოლოს ვისი რა საქმეა – ორი, ზრდასრული (მე განსაკუთრებით!) ადამიანი რიტმში ირწევა და მაღალ ხელოვნებაზე (ვთქვათ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსთნყობაზე ანდა ბექა და ბეშქენ ოპიზ-რების საჭრეთელზე!) მსჯელობს.

მერე და მერე ფიქრს და წარმოსახვას მეტი ასპარეზი მიეცა, რომლის ლაიტმოტივი – წამო შეჩერდი, შენ მშვენიერი ხარ – იყო. თუმც ერთ ადგილს ვტეპნიდით, მაგრამ გახურებული სხ-ეულები სულ უფრო ზემოთ და ზემოთ მიგვე-ნეოდა. მალე ზეიმის ხმებიც გაუჩინარდა და ჩევენ მხოლოდ ერთმანეთის ძალუმი სუნთქვა გვესმოდა. მდუმარე ქალაქი კი დროდადრო შო-

რეული მამლის ყივილით ან ძალლის ყეფით გვახსენებდა თავს (რა ლამაზი ხარ შვიდ ბორცვზე ზმორებით გაწოლილო თელავო!)

მალე მთა ცივს და ზედ აღმართულ სარეტრანსილაციო ანძასაც ვუწიეთ და გონებაც ერთბაშად გამეხსნა – რა თქმა უნდა, ჩემი მეწყვილე ცნობილი ტელეარხის ცნობილი წამყვანი იყო!

სიამაყემ ცოდვილ დედამიწისაკ-ენ ჩახედვა მიკარნახა და რა გასაკვირია, რომ ამდროს ცალი თვალით ცოლშვილ-იც მომეჩხრიკა! მეუღლე (რა უშელავათო, აპეურ-ტაბიკებით გათანგული ერთობის აღმინშვნელი სიტყვა!) ნაცნობ ქალბა-ტონთან ერთად ეზოს წრეზე უვლიდა და მათ კვალში ქალიშვილი და ნაადრევად გამელოტებული (ეს გარემოება ზემოდან თვალნათლივ მოჩანდა) კურსელი მიყვე-ბოდნენ. ერთი რასაც მივხვდი, ბიჭის ქოჩისა არ იყოს, მაყურებელიც შეთხ-ელებულიყო და შესაბამისად ეჭვიანობის ოჯახური წრეც სულ უფრო ვიწროვდებო-და. მსწრაფლ მიწაზე დავეშვი. უხერხულო-ბის დასაფარად გამოსავალიც მოვდებნე – საფრთხის მოახლოებისას, თვალების ეშმაკური მონქურვით, მეწყვილეს ვაუ-ნებდი – ვაი ცოლი, ვაი შვილი-თქო და მელავების წინ გამართვით, ერთმანეთს ზორბად (ჩევენ შორის ხბო თუ არა ბატყანი რომ გაეტეოდა) ვშორდებოდით.

თუ მკითხავთ, ეს მახვილგონივრული თამა-ში სტუმარსაც უნდა მოსწონებოდა, მაგრამ რამდენიმე „ვაი ცოლი, ვაი შვილის“ შემდეგ, ქალბატონმა ლიმილით მკითხა, შემთხვევით თქვენი შვილიმვილებიც აქ სადმე ხომ არი-ანო. ბავშვების ხსენებაზე ჩევეული მღელვარება დამეუფლა და ფრიადოსან (ამ ათოსანს ვერა-ფრით ვერ შევეჩვიე!) მოსწავლესავით სხაპასხ-უპით ჩავარაკარაკე – არა! გოგო გერმანიაში სწავლობს, ბიჭები – ერთი იტალიაში, მეორე იაპონიაში-მეთქი. გილოცავთო, თავის მსუბუქი დაკვრით კვლავ გამილიმა ქალბატონმა, შეტრი-ალდა და მოხდენილი ტანის რხევით ლამაზთა დასისაკენ გაემართა. უცნაურია – ყველა და-კარგული ქალი, ზურგიდან აღიბეჭდება ჩემს მეხსიერებაში!

ამასობაში, ზეიმის დასრულების ნიშნად, მომღერალმა ტკრციალით გამორთო მიკრო-ფონი და მოშიებულ-მონქურებული ხალხიც მსწრაფლ წავიდ-წამოვიდა. ჩევეული სიცარი-ელე-სიმარტოვე კვლავ დაეპატრონა ბატონის ციხის კედელ-ქონგურებს და მეც აჩქარებული ნაბიჯით მაღალთაღიანი ჭიშკრისაკენ გავქუ-სლე, იქითკენ, სადაც ცოლ-შვილი მეგულებოდა.



3mgbns

כט

၁၆၅

გულის სხივით ზაფეს მოვქმედო  
 და ართა ან გაგიძევებ,  
 სხივებს მოგრუშ, ლფნის ნაწყლად,  
 მაგ გულს სხივით აგილებ.  
 ახლოს ხან და მენაჭრენი,  
 შორის ხან, გეტროფი, — შორიდან,  
 საოცარი სიყვარული  
 უითხავთ მოვიდა.

## 5. ქანონური



25

תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה

## ჩემი პერსონალის

გულით დამაქვს მწუხარება,  
არავისთვის გამინდვია;  
ცას ცრემლები სცვივა, სცვივა,  
მართლაც, მწუხრის ამინდია,  
დგას გვიანი შემოდგომა,  
ფოთოლცვენა სევდით მავსეპს,  
ღამემ ჩემთან გაათია,  
დაგალ, – ისევ, ფიქრით, ასე...  
ქარმა ხეებს გამოსტაცა,  
ბევრი შვილი ნაფერები  
ნეტავ, ისევ, ეხსომებათ –  
ყველა ფოთლის სახელები?!..  
დღო კი მიპქრის, დღო კი მიპქრის,  
სიბერე კარს მომდგომია,  
სევდის სევდა, მწუხრის მწუხრი,  
ულერს ქარების სიმფონია.  
გულით დამაქვს მწუხარება,  
არავისთვის გამინდვია,  
ცას ცრემლების მძივი სცვივა,  
მართლაც, მწუხრის ამინდია.



ანა განოვანი

ხომ, უკვე, წავიდა.  
სულ, თქვენზე ფიქრია, –  
ასე, რომ... ანთია,  
მსურს, მუდამ, მხნედ შევხვდეთ:  
დილას და... განთაღდე!..  
გისურვებთ – სიყვარულს:  
იმერ და ამიერ,  
სულ, მუდამ, ვისმენდე:  
თქვენს მრავალუადიერს!..

## ანგელოზის ფალოვა

ଓଡ଼ିଆ

მე ანგელოზი ვარ, –  
ვუყვარვარ?.. მათი ვარ,  
ლამაზი სამყაროს  
შუქურად ვანთივარ.  
მე მიყვარს ბუნება, –  
უბადლო ფერებით  
სუყველას დაგლოცავთ  
და მოგეფერებით.  
უფალს ვთხოვ, გაჩუქოთ  
მშვიდობა, სინათლე  
და... ამ, სახალწლოდ,  
მხოლოდ, ერთს ვინატრებ:  
აგვესოთ ოჯახი – ბარაქით ხვავითა,  
ის წელი, რაც იყო,

ფიფქები, ფიფქები, ფიფქები,  
ფიფქები, ფიფქების ზღვა;  
სითეთრე, სითეთრე, სინაზე,  
საოცრად ლამაზი ცა.  
სულშიაც ნათელი ჩამდგარა,  
გული კი სიამით ძერს;  
გათენდა ლამაზი დილა და...  
დალამდა ლამაზი დღე.  
ქათქათა, ქათქათა, ფანტელი,  
და თეთრი პეპლების ზღვა:  
სითეთრე, სითეთრე, სინაზე,  
საოცრად ლამაზი ცა.



## უკითხავად მოვიდა...

ახლოს ხარ და მენატრები,  
შორს ხარ მეტრფი შორიდან,  
საოცარი სიყვარული,  
უკითხავად მოვიდა.  
ჩემო, მზევ და ჩემო მთვარევ,  
ვარსკვლავების სადარო,  
მსურს გაჩუქო ჩემი გული  
და ლამაზი სამყარო.  
ჩემო, მათრობელა ღვინოვ  
ჩემო სულის ზედაშევ,  
სიყვარულმა გაგვახარა, –

გადაგვრია მე და შენ.  
ჭრილობები მომიშუშე,  
შენ ხარ ჩემი მალამო.  
ჩემო ოცნებების წყაროვ,  
სიყვარულის აღამო.  
გულის სხივით ბადეს მოვქსოვ  
და არსად არ გაგიშვებ,  
სხივებს მოგცემ, ღვინის ნაცვლად,  
მაგ გულს სხივით აგიღსებ  
ახლოს ხარ და მენატრები,  
შორს ხარ, გეტრფი, – შორიდან,  
საოცარი სიყვარული  
უკითხავად მოვიდა.

26



## მეუზნებიან შენი თვალები...

სიტყვებით არ გითქვამს – მიყვარხარო,  
მეუბნებოდნენ შენი თვალები.  
ვიცოდი, როგორც იტანჯებოდი  
და უცეცხლოდ, – მწვავდა – ალები.  
ვიცი, გეწვია – ის, სასწაული, –  
სიყვარული რომ ჰქვია სახელად;  
ნეტავი, ასე რატომ გიჭირდა,  
ლამაზი გრძნობის ჩემთვის გამხელა?!..  
მე კი, – ვიცოდი – შენი ფიქრები...  
და... შენი სევდის მიზეზს ვხვდებოდი.  
რად მაყოლებდი თვალებს დარდიანს?!  
ან ასე რატომ გენატრებოდი?!..  
ლამეებს რატომ ათევდი თეთრად,?!..  
გულით დამქონდა ჩემი ნალველი,  
რატომ ნატრობდი ჩემთან შეხვედრას?!..  
რად შეგიყვარდა ჩემი სახელი?!.  
შენ დარჩი, ისევ, მარტო ფიქრებთან:  
და... ნამთვრალევი დაიარები.  
ვიცი, რომ, ისევ, ისე გიყვარვარ,  
ამას მიმხელნ შენი თვალები,  
ვიცი, რომ იწვი, – კელაპტარივით...  
და მიკიდია მწველი ალები.



3mgbns

თამარ  
კოლეგიალი

תְּבִ�ָה

შენა ხარ: ჩემი სულიოს საკლონები,  
შენტე ვეიძნევდი ლამზაზ სტრიქონებს,  
რომ მყვარეობოდა მთელი სამყარო,  
ჟორჯთ, იმიტომ გამოგიგონე.  
რომ ამეცნა დონის სიმახუთლე,  
ვფლები, კოხვავდი, რა არ ვიღონე?!  
შენტე, ფერით რომ გული გაძეობო,  
არ, ამიტომ გამოგიგონე.  
დონ კი წავიდა... დონ უფარფელი,  
გულში არაფერს რომ არ იჭოვებს,  
ჟერმარიტერ ლრმაზ რომ შემეგრძო,  
მიცხვდი, ამიტომ გამოგიგონე...

### က. ပုဂ္ဂလာရေးဝန်ဆောင်ခွဲ



27

መሸጋዥ ገዢዩንዎች...

რატომ გვიყვარს ასე, ძლიერ,  
ჩვენი ცა და ხმელეთი,  
ზღაპრულ ბაღნარს რომ ედრება  
კახეთი თუ, ჰერეთი.  
ჩრთილოეთით – ბუმბერაზი  
მთები წამომართულა,  
ისე დგანან, შეუპოვრად,  
დგანან, მართლაც ქართულად,  
ტანზე – ჩოხად მოურგიათ:  
მწვანე ტყეთა საფარი,  
თუ, დაეძებ ქვეყნად ედემს  
და... სამოთხეს, – აქ არი.  
ნუთუ, მსგავსი სილმაზის  
არის სადმე ბადალი?!..  
იმიტომაც, გვესეოდა –  
სპარსელი, თუ თათარი.  
ბალებს, ვაზებს გვიჩეხვდნენ,  
სოფლებს წვავდნენ, არბევდნენ.  
ტანჯვით, დაგვით, რუდუნებით  
ნაშენ ტაძრებს ანგრევდნენ.  
გმირთა მხრებზე დგას – ეს მიწა,  
სისხლით გადანამული.  
თავს სწირავდნენ ლომგულები,  
რომ დაეცვათ მამული,  
ირგვლივ, სადაც, გაიხედავ,  
რაც, გარშემო, გვარტყია,  
მამულისთვის თავდადებულ  
სულთა ათინათია.  
თითქოს, ვხედავ, მტერს რომ ჩეხ  
ბრძოლის ცეცხლში ჩართული,  
მათმა ღვანწლმა შეგვინახა,  
რწმენა, ენა ქართული,  
აი, რატომ გვიყვარს მიწა,  
ეს ცა, ეს მზე, – ბრიალა,  
ლმერთმა, – დიდმა შემოქმედმა,  
ვინც გვქმნა ადამიანად.  
ვიამაყოთ – ჩვენი ქვეყნით,  
ჩვენი მთით და მდელოთი,  
სულ გვახსოვდეს, რომ შვილნი ვ  
ბედიურულ საქართველოსი...



## თამარ პოლელიშვილი

## მგონი შევიწვალე...

მგონი შევიცვალე,  
იქნებ ასაკია,  
თითქოს, გავხდი, რაღაც,  
სხვანაირი.  
ყველას გისახსოვრებთ,  
რაც კი მაბადია,  
ვფიქრობ, აბა, არ მაქვს –  
ძალა, ნირი?!..  
მგონი შევიცვალე,  
მართლა, შევიცვალე,  
ჩემი ცხოვრების გზა –  
დაიღარა,  
ეს ღამეც ო,  
როგორ გაიწელა,  
ცოტაც და მალე –  
გათხნდება.  
წუ მეტყვით:  
სიბერის ძრალიაო,  
არა, ჯერ, ადრეა –  
დაპერება...  
იმდენი, რამ დამრჩა –  
მოსასწრები,  
რომ... მთელი ცხოვრებაც





არ მეყოფა.  
გვეონია, რომ მუდამ –  
ვიქებით და...  
ცა თავზე არასდროს  
დაგვემხობა.  
მგონი, შევიცვალე,  
მართლაც, შევიცვალე,  
ნლები მომემატა,  
გული დაილალა.  
ქალი ვპერდები და  
ახლა, შეგიცანი:  
როცა, სიჭაბუკე,  
სადღაც გაიპარა...

## არ მსურს ფილერა..

არ მსურს დიდება, წუ მარქმევთ – პოეტს,  
თუ, მერე, სიტყვებს მესვრით გესლიანს,  
ზოგჯერ, ვაწყდებით – ცრუ მიეთ-მოეთს,  
პოეტობა კი – რჩეულთ ხვედრია.  
მთავარია, რომ სიკეთის გწამდეს,  
ხან გალმერთებენ, ხან ქვებს გესვრიან?!..  
თუ, გინოდებენ: უნიჭოს, მჯღაბნელს,  
რას იზამ, ალბათ ესეც ხვედრია.  
ქვეყნად – შური და ბოლმა ტრიალებს,  
ზოგჯერ, ლიმილსაც დაგაყვედრიან,  
როგორ გვანვალებს ბედი, – ტიალი,  
ჩანს, – ეს წვალებაც ჩვენი ხვედრია.  
მიდიან დინჯად წუთნი, წამები,  
გზებს გაუკვალავს მივდევთ, – ეკლიანს,  
და... სული, ბორგვით განაწამები,  
ვგრძნობ, რომ სხეულში ვერ დაეტია.  
დახეტიალობს, სადღაც, სხვა მხარეს,  
რომელსაც მუზის საუფლო ჰქეია,  
ხშირად, ეული, თავს რომ აფარებს,  
აქ, ზოგჯერ, მართლაც, შედევრებს ქმნიან.  
სიცოცხლეს შვენის, ვით ველს შროშანი,  
ლექსი შვებაა, სულის სალბუნი.  
დიდებულია: იყო – მგოსანი  
და... ბევრის გულში – დაისადგურო.  
ქვეყნად ცოტაა გამორჩეული,  
რჩეულის ბედი ლმერთის ხელშია,  
სასუფეველშიც ცოტანი შევლენ,  
სასუფეველი – რჩეულთ ხვედრია...

## გამოგიგონე...

გამოგიგონე, გვიანდა მიგხვდი,  
რომ მე, თავად, მე – გამოგიგონე,  
ალბათ, რაც მსურდა ამ ცხოვრებაში,  
რაც მჭირდებოდა, ვერსად ვიპოვე.  
სულ, დაგეძებდი, ყოველ ცისმარე,  
ახლა, როდესაც წარსულს ვიგონებ,





თავი რომ მეგრძნო: მხნედ და...  
 დაცულად,  
 ალბათ, იმიტომ გამოგიგონე.  
 შენა ხარ: ჩემი სულის სალბუნი,  
 შენზე ვკინძავდი ლამაზ სტრიქონებს,  
 რომ მყვარებოდა მთელი სამყარო,  
 ალბათ, იმიტომ გამოგიგონე.  
 რომ ამეტანა დროის სიმუხთლე,  
 ვდუმდი, ვოხრავდი, რა არ ვიღონე?!  
 შენზე, ფიქრით რომ გული გამეთბო,  
 აი, ამიტომ გამოგიგონე.  
 დრო კი წავიდა... დრო უდარდელი,  
 გულში არაფერს რომ არ იტოვებს,  
 ჭეშმარიტება ღრმად რომ შემეგრძნო,  
 მივხვდი, ამიტომ გამოგიგონე...

## მოდი გაფავსახლდეთ

### საზღაპრეთში...

მოდი გადავსახლდეთ – „საზღაპრეთში“,  
 იქ, ხომ, ყველაფერი ლამაზია,  
 ქოხი ავიშენოთ ულრან ტყეში,  
 მხოლოდ, ის წავილოთ, რაც გვაცვია.  
 იქ არ დაგვჭირდება: ოქრო-ვერცხლი  
 და არც არაფერი შეგვაწუხებს,  
 ღამით, გაგვინათებს შუა-ცეცხლი,  
 დილით, ცის მანანა დაგვაპურებს.  
 თმებში ვარსკვლავების სხივს ჩავიწნავ,  
 მინდვრად ყვავილებით მოვქსოვ კაბას,  
 ხელ-პირს ჩანჩქერების წყლით დავიბან,  
 მერე, მოგიყენები ათას ამბავს.  
 იქ, დროც ალარ იძვრის, თითქოს, ქრება,  
 თითქოს ყველაფერი სიზმარია,  
 სულში შემოსულა ნეტარება,  
 მხოლოდ, ვიღიმი და მიხარია.  
 კეთილს – ბოროტება ვერა ჯობნის,  
 იქ, ხომ, სურვილებიც მაღე ხდება,  
 ურჩხულს დაამარცხებს მზეჭაბუკი,  
 მერე, ლურჯას ზურგზე მოევლება.  
 ტყვეობიდან სატრფოს გამოიხსნის  
 კარგია, როცა – ბოლო კეთილია.  
 ზეცა, გრძნობით, გულ-მკერდს გადაიხსნის,  
 სულში – სიყვარულის მეჯლისი აქვს.  
 აბა, სად გინდა, რომ დაიმალო?!.  
 ყველგან, ხიფათია, მტრობა, თქეში,  
 მინდა: გავერიდო ამ სამყაროს,  
 მინდა: გადავსახლდე – „საზღაპრეთში“.  
 მინდა: იქ, შევხედო – ზეცას, – ნამდვილს,  
 მაგრამ იქაც, თუ თავს ვიგრძნობ უცხოდ,  
 გულში მომიძებნი, თუკი ადგილს,  
 მინდა: მანდ, კუნჭულში შევიყუშო...



କୁରୁଣୀ ଫ୍ରୋଣ୍ଟେର୍ସ ପ୍ରାନ୍ତର୍ଦୟୁମ୍ବା ନାହିଁ  
ଏବଂ ଫ୍ରିଗନ୍ଡଲୋ ମିନ୍ଟ୍ରେର୍ଡ,  
ବେଶିକାର୍ଥ ବ୍ୟେର୍ଡକ୍, କୋମ୍ପଲିସ ଅବସ୍ଥା  
କ୍ରିଯାତ୍ମକ ପ୍ରୋଫିଲିନ୍ଗର୍ମ୍ୱାର୍କ.

፳፻፭፻

အေဒီတ နှစ်၏ ကျ ပိုမ်နာ မြို့သွား၊  
နှစ်၏ မြို့သွား၊ ဗြာမ်း၊  
ရွှေ၏ ဖွံ့ဖြိုးလွှာ မြောက်၍ မြို့သွား၊  
မြို့သွား ပြော ၏၏ နောက်မြို့သွား။

ಕರ್ನಾಟಕ



For more information about the study, please contact Dr. John Smith at (555) 123-4567 or via email at [john.smith@researchinstitute.org](mailto:john.smith@researchinstitute.org).

\* \* \*

გავაძე კარი, გამქუცა ფიქრი,  
ღრუბელმა ღრუბელს შეახო თათი,  
ჩემთან რომ არ ხარ, მე სულ არ მიკვირს,  
უშენოდ გადის აგვისტოს ათი.

ნეტავ ვიცოდე, ახლა საძა ხარ,  
იქნებ წყაროსთან კოკას ავსებდე,  
შემოვიარე ფეხით მახათა,  
რა იქნება, რომ შენვ გაგასინდე.

ମହାକାଳ

შენსავით ძლიერ ვის უყვარს რთველი,  
ვის უყვარს ხნულში ყურძნების კრეფა,  
მე შენგან ახლა სიყვარულს ველი,  
მიყო ის ძველი ჩეზბი და ყუჯა...  
...

შენსავით გამრჯვედ ვინ უვლის ყურძენს,  
ვის უყვარს მისი ფერადი წვენა.  
როგორც მზე უყვართ გადაჭრილ კუნძებს,  
ისე მიყვარხარ, – ფიქრით და თმენით....

ကျော်ကြံး

მარტის საბამი, ჩუმი და სველი,  
მაღალი გოგო, სიმღერა ძველი,  
სპექტაკლი „ლონდრე“ თუ მგონი „დავით“,  
არ მახსოვს, შენით დავკარგე თავი.  
პირველი რიგი, სცენასთანა ახლოს,  
თამაშობს გიგი და თანაც ნაღვლობს,  
გირკონან შუქი ანათებს სცენას,



არის ტირილი და ცრემლის დენა.  
ვერ გაგვაკირვეს ვერაფრით ახლით,  
მთავრდება შოუ, იშლება ხალხი,  
ეშვება ფარდა, ლანძლვით და ფსტვენით  
და მე კი ამ დროს მთვრალი ვარ შენით...



\* \* \*

ახლა მარტის თორმეტია,  
უკვე აღარ დაგეძებ,  
გარეთ თბილა, ჩემს საათზე  
ხუთს აკლია თორმეტი,  
მოვითენთე ისე, თითქოს  
ლამის მართლა დავეცე,  
სიცხემ ხომ არ ამინია,  
დე, მომე თერმომეტრი!

## ჯეგალ შაიიძე

31



თურმე სიცხე არ ყოფილა  
ასე ყოფნის მიზეზი,  
როგორც შენ და ისე სიცხეს  
ჩემთვის არა სცალია,  
ახლა მივხვდი, ახლა მივხვდი,  
თურმე რატომ ვიქცევი,  
მეზობელო, სალია!

### ლაპარა

#### იუმორესკა

ნელა არხევს სიო ჭადრებს,  
ვზივარ ფიქრის ამარა,  
მახსენდება, ერთ დროს, ადრე  
რომ მიყვარდი, ლამარა.

ჯავრი ფიქრებს კვანძავს წამში  
და ტირილი მინდება,  
ხშირად ხდება, სოფლის თავში  
სევდა გამიფრინდება.

ასეთ დროს თუ ჩემთან მოხვალ,  
რაღა მომკლავს, ლამარა,  
შენ უშველი მწარე ოხვას,  
მკლავს მე რაც წარამარა.

შენ იქნები ჩემი ხსნა  
და გაჭირვების ტალკვესი,  
თუკი დროზე მომისწარ  
და არ დამმართო უარესი...





## მარიამ ძაგუპაშვილი

## ၃. ငာမယျုပ်ဒ္ဓဒေဝါလီ

ეს დავითადე!..

ჩემი დაბადება, არ დაბადება არაფერს  
შეცვლიდა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა ამ ქვეყ-  
ნად მოვლენას თუკი, ისევ სიცარიელეს უნდა  
შევერწყა, სადაც არც სინათლეა, არც ბეჭელი  
და, საერთოდ, გონება ვერც იაზრებს, რასთან  
მაქვს საქმე. სიტყვა „სადაც“ სიცარიელის ნაწ-  
ილია, – არაენთარი სადაც არ არსებობს.

მოკლედ, არ ვიცი კიდევ რამდენი ფიქრობს  
ამ აბდაუბდას და უაზრობას, თუმცა, არც ისე  
მარტივია ყველაფერი, ერთი შეხედვით რომ  
ჩანს...

სშირად აღმოვჩნდები გარემოცვაში ისეთი აუტანელი ფიქრებისა, სენტიმენტალურ ადამი-ანებს რომ შეიძყრობს და გასაქანს არ აძლევთ განიცადონ ამ ქვეყნით ტკბობა. შეგრძნებები უნდა გვიხალისებდეს ცხოვრებას და არა მხ-ოლოდ ნეგატივისკენ გვიპიძებდეს...

რა თქმა უნდა, როგორც სხვა დანარჩენებს, მიფიქრია ბედნიერებაზე, რომელსაც ნაკლებად ჩავუფიქრდები ხოლმე. ის, კი, სიკონებით მონიჭიბული სიკეთია, რომელსაც

კლებულობთ, როგორც აუცილებელს, როგორც ჰაერს. დედამინამ გვაზიარა ამ ყოველივეს. როდესაც შევცეკრით ვარსკვლავიან ცას, ჩვენს წინაშეა მისი სილამაზე და პოეზია. თურმე, ადრე დედამინა, თავისი არსებობის გარიურაფზე, გარემოცული ყოფილა ღრუბლის სქელი ფენით, როგორც ახლა იუპიტერი, ვენერა და კიდევ, ბევრი სხვა პლანეტა. მაშინ რომ დავბაფებულიყავით, ისე გავატარებდით სიცოცხლეს, ვერ დაინახავდით რა არის ღრუბელს მიღმა....

სულ ახლოს ციმციმებენ ვარსკვლავები, ისე ახლოს, მგონია, მაღალ მთაზე რომ შევდგე ხელით მივწვდები...

სალამოს პინდი წვება. სახლთან მომდგარი სეები წყნარად შრიალებს. აიგანზე გავედი, რომელსაც თანდათანობით აფარებს ღამე შავ ფრთებს. კოსმოსის სიბენელე შთანთქავს ცას, მაგრამ, აი, იწყება საოცრება, — მიბენედილ-მა ვარსკვლავებმა ნელ-ნელა შეიმატეს ძალა, ნაზი ციმციმი გამჭოლი გაუხდათ. მეჩვენება, ვიღაცის ყოვლისშემძლე ხელმა შავ ხავერდზე უამრავი ბრილიანტი მიმოფანტა, — მანათობე-ლი ნერტილები ჩაბეჭლა ჯის სირლმეში...

არავინ იცის, როდის შეიქმნა ეს საოცარი სამყარო, საზღვრებს რომ არის მოკლებული, ან როდის შეწყვეტის არსებობას.

შეცყურებ დამის ცას. კუნაპეტით შე-  
შინებული მნათობები, მხოლოდ, კუთვნილ  
საცხოვრებლის ირგვლივ მცირე, რგოლოვან  
სივრცეს ფენენ შექს, დროდადრო იცვლიან  
საცხოვრებელს, თუმცა საზღვრის მიღმა მათი  
სინათლე არ შეიგრძნობა. ვარსკვლავთა გან-  
ლაგებაში უფრო მეტი წესრიგი და კანონია,  
ვიდრე მოსალოდნელი იქნებოდა მაშინ, ისინი  
ცის ზედაპირზე რომ ყოფილიყვნენ დაფანტუ-  
ლი...

შევყურებ ლამის ცას. უნებურად თვა-

ლი გამექცა მოწყვეტილი ვარსკვლავისკენ, რომელმაც გა-დაიქროლა და მყისიერად გაუჩინარდა. მას ხომ ოცნების ახდენა ძალუძს თუ მოასწრებ და შესთხოვ ნანატრს, სანამ თვალით შეიგრძნობ. ვერასოდეს მოვახერხე, – ერთი სიტყვაც ვერ გავიხსენე სურვილიდან... გამოგიტყვებით, ერთხელ გადავწყვიტე წინასწარ მომეფიქრებინა და სანამ ჩაქრებოდა ჩამეთქვა, რა მსურდა ყველაზე მეტად. სულ ორ სიტყვაში ჩავტიე, – ადვილად მოვახერხებდი გამეტხილა... რამდენიმე საათის განმავლობაში მოთმინებით ვუცდიდი მის გამოჩენას. განუწყვეტლივ, ჩურჩულით ვიმეორებდი ჩაფიქრებულს. დახეთ საოცრებას, – ლოდინმა ამაოდ როდი ჩაიარა. უცებ აენთო. დავინახე, როგორ გადაინაცვლა, ალბათ, წამის რაღაც ნაწილში, ერთ მტკაველზე, ყოველ შემთხვევაში ასე მომეჩვენა აქედან, სწრაფადვე გაუჩინარდა. როგორც იქნა, მოვახერხე, იმედია, ნაწყენს არ დამტოვებს, გავიფიქრე და ისეთმა სიხარულმა მომიცვა, იშვიათად რომ განმეცადა ჩემს, არც თუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. კიდევ კარგა ხანს ვერ მოვაცილე მზერა მისი გაუჩინარების ადგილს, რომელზეც ფერმკრთალი კვალი დატოვა. აქვე მინდა გითხრათ, მას შემდეგ კიდევ მრავალჯერ ვნახე გაზაფხულით აყვავებული შინდი, ზაფხულით ოქროგარეული ხორბლის ყანა, შემოდგომით აფერადებული ტყე და ზამთრის თოვლით ფერნაცვალი სიმწვანე ნაძვებისა. ოცნება არ ამისრულდა თუმცა, გაუნელებელი ინტერესით ველოდები მის ყოველ გამოჩენას. სხვა დატვირთვაც ჰქონია, მისი გამოჩენა და გაქრობა, კიდევ, ერთი ადამიანის გარდაცვალებასთან ასოცირდება...

მე დავიბადე რათა მეხილა მთვარე, თავისი იშვიათი სილამაზით. გავცნობოდი მისი სულის იდუმალებას. ნელ-ნელა ამოიზლაზნა, სავსეა, თუმცა ფერმიხდილი. ოქროსფერმა, თანდათანობით შეიმატა სიმკვეთრე, ვარსკვლავები გაუფერულდა, მიმზიდველია მისი უზადო გარეგნობა შორიდან. მიუახლოვდები თუ არა, არაფერია, გარდა ზედაპირზე უსიცოცხლო მთებისა და ჩაქრალი ვულკანების მკაცრი კრატერებისა. მათი შესახედაობა მკვეთრად განსხვავდება დედამინისეულისგან, რომელთა კონტურები დაშლილია წყლის და ჰაერის ზემოქმედებით, მთვარესთან შედარებით თხუნელას სოროებს რომ ჰგვანან. გონების თვალით ვხედავ ამ ლამაზმაზე შემაძრნუნებელ ფეიერვერკს, როცა ათეულობით ვულკანი



**მარია  
ქაშუკაშვილი**

გრგვინავდა. ცეცხლს, გავარვა-რებულ ლავათა ნაკადებს, ქვე-ბის სეტყვას, კვამლის ღრუბელს აფრქვევდა. რა სანახაობა იქნებოდა?! ამ აფეთქებათა, ვარსკვლავთა წვიმების მთელი ამ სანახაობის შემდეგ დარჩა, მხოლოდ, ფერფლი, – ესეც შენი სილამაზე!..

უცებ დაუძვრება ღრუბლის აფერადებულ მარმაშს, გაბადრული სახით ღიმილით მიცეკერს, ციცქა ვარსკვლავებს სათვალავში ჩასაგდებადაც არ თვლის, მორცხვად რომ აფახულებენ თვალებს. მრავალთა-

ვის შთაგონებად, მუზად ქცეულს, თავად, მხოლოდ, დედამინა შეჰყვარებია, სიცოცხლის ძალას რომ აძლევს, თვალს არ აცილებს, მის როკვას აჰყოლია. ასეა დასაბამიდან დღემდე, მთელი გარემომცველი სამყაროსთვის, კი, ზურგი შეუქცევია. მზეს რაღას ერჩის, – თავის კეთილისმყოფელს, მისი გამოჩენისთანავე რომ მიიმაღება. მიეფარება თუ არა დღის მნათობი, მთელი თავისი თვალისმომჭრელი მომხიცელელობით ცის ტატნობს მზის ოქროთი მოვარაყებული სხეულით გამოეკიდება. მკვეთრი მოხაზულობა, არამინიერი სილამაზე მის სიმკაცრეზე მეტყველებს, – არცერთ სულიერს, ვერავითარი ფორმით, ფეხი ვერ მოუკიდებია, არავინ უსაზრდოებია, გულში არ ჩაუკრავს. შიშის და ურულისმომგვრელი უკაცრიელობაა, – სასიცოცხლო ატმოსფერო ხომ უცხო ხილია მისთვის.

თვალი შორეულ, ციცქა ვარსკვლავს გავუსწორე. ციმციმებს. ეს, ამოდენა მთვარე, ალბათ, მისი სხეულის უმცირეს ნაწილს გაუტოლდება მხოლოდ. უბრალოდ, გაუმართლა საოცარ არსებებთან, ადამიანებთან ერგო ასე ახლოს ყოფნის ბედნიერება, – ხოტბას ასხამენ და ყველაზე უნაზესი გრძნობის, სიყვარულის მესაიდუმლედ გაუხდიათ. სათაყვანებელი მეგზური ხარ, პირმშვენიერო, წკვარამს რომ ანათებ, დროულად გვაფრთხილებ ლამეულ ნეგატიურობებზე...

შეამჩნევდით, მონათხრობს საყვედურივით გასდევს ჩემი ქვეყნად მოვლენის საჭიროების ჩემეული გააზრება. მეობა ორადაა გახლეჩილი: ერთი მეუბნება, – რისთვის?! მეორე, – რატომაც არა, რატომ არ უნდა ეზიარო მინიერ სიკეთეს?! განსხვავებით მათგან, ვისაც ჩასავაც არ ელიორსა დედის საშოში, უფრო მეტიც, ზოგს დაბადებამდე მოუსპეს სიცოცხლე. ბედი კარზე გაქვს, – ბუნებამ მოგცა ყველაფერი, რითაც ბედნიერად უნდა იგრძნო თავი, სანამ





ცოცხალი ხარ. დედამიწა სახლია და დედა შენი...

სანამ ვარსკვლავებს სძინავთ, იმ უსახურ ფიქრებს, ხშირად მათი დანახვა რომ მიღვიძებს, აპეზარი ქინქლებივით რომ მეტვევა, გადავკარგავ გონების ციცქნა კუნტულში. შევეცდები იმ ადამიანებს დავემსგავსო, მათი ცხოვრებით ვიცხოვრო, რომელთათვისაც მზე სითბოს, სინათლის წყაროა და არა ცეცხლის უზარმაზარი, გავარვარებული დისკო, ალის ენებს რომ ასავსავებს, კოსმოსის უკუნეთს, კი, თავისივე ბნელ წიაღში მიერეკება...

დიახ, მე დავიბადე, რათა მენახა და შემეგრძნო ყველა მინიერი სასწაული, ბუნების თუ ადამიანის ნამოქმედარი: შორეულ ცისფერში აღმართული ლურჯი მთები; დაფიონით აალებული აღმოსავლეთი, – სადაცაა მზე შემოჯდება გორის წვერზე; წვიმით გაჯერებული ფუმფულა, ბუმბერაზი ღრუბლები, სწრაფად რომ ჩამოცლიან ჯიქანს; ელვა, კლაკნილი, ბოლოგახლეჩილი, ცეცხლის ორ ისარს რომ ჩასობს მთაზე ტანაყრილ ხების კორომში, მკაცრი ბუბუნი ჭექა-ქუბილისა, ჩხუბით რომ გვამცნობს სათქმელს; ბებერი, დაკოურილი მუხა გადმომდგარა თავზე პურის მუხლზემოთ მომდგარ, მწვანედ მოლივლივე ყანისა, ფართოდ გაშლილი ტოტების ჩრდილით დაულაქავებია კიდე. ნაკვერჩლებივით ღვივის წითელი ყაყაჩიები. ვუცქერ, მელიმება, – როგორ ცდილობენ მიმალონ ალივლივებულ ღეროებს შორის, რათა ნიავის ყოველ ნამობერვაზე მორცხვად გაისწორონ ნამოხდილი შავკოპლებიანი კაბის კალთები. კიდევ რამდენი რამ ხდება ჩვენი მხედველობის შესაძლებლობის სფერში. ყოველი წამი, დროის ყოველი მონაკვეთი დატვირთულია სასწაულებით, რომელსაც, თითქოს, უკვე მივეჩვიეთ. თუნდაც, ჩემივე სახლის აივანი რომ მისჩერებია კავკასიონის იშვიათი სილამაზის ქედს; ყანების და სათბების უამრავ სწორკუთხედს, ნახატს რომ მიაგავს; ვენახების თვალუწვდენელ რიგებს, ჰორიზონტთან მირბენილიც რომ არ მთავრდება. მის გადაღმა ყველაფერი ეს მეორდება, მეორდება და მთელი დედამიწის სანახაობა ჩემს წინაა გადაშლილი, – გონების თვალისთვის ხომ არაფერია მიუწვდომელი.

ადამიანის აზროვნებას და მარჯვე ხელს შეუქმნია მსოფლიოს შვიდი საოცრება. კოსმოსის ათვისება თუნდაც იმ დონეზე, რასაც მეცნიერებამ მიაღწია, გასაოცარია, – ფეხი დააბიჯა ჩვენი თანამგზავრის არასტუმართმოყვარე, ფერფლით მოფენილ ზედაპირს; ხალხური „ჩაკრულო“ კი იმოგზაურებს კოსმოსური მტვრის ლაბირინთებში, – ცდომილების

და მათ ურიცხვ ნამსხვრევთა ნაკადში...

მე დავიბადე, – კიდევ ერთი შვილი შეიძინა დედაპლანეტამ...

თვითონ როგორ მოევლინა ციურ სამყაროს?! ისიც, ხომ რაღაც ძალამ წარმოშვა: ჩვენს ვარსკვლავს – მზეს სივრცის წიაღიდან სხვა ვარსკვლავი უახლოვდება. იმდენად დიდია დაუპატიჟებელი სტუმრის ძალა, მზის ზედაპირზე მგორავ ცეცხლის ვეება ტალღას გადმოტყორცნის თავისკენ, – მოქცევის ტალღა სწყდება მშობლიურ ზედაპირს, თუმც, საბოლოოდ შეჯახება არ ხდება. მომხვდური, კვლავ, განაგრძობს თავის გზას, – თანდათან შორდებიან. მოწყვეტილი ტალღა სრულიად მარტო რჩება დაუცველი. სივრცეში დაეკიდა. იწყებს უზარმაზარ წვეთებად გამკვრივებას. ერთ-ერთი მათგანი მომავალი ჩვენი ცდომილია – დედამიწა. პირველ ხანებში გახურებული აირის მასაა, მარამ ცივდება იმდენად, რომ ზემოდან მკვრივი ქერქი ნარმოექმნება... სწორედ, ამ გოლიათი, გავარვარებული ვარსკვლავების შვილია ჩვენი პლანეტა...

წარმოუდგენლად დიდი დრო გავიდა, სიბერე შეეპარა, – ტემპერატურა დაეცა, მძლავრმა გამოსხივებამ ღონე დაკარგა. ზუსტად მაშინ ჩაისახა სიცოცხლე მის სხეულში. ხესაც ხომ ღრმა ასაკში უჩნდება ჭიალუა და სოკო, თუმცა, ეს ვერსია, არ ვიცით ნამდვილია თუ არა. იქნებ შედარებით ახალგაზრდა ასაკშიც არსებობდა მასზე სიცოცხლის ნიშანწყალი?! მაგრამ თვით ჩვენივე თავი ხომ ჩვენთვისვე საიდუმლოებას ნარმოადგენს, – იდუმალებითაა მოცული ჩემი მოვლენა სამყროში, სადაც ადამიანი უუნაროა მისი უსასრულობის წარმოდგენის მომენტში...

მივდევ ფიქრის ჯაჭვს, აი, ჩაწყვეტილი რგოლიც, – ამდენ ენერგიას გასცემს მზე, სამაგიეროს არსაიდან ღებულობს, წონა აკლდება, ძალა უსუსტდება პლანეტების მიმართ. ცდომილები, ჩვენი დედამიწის ჩათვლით, აღარ ემორჩილება, – უნდათ თუ არ უნდათ, ირჩევენ გზას, რომელსაც დაბადებიდან სიკვდილამდე მიჰყავს, ყინულოვან სივრცეში განაგრძობენ საფლავამდე მოძრაობას...

წყნარი, თბილი საღამოა. წვიმამ ახლახანს გადაიღო, ჰაერში ნესტის სუნი შეიგრძნობა. ერთმანეთის მიყოლებით ინთება ვარსკვლავები. ცისფერ ტონს, თანდათან, შეუმჩნევლად ღამის წყვდიადი ცვლის. ღრუბლის მცირე ქულები გაბნეულა აქა-იქ, ნაფლეთებში წვრილ-წვრილი მნათობები კიაფობს... მარტო ვარ, სიჩუმეს ვუგდებ ყურს. წლების მოძალებულმა ნაკადმა მოწყალება გაიღო, – უკუიქცა, თან გამიყოლია იმ დროში, როდესაც ჩემი სიცოცხლე საწყისს უახლოვდება.





მე დავიბადე, გონება, ეს-ეს არის იწყებს ჩამოყალიბებას, ღრუბელივით ისუტავს და აც-ნობიერებს ახალ ინფორმაციას, უცხოს საცნობად ხდის. სანუკვარი დროის აურა ნაღველნარევ სიხარულად შემომეტასნა.

დავიბადე სახლში, საიდანაც მოჩანს კავკასიონის ქედი მთელი თავისი სიდიადით. მის ფერხთით ალაზნის ფოთლოვან ჭალას მდინარიდან მონაბერი ნიავი ესათუთება. ცელქობს, აყოლიერას ცდილობს, – არ ან-ყენინებენ, გააშრიალ -გამოაშრიალებენ ფოთლებს ხეები, მცირე ხნით დადუმდებიან. ბალახზე ტალღად გადაგორდება. მოუსვენ-რობს, გზას აგრძელებს. აფორიაქებს ყველა შემხვედრს, კვლავ, თავიდან იწყებს. არასოდეს ეკარება ძილი, მაშინაც კი, როცა მდინარე ტალღებს ზედაპირზე გაიკრავს და ერთ პირს ჩათვლემს. აფორიაქებს ბურანში ჩაფლულ ჭალას, – წვრილ-წვრილ ტოტებს შეარხევს, ქოჩორს აუნენავს. მთელ ღამეს ხეტიალში ატარებს მდინარიდან ჭალისკენ, ჭალიდან მდინარისკენ...

ის დროა, ძველი. აგერ, მამაჩემი დაღლილი გამოდის ვენახიდან სახლის დასავლეთით რომ გააშენა. მხოლოდ წუთით შეისვერებს, – მის ხელში საქმეს რა გამოლევს... ჩემი ინტერესის სფერო სრულიად განსხვავებულია ირგვლივ მყოფი უფროსების საქმიანობასთან მიმართებაში. ნაკვეთის ბოლოში, მთელ სიგრძეზე ჩასდევს ბოსტნის ვიწრო ზოლი. ღობის კარის მიღმა იწყება ხორბლის ყანა. პატარა, მოგრძო გორაკი წვრილიანით და ბუჩქნარითაა დაფარული. მინდვრის დასასრულს ტყე ჩასდევს მცირე ფერდას. ძალზე მახალისებს ჩვენი საკარმიდამოს შემოგარენი: პურის დაუთავთავებელ ყანაში სირბილი, დამაღლბანა ტოლებთან; ყვავილი, მასზე შესკუპებულ პეპელას სუსტი ღეროს რხევით რომ აქანებს. მივეპარები, ის-ის არის თითის წვერები უნდა შევახო, ბოლო წამს აფარფატდება და სხვა ლამაზმანისკენ გასწევს, – კვლავ მელოდება; გულს მიხეთქავს ცერის სიმსხო მწვანე კალია, თითქოს მუხლებში გადამტვრეულ ფეხებზე მთვრალივით ირწვევა.. თუ მოგახტა დაკბილულ ფეხებს ვეღარ გააშვებინებ, ისიც თუ გაბედე და მოცილება სცადე...

ტყე ხომ საოცრებათა მთელი სამყაროა, – ვინ არ ცხოვრობს, რა არ ხდება: მელაკუდას, ამ მსუნაგს, სორიდან ამოუყვია შავი ცხვირი, – დიდი ხანია უთვალთვალებს თაგუნას, მეზობლად რომ დაიდო ბინა. ეშმაკობაში აშკარად ჯაბნის მელიას, – მხოლოდ ერთი კარი როდი აქვს მის საცხოვრებელს; აგერ, კუ მობიბლავს, ძლივს ერევა ბაკანს. საშმროებას იგრძნობს თუ არა, შეიკეტება ციხესიმაგრეში.

დროდადრო თავს გამოყოფს, შავ, მძივისებურ თვალებს მოავლებს, სადამდეც მზერა მიუწვდება. გზას ფრთხილად აგრძელებს, ახალი საფრთხის მომლოდინებს; ურიცხვია ლოკოკინების ნიუარები – ფეხს ვერ აუქცევ. ზოგი ისეთი მინიატურულია, საკვირველია მასში სიცოცხლის არსებობა; ტურების ღამეული კივილი გვამცნობს, ტყის სხვა ბინადრებთან რომ იყოფენ საცხოვრებელს და სარჩო-საბადებელს; თვლა არ აქვს ფრინველთა ბუდეებს, გაზაფხულით დამაღლებს, შემოდგომა რომ გამოიტანს ხოლმე საშკარაოზე... ახლა ყვავილებს არ იკითხავთ?! ენდელა, ყოჩივარდა, ცისფერი ნუშვიას საყურე, ციცქა ყურძნის მტევანს რომ ჩამოჰგავს, ფურისულა... ვინმე ხომ არ გამომრჩა და უნებურად ვაწყენინე...

ალბათ, მეტყვით რა ქადაგად დაეცი, თხრობის თემას ხომ არ გადავუხვიერებული? არა, არა და არა, მაშინ ჩემთვის ციური სამყარო ისეთი პატარა იყო, დედამინა კი ისეთი გრანდიოზული... ინტერესი შეცნობისა ჩამოუვარდებოდა კი არა მეტიც იყო ვარსკვლავიერი ცის შეცნობის ახლანდელ სწრაფვაზე...

მზე მარმაშის შალითაშია გახვეული, – ნისლით დაბინდულა. თითქოს სურნელსაც შევიგრძნობ. მეჩვენება, ეს ნისლი ნორჩი ბალახის, ყვავილების ფოთლების სუნთქვისგან, ნახნავებიდან და იქიდან ამოზრდილი სიმწვანისგანაა გაჩენილი. მცირე წვიმაც გამოერევა. შემოგარენს იდუმალების საფარველი წამოუსხამს, თვლემს. ბევრისგან განსხვავებით მიყვარს ეს ამინდი, თუმცა, მაინც მომლოდინე ვარ მზის... დედამინა კიდევ ერთ ბრუნს შეასრულებს აღმოსავლეთით, მზე დასავლეთისკენ გადაგორდება, პატარა გორაკს მიეფარება. მისი სხივებით წითლად განათებული ვიწრო, თხელი ზოლები ღრუბლებისა დასალიერთან რომ მოუყრიათ თავი, მალე გაუჩინარდება. გრძელი ჩრდილები ჩამუქდა, ბოლოს, სრულიად მიიღია. სწრაფად იცვლება სივრცის ფერი. ბინდდება. მთელი დღის ნალოდინარმა ღამემ შავი მოსასხამის კალთები ფართოდ გაშალა მის ნილ დედამინაზე. ცა დაბნელდა და წყვდიადი მოფინა, თუმცა, ვერაფერი მოუხერხა ვარსკვლავებს, პირიქით, მინაზებულმა ცისფერმა სიმკვეთრე შეიძინა, მზერა გამჭოლი გაუხდათ.

შევყურებ ცას და ვცდილობ, დავინახო, რაღაა ვარსკვლავებს მიღმა? ცა. ცის მიღმა? ისევ ცა, ისევ მოკაშკაშე წერტილები. ცაზე ვერ დატეულან, დასალიერის ჰორიზონტთან ჩასახლებულან... ზოგი ნაწვიმარზე გაჩენილ, უკვე დაწმენდილ გუბურაში ჩაძირულა. ფსკერი, ვიცი, რამდენიმე სანტიმეტრზეა, არა-და უძირო მეჩვენება, – სიღრმეში ირეკლებიან,





კიაფობენ. საქმარისია, ამოხაპო წყალი, სათითაოდ ამოკრიფო პეშვში „ძვირფასი ქვები“. აბრიალებულ ნაკვერჩლებსაც ჰგვანან, წყალი რომ ვერ მორევია მათ სიკაშვაშეს. გუბიდან გამოპარულ მცირე ნაკადს მიყვება რამდენიმე. ნაკადი, ბოლოს და ბოლოს კარგავს კალაპოტს და მასთან ერთად ნამსხვრევებად იფანტებიან სველ, ალაპლაპებულ ღეროებზე. რამდენი ასეთი გუბურაა. მათ ზედაპირზე შეჭედილი ცის დაფლეთილი რუკა დაცურავს.

ისეთი გადავსებულია ცა, როგორც იტყვიან, ერთი ვარსკვლავიც არ აკლია. მათ შეხედვაზე უცხო გრძნობა ამიტანს, თითქოს შიშს ჰგვავს, თითქოს ინტერესს, ზოგი, ალბათ, მკვდარია, ზოგი ახლა იბადება. ზოგზე შეიძლება სიცოცხლე იყოს რაღაც ფორმით. იქნებ ადამიანებიც ცხოვრობენ?! ადვილი შესაძლებელია, – მზეებს ხომ თავიანთი პლანეტები ახლავს, თვითონვე რომ წარმოშვეს.

ციმციმებენ, თვალებს აფახულებენ. ყველა ერთი ფერის როდია, როგორც გვეჩვენება ერთი შეხედვით. მეტი მონდომებით თუ დავაკვირდებით, შევიცნობთ ცისფერს, თეთრს, ყვითელს, ნარინჯისფერს, წითელს, რა ხდება?! თითქოს ყველა ერთმანეთს ჰგვავს. თურმე, ფერს განაპირობებს მათივე ზედაპირის ტემპერატურა. მოცისფროები ყველაზე ცხელია, – ათეულ ათასობით გრადუსს ასხივებს. წითლები შედარებით გრილია – სამიათას გრადუსამდე. თეთრები და ყვითლები მათ შორისაა...

იმდენია, ამ აბდაუბდაში, ასამდე დათვლაც გაუჭირდება მას, ვინც ფიქრობს, რომ ისინი მხოლოდ იმისთვისაა შექმნილი, ცხოვრება უფრო მიმზიდველი და ლამაზი გახადოს. საქმარისია იცოდე, თითოეული მათგანი ნაწილია ვარსკვლავთა რომელიმე გროვის, – თანავარსკვლავედის, მაშინ ყველაფერი დალაგდება. საქმაოდ მკაცრი კანონი ჩანს მათ განლაგებაში. ცის კამარა შეიძლება შევადაროთ ნახატებიან წიგნს, დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ბრუნვისას რომ ფერცლავს. თითოეული გვერდი ხომ უძველესი მითოლოგიის დასურათებაა... როგორ ვცდილობ სახელწოდების მინამსგავსიც კი შევნიშნო თანავარსკვლავედებისა, მაგრამ უძლური ვარ, – რაღაც უცნაური ფანტაზია ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს. გაცილებით მეტმა რიცხვმა სახელწოდებებისა ბერძნული ლეგენდების საზღაპრო გმირების სახელები მიიღო.

თენდება, საძილედ ემზადებიან ვარსკვლავები. თანავარსკვლავედებმა დაკარგეს მოხაზულობა, მხოლოდ, ცისკრის ვარსკვლავი ანთია მთელი ძალით, არ ნებდება. ბოლოს რულმორეულმა ჩასთვლიმა და ღრმა ძილს მისცა თავი. ატმოსფეროში მზის სხივე-

ბი შემოიჭრა, დედამიწა ცისფერ საბურველში გაეხვია... ნახევრად ლია ფანჯრიდან ბლანტი, ჟანგბადით გაჯერებული ჰაერი, თითქოს, გადმოიღვარა. უცებ, დიდი ნაცრისფერფრთიანი ბუზი საშინელი ზუზუნით გამეტებით მიაწყდა მინას, ისევ მიჩუმდა და უხმაუროდ მოყვაცოცვას. ვერ იგნებს, წვალობს, ვერ მოუსაზრებია სხვა ადგილზე მოძებნოს გზა თავისუფლებას რომ აზიარებს. შევყურებ, თავი მის ადგილას წარმოვიდგინე, ალბათ, მეც მსგავსად მოვიქცეოდი, მაგრამ მე ცოცხალ ორგანიზმთა განვითარების უმაღლეს წერტილზე ყოფნა მიბოძა ბუნებამ, – მომცა აზროვნების უნარი. ეს ფანჯარაც ხომ ადამიანის ხელმა შექმნა, საპყრობილედ რომ იქცა საცოდავი ბუზითვის. ხელით ვუბიძგე, ზუზუნი ნელ-ნელა მიხელდა, შემდეგ, კი, სრულიადაც მიწყდა. მადლიერებაც არ მიგრძვნია მისგან... რის თქმას ვცდილობ ამით? რომ სიცოცხლის ჩვენეული ფორმა რადიკალურადაა განსხვავებული არსებული ყველა ფორმისგან. ჩვენ გონიერი არსებები ვართ, – გარდა რეალურისა, რაც თვალწინ გვაქვს, ვფიქრობთ გონების თვალით დანახულზე, – რატომ დგება დღე ან ლამე, რატომ ცივა ან ცხელა?.. ბუზს ეს სულაც არ აინტერესებს, მისთვის უმთავრესს სითბო და საკვები წარმოადგენს, რომელსაც, ასევე, შემთხვევით გადაწყდება ხოლმე... თურმე, როგორი მარტივია მისი ცხოვრება. ნურას უკაცრავად, მე რომ არ დაგხმარებოდი, შიმშილით დაამთავრებდა სიცოცხლეს ან ობობას ლუქმა გახდებოდა. ჩვენ ვინ დაგვეხმარება თუ არა გონიერება, – გარს თავისი ყოფიერებით შემაძრწუნებელი კოსმოსი გვაკრავს, სიცოცხლისთვის შეუთავსებელ ელემენტებს რომ შეიცავს.

დაბადებიდან ჩვენი და სამყაროს სიცოცხლე სრულიად საპირისპირო პირობებში მიმდინარეობს, – ვარსკვლავი დაიბადა ფუმფულა და მსუქანი, გაზიდან აირის მდგომარეობაში გადავიდა, აირიდან – მყარში. წონაში დაიკლო, მოცულობაც შეუმცირდა. ცოცხალი არსებები კი მისგან განსხვავებით უმცირესები მოველინებით და ვაგრძელებთ ზრდას ფიზიკურად. მართალია, ორივე მხარე ვპერდებით, მაგრამ სხვადასხვა მხრიდან ვუახლოვდებით გარდაქმნას უარყოფისკენ.

ადამიანი გონიერი არსებაა მეთქი, – ერთს რომ შევიგრძნობთ თვალით, ათ იმდენს, მის უკან. ცაში მნათობებს ვხედავთ. თუმცა, რაც მათ ცხოვრებაში და საცხოვრებელში ხდება, ძალიან ბევრი უხილავია. მაგალითად მეტეორები მცირე პლანეტების, – ასტეროიდების ნამსხვრევებია. ისინი ხშირად გაიელვებენ ცაზე, მაგრამ როგორ ჩნდებიან?! აი, ერთ-





მანეთს უახლოვდებ ორი პლანეტა ასტეროიდი, ერთის ზომა ჩამორჩება მეორეს. დიდის მიზიდულობის ძალა ბევრად მეტია. ისინი ეჯახებიან ერთმანეთს. აფეთქების ტალღა ნამსხვრევებად აქცევს ორივეს, – სივრცეს სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა ფერის ათასობით ვარსკვლავი კვეთს, ანათებს. გიგანტური მაშხალიდან ამოტყორცნილ ცეცხლს ჰგავს. ფერების კომბინაცია: ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი, მწვანე. საშინელი, უზარმაზარი ბურთი ნამსხვრევებად იქცა, ირგვლივ მიმოიფანტა. ზოგი მათგანის განივევეთი ერთ კილომეტრზე ნაკლებია, არის უფრო დიდი, ზოგი – მცირე. ისეთი პატარებიცაა, ლოდებს ჰგავს ან ქვებს, რომლებიც საპლანეტთაშორისო სივრცეში ირევა, კვლავ ეჯახება ერთმანეთს, წვრილმანდება: ერთს ფოლადისფერი მიუღია, სხვა შიშინებს და ორთქლის ფენა ღრუბელივით აკრავს. მოკლედ, ამ ყველაფერს, თითქოს, რეალურად ვხედავ და შეძრნუნებული ვუცქერ საშინელი სილამაზის გამოვლინებას, სანამ ფეიერვერკი სრულად ჩაქრება... .

მთვარემ სხივები გამობლანდა ფანჯარაში. ალარ მეძინება, მოხერხებულად მოვენყე, – ხელები თავქვეშ ამოვიდე, მშვიდად დაველოდე გადაკარგულ ძილს. უცნაური შედარებაა, მაგრამ ვაფასებ ჩემს მიხვედრილობის უნარს, – როგორ გავს ძილი და ბუმერანგი ერთმანეთს, – გადაიკარგებიან, თუმცა არასოდეს გლალატობენ, უკანვე გიბრუნდებიან... უდროო დროს, შუალამისას გამოჩენილ სტუმარს ვუმასპინძლებ. დიდხანს არ უყვარს დარჩენა, – იცოცხლე, საქმე უხვად აქვს. ელამ თვალს არ მაცილებს. ხანდახან ღრუბლის თხელი ფენა გადაულის, მგონია, თვითონ მიცურავს, ბოლოს და ბოლოს, მიიმალება ოთახის სქელი კედლის მიღმა. გადაწყრიალდება ირგვლივ, ვხედავ ისევ იქ დგას, დაუფარავი ცნობის-მოყვარეობით იცქირება ოთახში, რომლის სიღრმე ლამის ბნელიდან ამოუტაცია გაცრეცილი შუქით. როგორც იქნა დაადგა საშველი, სინათლემ ჭერისკენ გადაინაცვლა, ბოლოს, სულ მიინავლა... ყველას საიდუმლო იცის, ყველას სარკმელში შეუხედავს, რა არ უნახავს, რას არ გადასწყდომია... კიდევ კარგი, საუბარიც არ შეუძლია, თორემ ნახეთ, რა აურზაური ატყდებოდა. „სხვის სახლში რომ შეხვალ ბრმა და ყრუ უნდა იყო“ – მან თუ იცის ეს დიდებული ანდაზა, ჩვენ რაღა მოგვიყიდა, განა თვითონ არ შევქმენით სიტყვათა ეს წყობა, მშვიდად რომ გვეცხოვრა?!..

მხოლოდ მზე და დედამინა მოუქცევია თვალთახედვის არეში, – ზურგს კოსმოსის ბნელი რიცე უფარავს, უკან რა ხდება, ერთხელაც არ დაინტერესებულა. იქნებ, შიშია მისი

უცნაური ქცევის მიზეზი, – შიში სამყაროსი, თუმცა, თვითონაც ხომ მისი ნაწილია, წევრია ჩვენი დიდებული მზის „ოჯახის“. მკაცრია, მაგრამ უძლური, მიზიდულობის სუსტი უნარის გამო ვერ მოახერხა შენარჩუნება ატმოსფეროსი, რაც გარანტია იქნებოდა მასზე სიცოცხლისთვის საჭირო პირობების არსებობისთვის. ჩვენ, დედამინელები, რადიკალურად განვსხვავდებით მისგან, – საოცარ დაინტერესებას ვავლენთ ჩვენი „ოჯახის“ წევრებთან გვქონდეს კონტაქტი, შესაძლებლობის ზღვარს რომ, რათქმა უნდა, ვერ გასცდება, – სტუმრის ამპლუაში ორივე მხარე იგნორირებულია. შევიხდოთ მზის სიტემის „სამზარეულოში“. რა ხდება, როგორი ცხოვრებით ცხოვრობენ, რაში ხარჯავენ მათთვის მინიჭებულ სასიცოცხლო დროს...

მას ყველაზე მეტად შეეყვარებია დიდებული მნათობი. მცირედ თუ მოსცილდება, ცელქი ბავშვივით შემოურბენს ირგვლივ. უსაშველო სიცხე და სიცივე ბობოქრობს მის ზედაპირზე. გავარგვარებული დღის მხარე კონტრასტშია ღამის ყინვიან მხარესთან. საკმაოდ უხეში ქვიანი ზედაპირი, ოლროჩოლრო, მოყავისფერო ქანებითაა მოფენილი. მერკური უზარმაზარი უდაბნოა, რათქმა უნდა ატმოსფეროსა და სიცოცხლის გარეშე. ცაზე მისი დანახვა არც ისე ადვილია. ისე ახლოსაა მზის დისკოსთან, თითქმის, მასთან ერთად ჩაესვენება, მიჟყვება უხილავი სამყაროს წიაღში.

დიდი დრო აღარ დარჩა გათენებამდე. მთებს გადაღმა მიყუჟული დილა მზეს ელოდება სინათლე და სითბო რომ შეიმატოს, ძალლონემოცემულმა ღამის უკანასკნელ გაბრძოლებას, კიდევ ერთხელ, უპასუხოს გამარჯვებით. რუს ცას სულ მცირედ შეეპარა რიბირაბო. მკრთალია წვრილ-წვრილი მნათობები, ძლივსლა ბჟუტავს. ვემშვიდობები, კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი. აი, ისიც, – კაშკაშა ვარსკვლავი მცირე დისკოს უფრო მიემსგავსება, – ველოდი. ამ ადგილას მხვდება, ყოველთვის... თითქმის გათენდა, რიურაუის სიგრილე მომეტმასნა, ის კი ვითომც არაფერი, წარბსაც არ შეიხრის. აისის ნათელ ფონზე „ცისკრის ვარსკვლავი“ წინანდებურად ბრნყინავს...

ღამემ პირქუში ჩრდილები მსტოვრებად გამოგზავნა, ჯერ კიდევ ნათელ ცაზე „მწუხრის ვარსკვლავი“ აენთო. ქრება დაისი, დაბნელდა. იგი უფრო კაშკაშა ხდება, – მკვეთრად გამოირჩევა დანარჩენებისგან. იმდენად ძლიერია სიკაშკაშე მზესთან ახლოს რომ არ იყოს, გაგვიჭირდებოდა თვალი გაგვესწორებინა, თუკი მზის სიკაშკაშე მის შუქს ჩრდილავს, გაცილებით მეტად დაჩრდილავს დანარჩენ ვარსკვლავებს, ამიტომ დაღამებისას, ვენერა პირველი ვარსკვლავია, დასავლეთის დაბინ-





დულ ცაზე რომ აინთება. ხან როგორც განსაკუთრებული კამკამა „ცისკრის ვარსკვლავი“ (ხარიპარია) ისე მოჩანს. იგი ამ დროს უკანასკნელია, დღის სინათლეზე ქრება. ხანდახან იმდენად კაშკაშაა, მზის ძლიერ შუქსაც კი მისი სავსებით დაჩრდილვა არ შეუძლია და დღის სრულ სინათლეზეც შეუიარაღებელი თვალით ჩანს. იგი ნათურაა გათენებისას და ბინდისას რომ ანთია. სულ ორიოდე საათი გაივლის მისი გამოჩენიდან, სწყინდება უთავბოლო ხეტიალი დღისით, ღამით. შუალამისას არასოდეს ჩნდება. კაშკაშა მნათობია, ამიტომ დღისითაც შეიძლება შევნიშნოთ თეთრი წერტილის სახით. უხსოვარ დროში ადამიანებს ორი სხვადასხვა ეგონათ, — ერთი ცისკრის, ერთი — მწუხრის. არა, ეს ერთი და იგივე მნათობია, — ვენერა. შთაგონების წყაროა პოეტ-პროზაიკოსებისთვის, მხატვრებისთვის. არ მეგულება, თუნდაც ერთი იმათგანი, ვისაც კალმის და ფუნჯის ჭერა ძალუძს, მისთვის არ შეექმნა ლექსი, მოთხრობა, არ გადაეტანა ტილოზე.

სულაც არ ჰგავს შორიდან დანახულს, ულამაზესა და აღერსიანს. ნახშირორუჟანგის ღრუბლის სქელი ფენა საშუალებას არ იძლევა სრულად ვეზიაროთ მის ფიზიკურ სამყაროს. ზედაპირი ძალიან ცხელი აქვს, — ტემპერატურა სამას გრადუსს აღწევს. ჩანს, იქაც ისეთი უდაბნოა, როგორც მერკურიზე. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, იგი ხომ იმისთვისაა შექმნილი პირქუშ ციურ სამყაროში უკუაქციოს ბნელი და შთაგვაგონოს, რომ ღირს, თუნდაც მცირე ხნით მოვლენა ქვეყნიურებაზე. ისიც ხომ ჩვენსავით მოკვდავია. მისი სიცოცხლე ნამია, ალბათ კოსმოსის უსასრულობაში. ვეთაყვანებით, — ყოველი დილა, ყოველი საღამო რა იქნებოდა მის გარეშე?..

ის რომაელებმა ომის ღმერთის სახელით დააჯილდოეს, — წილად ხვდა პატივი მისივე წითელი ფერის გამო, ცეცხლს რომ მიაგავს. ამ პლანეტის ღერძის მდებარეობა ისეთივეა, როგორც დედამიწის. ეს დახრა განაპირობებს წელიწადის დროთა ცვლას. მარსზეც არის ხოლმე გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. პოლუსიც ორი აქვს ჩრდილოეთი და სამხრთი. როცა ერთგან ზაფხულია, მეორეზე ზამთარია. სიცივის პოლუსზე ჩანს თეთრი საფარველი, მაგრამ აი, დგება ზაფხული, სითეთრე ვიწროვდება, თითქოს, დნება, შემდეგ ისევ იზრდება. შეიძლება ეს თოვლი სულაც არ იყოს არამედ გაზი, რომელიც წარმოქმნილია ნახშირორუჟანგის და აზოტის ნარევისგან. ორი ნამცეცა „მთვარე“ უწევს მეგზურობას დაუსრულებელ გზაზე, ფობოსი და დეიმოსი, — „შიში“ და „საშინელება“. ამ, ციცქა თანამგზავრების განივევეთი თექვსმეტი და რვა კი-

ლომეტრია.

მრავალი მითქმა-მოთქმა დადიოდა მარსზე მცხოვრებ გონიერ არსებებზე, თუმცა, ეს პლანეტა უკიდურესად განსხვავდება ცხოვრების ნირით დედამიწისგან, შეუძლებელია მსგავსი ცდომილის არსებობა. ცას ავხედე, კაშკაშებს. წითლად ციმციმი კი ამოტყორცნილ ცეცხლის ენებს მიუგავს...

გონებას ძალას ვატან, — ვცდილობ წარმოვიდგინო რამხელაა ჩვენი დედამიწა, არ გამომდის. უკვე სულ ერთი ხდება გამოსაცნობად, რა მოცულობა შეიძლება ჰქონდეს მასზე მოზრდილ პლანეტებს. მიწაზე ვდგავარ, წარმოდგენით ვცდილობ ყველაზე დიდი ბურთი მოვათავსო ხილულ ზედაპირზე, — არა და არა, მხოლოდ მე კი არა, არცერთ მოკვდავს არ ძალუძს. მე, რომელსაც ტელესკოპში ჩახედვაც კი თავზარს მცემს, ვემორჩილები ტვინის კარნას თავი დავანებო ამაზე ფიქრსაც კი. ჩვენს პლანეტას და მასზე გაცილებით დიდებს ყველა მათგანს ერთ ზომაში ხედავს გონება.

იუპიტერის დიამეტრი თორმეტჯერ დიდია დედამიწისაზე. მასში ჩვენი პლანეტის მოცულობის ათასოთხასი სხეული ჩაეტევა და კიდევ დარჩება თავისუფალი ადგილი, თუმცა იგი მხოლოდ ერთი პანანინა წერტილია ციურ სამყაროში, რომლის წარმოდგენით ზომაზე ფიქრიც შეუძლებელია.

სუსტი ნიავი ელამუნება ფოთლებს, წვრილი ტოტები მშვიდად იჩნევა. ალერსით უწენავს ბალახს ქოჩორს, ისეთი ნაზია, როგორც პეპელას შეხება ყვავილთან, მცირედ რომ შეარხევს ნაზ ღეროს, უნანავებს და ნექტრით გაბრუებული, სამკაულივით შემორჩება გვირგვინზე. დიდანას არ გრძელდება იდილია, — უცეპ, ბრაზი წამოუვლის, მხეცი იღვიძებს მასში. ხმელი რაც მოხვდა „ხელთ“ აიტაცა და ყურისთვის უსიამო შრიალით მიფანტ-მოფანტა. ხეები ძლიერად შეარყია, ტოტები ერთმანეთში გახლართა. მხოლოდ დამტვრევით როდი დაკმაყოფილდა, ძირიანად მოგლიჯა. მლოცველს დაამსგავსა ფესვები ხელებივით რომ აღუპრია და უფალს მშვიდობას შეღაღადებს. ეზოს მჭიდროდ მიხურული რკინის კარი ჭრიალით გააღო, გამეტებით მიახეთქა ქვის კედელს. ურდული უღრიალით დაენარცხა ძირს და კიდეზე მდგარი მეორე მხარეს გადაატრიალა. ეს როდი იკმარა, მძლავრი ფრთები, კიდევ უფრო გაშალა, ბოროტებით შეპყრობილმა მორიგი მავნებლობის ჩასადენად გაიქროლა. დენის ბოძები მოტეხა, სადენები მიგლიჯ-მოგლიჯა, გახლართ-გამოხლართა. მავთულებიდან ავარდნილმა ფეირვერკმა დღის სინათლე დაჩრდილა. შესაზარი განმუხტვა უცებვე შეწყდა, — ელექტრობა გაითიშა. მცირე კოცონი



არ მოასვენა, ხანძრად აქცია, მიუსია სახლებს, ტყე ააბრიალა... თანდათან მიწყნარდა, სული ეხუთება. ბოლოს, ისეთმა უღონობამ შეიძყრო, მთელი დღის შრომით დაღლილ გლეხს რომ მოეძალება და სულს ძლივს მიიტანს შინამდე...

იგი პლანეტაა, რომელიც ისე აღმოაჩინეს ცისთვის არცკი შეუხედავთ, – მხოლოდ გამოთვლები და არა რეგულარული დაკვირვება. ჩვენი დედამიწის ეს უძლიერესი ქარიშხალი ერთი უბრალო ნიავია მასთან. მზის სისტემაში ყველაზე ძლიერი გრიგალი ქრის, – ნეპტუნი ქარების პლანეტაა. შორეულ, უზარმაზარ მასას მუქ-ლურჯი ფერი დაჰკერავს, რომელსაც მეთანი აძლევს. იგი მცირე რაოდენობითაა. ძირითად გაზს წყალბადი და ჰელიუმი წარმოადგენს. ზედაპირი არამყარია. მის ირგვლივაც შეიმჩნევა რგოლების ვიწრო ზოლი, რომელიც სიდიდით და სილამაზით სატურნის რგოლებთან ახლოსაც ვერ მოვა. მათი შემადგენლობა, ძირითადად, მტვერია. თოთხმეტი თანამგზავრი ახლავს. უდიდესი „მთვარე“ დედემიწის მთვარის ტოლია, ტრიტონის სახელს ატარებს. ადრე ცალკე პლანეტა ყოფილა, რომელიც ნეპტუნმა თავისი გრავიტაციით ჩაიჭირა. გამეფებულ სიცივეში ამიაკი არ შეიმჩნევა, რადგან მას არ ძალუდს გაზოვან მდგომარეობაში დარჩენა, – იყინება და ილექტა თეთრი, თოვლისმაგვარი ნივთიერების სახით.

წყალქვეშა სამყაროს მეფე წყალს ზემოთ წელამდე ამოზიდულა. განრისხებულია, სამკაპი მოუმარჯვებია და გამეტებით აქნევს, – ზღვაზე შტორმი ბობოქრობს. მძვინვარე, ქაფმომდგარი, მაღალი ტალღები ნაპირისკენ მოიჩეარის, თითქოს, დედამიწა უნდა შთანთქას და ფერხთით მოაქციოს მისი უდიდებულესობა მეფისა. არც ციურ სამყაროში მბრძანებლობაა მისთვის უცხო ხილი, – ლურჯი, ოკეანისფერი ვიზუალით პლანეტა ნეპტუნი, მგონი, თავისი სამბრძანებლოს ნაწილად უცვნია და ნებისთვის დაუმორჩილებია, – თითქოს, იქაც მიუწვდება ხელი გამოიწვიოს საშინელი, ქაოსური ქარიშხალი... შორიდან დანახული მშვიდი გარეგნობის მიღმა ნეპტუნი მაღავს მღელვა-



#### მხატვარი სოფიო ჭელიძე

რე, მძვინვარე სულს. აზოტ-მეთანის ატმოსფერო ყინულის ამ ბნელ გიგანტს თვალისთვის ნაზს და საამოს ხდის...

პლუტოს „სახლიდან“ ცხვირი მოუჩანს. თვლემს. ხანდახან ცალ, ლიბრგადაკრულ თვალს გაახელს, – ძვალს უთვათვალებს, ეტყობა, სადილად ინახავს. ძალიან შია, მაგრამ ვერ ელევა სიამოვნებას, ნუგბარის ცქერისას რომ განიცდის. ლამაზი სახელი შეურქმევიათ...

ათასცხრაას ექვს წელს მდიდარმა ბოსტონელმა პერსილვან მოუელმა დააარსა ობსერვატორია მის აღმოსაჩენად, სახელის დარქმევის უფლებაც ჰქონდა მინიჭებული. შეთავაზება მრავალი იყო. ერთ-ერთი მათგანი თერთმეტი წლის ოქსფორდის სკოლის მოსწავლემ წამოაყენა, – წყლისა და ზღვის სამეფოს ღმერთის სახელი – პლუტონი. ერთხმად მიიღეს, მით უმეტეს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ პირველი ორი ასო პერსილვან ლოუელის ინიციალებია, – პ. და ლ. ეს იყო პლანეტა პლუტონი. სწორედ მისი აღმოჩენით





შთაგონებულმა უოლტ დისნეიმ მიკი მაუსის კომპანიონ ძალლს პლუტო დაარქვა, ახლად შექმნილ ქიმიურ ელემენტს კი, პლუტონიუმად მოიხსენიებდნენ...

ძირითადი მასალა აგებულებისა კლდოვანი და გაყინული გაზია. ზედაპირის ზოგიერთი მონაკვეთი კაშკაშაა, ზოგგან მუქია. კაშკაშა ადგილები, დიდი ალბათობით, გაყინული აირი, აზოტია. გულის ფორმის რეგიონში გიგანტური ყინულის მოზრდილი გული შეინიშნება, სუფთაა, ქათქათა, ერთი კრატერიც არ მოჩანს...

საოცარია, თვითონ მცირე ზომის სხეულს ხუთი ბუნებრივი თანამგზავრი, – ხუთი მთვარე ახლავს: ქარონი, ნიქსი, ჰიდრა, ცერბერი და სტიქსი. მათ შორის სიდიდით ქარონი გამოირჩევა, ის ზედმეტად ახლოს ორბიტირებს პლუტონთან. არც იგრძნობა თუ თანამგზავრია, რადგან ერთმანეთთან გრავიტაციულად არიან ჩაკეტილი, თუ ვდგავართ ქარონზე, პლუტოს დავინახავთ ერთი მხრიდან და პირიქით. ისინი ღერძებზე არ ბრუნავენ, გრავიტაცია უშლით ხელს. ფერით განსხვავებული არიან, პლანეტა უფრო ღია ფერია, თანამგზავრი – მუქი. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ერთი წყაროდან არ არიან წარმოშობილი...

მისი დიდება, პლანეტათა რიცხვში ყოფნა რომ ანიჭებდა, სანთელივით ჩაქრა. ჯუჯა პლანეტების ოჯახმა ახალი წევრი შეიმატა. ოვალური ორბიტა, მცირე ზომა, – მთვარეზე პატარაა, დიამეტრი კი მერკურის დიამეტრის ნახევარზე მცირეა, – სხვა უჩვეულო მახასიათებლები განასხვავებს სხვათაგან, მის სიახლოეს მილიონბით პატარა ყინულოვანი ობიექტები შეინიშნება, – ჯუჯა პლანეტები და სწორედ მათ კატეგორიაში გადავიდა. მოკლედ, მცირე ზომამ, ოვალურმა ორბიტამ, სიახლოეში კოსმოსური მტკრისგან, უსუფთაობამ გადაწყვიტა მისი ბედი. არ ცნეს სრულფასოვნად. მის აღმოჩენას უდიდესი სიხარულით შეხვდა მსოფლიო, შეიყვარა. თვითონ როდი დარჩა ვალში, – სუფთა გულს გვიჩვენებს, ალბათ, გასაგებია, რის თქმას ცდილობს...

დედამიწას თანდათან მწუხრი ეფინება. მალე ისეთი წყვდიადი ჩამოწვა, ირგვლივ აღარაფერი ჩანდა, სამაგიეროდ ვარსკვლავებიდან წამოსული სინათლე, თითქოს, ზოლებად ეშვება. შესანიშნავი დროა ფიქრისთვის და მეც სწორედ ის მახსენდება, დიახ, ის ლამაზმანი. მომწვანო ლურჯი ფერი გადაუკრავს, – ეს მეთანია იდუმალი სილამაზის საიდუმლო, ამ შეფერილობას, სწორედ, ის აძლევს. სახელიც რომ განსხვავებული დაურქმევიათ, არა რომაული. ცის ღმერთის და სხვა ღმერთების შემქმნელი ღვთაებისა – ურანი. სიცოცხლის

გზაც, რომელზეც მთელი ცხოვრება აპირებს მოძრაობას, სხვებისას არ ჰგავს. იგი იმ უიშვიათესი პლანეტების სიაშია, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით რომ ბრუნავენ საკუთარ ორბიტებზე მზის გარშემო. გაზის ამ გიგანტის ძირითადი შედგენილობა წყალბადი და ჰელიუმია. ყველაზე ცივი პლანეტაა სისტემაში. ატმოსფეროს ზედა ფენებში ძლიერი ქარები ქრის, რომლის სიჩქარე წამში ორას ორმოც მეტრს უტოლდება.

ურანის სილრმეებში არსებულმა უკიდურესმა წნევამ და ტემპერატურამ შეიძლება მეთანის მოლეკულების დაშლა გამოიწვიოს, რის შედეგადაც ნახშირბადის ატომები ალმასის კრისტალებად კონდენსირდება, რომელიც მანტიას დააწვიმს და ძირში, შესაძლებელია, თხევადი ალმასის ოკეანეა, სადაც მყარი „ალმასბერგები“ დაცურავს.

პლანეტის რგოლები უსახური მუქი ფერის მასალისგან შედგება. .

დაე, დავუტოვოთ ცისფერი ლამაზმანი თავის სტიქიას, რომელმაც წარმოშვა და რომელსაც ძლიერ შესისხლხორცებია. ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, სანამ მზეს ძალა შეუსუსტდება და სასიცოცხლო ხელს ვეღარ გაუწვდის, ვინ იცის, რა ბედი ეწევა...

ხმაურობენ პლანეტები ვინ ტკბილბმოვნად, ვინ ისეც, შემის ზარს რომ სცემს ადამიანს. დაე, მელოდიად ჩავუთვალოთ, ყველა ხომ გულიდან წამოსულს მღერის. ერთმანეთს ხელს არ უშლიან, ხმაურით არ აწუხებენ, საკუთარ თავში ტებებიან, მხოლოდ, – ირგვლივ გამეფებული წყვდიადი ხმას უკან უბრუნებს და ყველა კუთვნილ კოსმოსის ციცქანა წანილში განაგრძოს თრბიტაზე უსასრულო გზას, თან მიიყოლებენ იმ, ერთადერთ მელოდიას, აქამდე რომ ლილინებდნენ...

სამყარომ წარმოშვა და თავი იმით იმართლა, მაზიარა მიწიერ ყველა სიკეთეს, სიხარულს, სიყვარულს. მცირედ, მაგრამ მაინც ჩამახედა ციური სამყაროს სილრმეში, დასაფასებელია მისი ამაგი ჩემდამი...

ბოლოს და ბოლოს, დავამთავრე კამათი საკუთარ მესთან ქვეყნად მოვლენის კუთხით – მე დავიბადე. დიახ, ასეც უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმ შემისმოგვრელი იდუმალებისა, ციური სამყაროს წიალი რომ შეიცავს, ინტერესი არასოდეს გამნელებია მისი შეცნობისა. სიცოცხლე საჩუქარია...

დაბოლოს, იქნებ სადღაც, ბნელი კოსმოსის რომელიდაც მონაკვეთზე ციმციმებს მცირე ნათელი წერტილი, რომელიც სიცოცხლის დასრულების შემდეგ სამოთხეს აზიარებს ჩვენს სულებს. მანამდე, კი...

– მე დავიბადე!..



### ანი ჭავაშვილი



ანი ჭავაშვილი

\* \* \*

ერთხელ ისევ ვიტრიალებთ წრეზე და  
მიტოვებულ ჩვენს ბედს უფალს მივანდობთ...  
ღმერთმა არ ქნას ისევ მწარედ გვეტყინოს...  
ღმერთმა არ ქნას ერთმანეთი ვინანოთ.

41



ისევ მზარში დაიჭრება ბედიც და  
ალბათ გულებს ყავარჯნებზე მივაყრდნობთ.  
ალბათ ისევ დაგვიშრება ცრემლები,  
ღმერთმა არ ქნას ერთმანეთი ვინანოთ.

ალბათ ისევ დაბრუნდება ტკივილიც,  
ერთხელ კიდევ გაირკვევა ვინ რას ვგრძნობთ...  
ღმერთმა არ ქნას, ისევ მწარედ გვეტყინოს...  
ღმერთმა არ ქნას ერთმანეთი ვინანოთ...

\* \* \*

მთებია ძვირფასო ირგვლივ და  
შენს ყოფნას, რაღაცა აკლია.  
ვიფიქრე, არ მოვინაკლისებ  
და ბოლოს ფიქრებმაც ამრია.

არ მინდა მიგიხვდე ზრახვებს და  
არ მინდა ჩაგთვალო წარსულში,  
ჯიუტად ვუმტყიცებ ჩემს თავსაც  
რომ შენ სულ იქნები ამ გულში.

ირგვლივ სულ მთებია, ძვირფასო,  
ჩემგან კი რა გასაკვირია.  
სულ იქით ექაჩებიან,  
თუკი რამ დამიჩივლია.

\* \* \*

მითხარი არ ლირდა არაფრად,  
წარსული დავტოვოთ წარსულში.  
მითხარი არ გახსოვს ის კოცნა,  
პირველად რომ იყო ზაფხულში.

მითხარი, რომ აღარ გიყვარვარ  
და შენ ჩემს ტკივილებს ნუ დარდობ.  
მითხარი რომ მხედავ არ მოგწონს,  
მაშინვე გავქრები უკვალოდ.

მითხარი აღარ ვარ ლამაზი  
და რომ სხვა ლამაზი იპოვე.  
მითხარი რომ აღარ გიყვარვარ!  
სათქმელებს გულში ნუ იტოვებ.



შალე გაფრინდება წამი,  
თუ არ ააჩქევებ ფიქრებს,  
თუ არ გამოსტარებ პზრებს,  
შავად, დაგუბებულ ლამეს.

შალე ფრინდება ჭიქა,  
მთვარე ქვიშის წამებს ითვლის,  
ერთი ნაფიქრალის ფასად,  
ათას წაირევს ვითვლი.

შ. ქავთარაძე



### შოთა ქავთარაძე

ჭეშმარიტი პოეზიის დამფასებელთ, კარგად ემახსოვრებათ, ცხონებული შოთა ქავთარაძე, ბრწყინვალე პოეტი და კალმოსანი.

ბატონი შოთა ნაადრევად განეშორა ამ წუთისოფელს და გულში ბევრი ტკივილი და დიდებული პოეტური ნიმუშები დაგვიტოვა.

ამ სამწუხარო გარემოების ფონზე, დიდად გაგვახარა ახლახანს ლიტერატურულ სარბიელზე თსუ-ს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორანტი შოთა ქავთარაძის გამოჩეულაზე.

შოთა ბავშვობიდანვე წერს ლექსებს, მაგრამ არასდროს უფიქრია გამოქვეყნებაზე, უბრალოდ ჩვენ წაგვაკითხა რამდენიმე ლექსი, რომელიც მრავალმხრივ აღმოჩნდა საყურადღებო.

ვფიქრობთ, ღრმა ლირიზმით, იშვიათი გულწრფელობით, განცდათა სილრმით და მრავალფეროვნებით აღხეჭდილი მისი ლექსები, აუცილებლად უნდა წარსდგეს მყითხველის სამსჯავროზე.

ჩვენ კი ისლა დაგვრჩნია, რომ წარმატებები ვუსურვოთ ახალგაზრდა პოეტს ლიტერატურულ ასპარეზზე, რათა ღირსეულად განაგრძოს და განავითაროს თავისი უფროსი სეხნის გზა ქართულ მწერლობაში.

### მონაჭრება

შენზე ფიქრი ჩამისახლდა სულში  
მენატრები, უსასრულოდ გხატავ,  
სადლეგრძელოს, როცა დავლევ შენსას,  
როიალიც აუღერდება, ალბათ.

დაგეხვევა ფიქტა თეთრი გუნდი,  
თითქოს გშვენის, საქორნინო ფატა,  
მზის სხივებში მოლივლივეს, გნატრობ  
და ამ ლექსაც, შენს სიყვარულს ვატან.

### ვით გალაკტიონის

ვით გალაკტიონს ღვინო ჭიქაში,  
ისე მათრობდა შენზე ოცნება,  
მე ახლა ფიქრებს ფრთხი შევასხი,  
გაფრენას ვცდილობ, მიწევს გოდება.

სადლაც, შორიდან შენი სურნელი  
ამ ცივ ქარს ჩუმად გამოაყოლე,  
მიყვარხარ, ვცდილობ, რომ ეს მანძილი  
იყოს მოკლე და ნაკლებ მრისხანე.



მთვარე კი მიცქერს წრფელი სიცხადით,  
მიმზერს და ჩუმად მესაუბრება,  
ვერცხლისფერ პილიქს, შენც გამოჰყები,  
ეს დღეს თუ არა ხვალე მოხდება.

\* \* \*

ფანტასტიური დილა გათენდა,  
დედამ ბუშტები ააფრიალა,  
ოცდამეხუთე გავლენე წელი.  
ოცდამეხუთე წელმა იალა.  
რა სიხარულის წლები გავიდა,  
ზოგჯერ მაწუხებს ძველი იარა,  
მადლობელი ვარ შენი, უფალო,  
რომ დღემდე ჩემმა ჯიშმა იარა,  
რომ სიყვარულმა ჩემი ქვეყნისამ,  
გულზე ზღვასავით გადიგრიალა.

## ნამიდან აუსარულობამდე

მალე გაფრინდება წამი,  
თუ არ ააჩქეფებ ფიქრებს,  
თუ არ გამოსტაცებ აზრებს,  
შავად, დაგუბებულ ლამეს.

მალე დაიცლება ჭიქა,  
მთვარე ქვიშის წამებს ითვლის,  
ერთი წაფიქრალის ფასად,  
ათას წაიარევს ვითვლი.

ბოლო ალარ უჩანს ზამთარს,  
დიდხანს გაგრძელდება ლამეც,  
გალაკტიონი კი ითვლის,  
მეფის უკანასკნელ წამებს!

43



## ესპანური იმპრესარიო

(ბარიო, ტორეადორი, რომელიც  
ხართან ბრძოლაში დაიღუპა)

მე უარს ვამბობ, სურიალისტურ ფუნჯის მონასმზე,  
ეს ცხოვრება ხომ ესპანური იმპრესიოა.  
ბასრი რქებივით, ალესილი ჩემი კალმები  
თეთრი ფურცლისკენ გაშმაგებით დღესაც ილტვიან.

ვათავისუფლებ გრძნობებს, როგორც ტორეადორი  
ბორკილებისგან იხსნის ხარის პირუთვნელ ზრახვას  
და ჩემს ფურცელზე, ერთი სტროფი წაფიქრის გვერდით  
ფერმკრთალად მოჩანს სისხლისფერი ბარიოს ლაქა.

## თბილისური სერენაფა

აელვარება თბილისურ მზის მხიბლავს მარადუამს,  
აქაურ ტაძრებს, დასდგომიათ შარავანდედი,  
მენამულ სხივთა თეთრი ციდან გადმოდინება,  
მისით გამობარი ლვინის შესმა აზარფეშებით.

ხმაურიანი სიოს ფეთქვა ჭადრების რიგში,  
მთვარე, რომელიც ჩუმ მდინარეს ესაუბრება,  
მოზაიკებით შემკობილი ძველი კედლები,  
თბილისს ათასფერ და მომწუსხველ ზღაპრებს უყვება.

გზაზე კი მიდის ერთი კაცი, ფიქრებით სავსე  
და ამ ფიქრებში მისი სატრფოც არ ახსენდება,  
იცის, რომ ხვალაც გაგრძელდება ზღაპარი იგი  
და თბილისური ფაეტონის მგზავრი იქნება.

ოლქა, №1 2025



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

44



## ଶୋଭାର୍ଯ୍ୟବଳୀକାନ୍ତରୁଦ୍ଧ

ეს არ ვყოფილვარ აიტის თანამედროვე,  
იაზონისგან რომ დამეცვა ოქროს საწმისი,  
მაგრამ ჭალებში მოჯირითე ქარსაც ვეომე,  
რწმენის თასიდან გაბნეული ბოლო მარცვლისთვის...  
ვერ მოვახერხე, გზა იქსოს ღოცებით ამევსო,  
როდესაც ნინომ მზე აგროვა, სითბოდ დალვრილი,  
მაგრამ შევძელი, მოვრეოდი ცოდვის სამეფოს  
და აღმერათა უფლის რწმენაც, ნინოს ჯვარივით...  
მტკვარმაც ბევრი თქვა წუთისოფლის, ბევრიც არაგვმა...  
არ შევსწრებივარ არც მცხეთაში ნგრევას კერპების,  
მაგრამ ნისლიან ქონგურების ნგრევის კვალდაკვალ,  
გულში იმედის სვეტიცხოველს მეც ვაშენებდი...  
თუმცა საზღვარი ვერ გავწინ დარუბანდამდე,  
სხვამ სინანულიც უფრო მეტად იგრძნო სინათლით,  
ადამიანად ყოფნის არსი კაცს თუ ადარდებს,  
მეც გულისცემას ჩემს პატარა დიდგორს მივათვლი...  
სიცოცხლისათვის, თვით სიკედილზე მკერდმიშევრილი,  
მცხუნვარე მზის ქვეშ, ცოტნესავით თუ არ დავწექი,  
სევდის კელიას შეხიზული, ზოგჯერ ბერივით,  
მეც ხომ მარილში, ჩემს ცრემლიან ლუკმას ვაწებდი...  
როცა ნამებმაც მოუხშირეს ურვად ვაზებზე,  
დემეტრესავით თავი მსხვერპლად, ვერც მე დავდევი,  
მაგრამ სიკეთე სიბრელეშიც უნდა გამზევდეს,  
ერთ ხმალს რომ მაინც ეპატიოს მკერდზე ნაჭევი...  
სიკეთისათვის და რწმენისთვის გზაც თუ ატირდა,  
რაც ყაყაჩიებს კვლავ წინაპრის სისხლად აშრება,  
მე ლექსის რითმებს შევატოვე ქართულ მანდილად,  
რა სილამზეც ვერ დაფარეს ქირმან — შალებმა...  
ვერ მოვახერხე, რომ მექცია ცხადად სურვილი  
და მეც ერეკლეს ბედაურად ველზე მერინა.  
მაგრამ შევძელი, გაზაფხულის წვა და დუღილი  
შემომებტვრია, ვით მდინარეს, მკერდზე ჯებირად...  
ზოგჯერ ბალახიც ხავსივით რომ მოჩანს არხებზე,  
ამით სიცოცხლე იწყება და როდი მთავრდება, —  
ციხის ნანგრევებს სევდიანად როცა გავხედე,  
თითქოს ეს მითხრეს პანაზინა ყოჩივარდებმა...

၁၂၅



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ





## ზრუნავს სამყარო...

ბრუნავს სამყარო, ბრუნავს მოთმენით,  
გზებს რომ დარდებად ამოიკეცავს...  
ვეღარ მიცვნია მუხა ფოთლებით,  
დარდი კანზედაც ამოიქერცლა.....  
ბევრჯერ მინახავს ვაზის ტირილით,  
ყაყაჩოებზე ცვარის აკინძვაც,  
ის რაც შეჰქარის ყვავილს ჩიტივით  
და გამოყოლა იცის აკვიდან...  
თუ გაუმშრალი გზა და ჭირხლია  
და ვერ იტანენ ასკილს სიწითლით,  
თუ არც ზღვა ამბობს ზღაპარს ტკბილხმიანს  
და ვერც ცამ გახსნა ნასკვი მიწისთვის, –  
ლმერთო, შენამდე ისე ახლოა,  
რომ ემბაზისფრად დღე სულს ჩამიდგამს...  
და აათროლებს მწიფე მაყვლოვანს,  
ნინოს ნაწნავით შეკრულ ჯვარისგან...  
თან საფიქრალსაც დაყრის საცერზე,  
რომ ღრუბლებივით გაცრას ფიფქებად...  
მერე კი, ყინვით დაღლილ საცეცებს,  
შემომაჩირებს დასაფიქრებლად...  
მე მხოლოდ ჩემი ფიქრი არ დამაქვს,  
მუდამ ასეა, თუკი ვიდროვებ...  
ბოგანოსავით დავალ კარდაკარ  
და სხვის ლიმილებს მუჭში ვიგროვებ...  
გზად რომ დათქერილ ხორბლებს ვითვლიდი,  
ნაქარიშხალი გული ამტკივდა...  
და მერე მივხვდი, რომ ეს ტკივილიც,  
გამოყოლილი მქონდა აკვიდან...  
თუ ცხრა მთას იქით, ზეცაც მეცხრეა  
და არ გამხდარა არვის სადაოდ,  
ნურც იმას მკითხავთ, ცა რომ ვერცხლდება,  
რატომ მივიჩნევ ქარვისადაო...  
მესაიდუმლედ ნაცადი ღამე,  
ფიქრს მტევანივით ხელში თუ წურავს,  
მღვრიე გუბეში ჩავარდნილ მთვარეს,  
რატომ ვადარებ ბლების კუნწულას...  
ნუ მკითხავთ, როცა ღრუბლების იქით,  
ჩიტს გულყვითელა მზედ დავიგულებ,  
რაღატომ ვინვევ დუელში სიკვდილს,  
ან რატომ ვმაღავ სველ თაგულებს...  
რატომ ვარწყულებ დარდის ძირხვენებს,  
ატმის ხესავით სულში განატოტს...  
და მდინარეთა განვდილ ცივ ხელებს,  
ნეტავ, ან რისთვის ვუცვლი კალაპოტს...  
მე ველოდები გამონათებას,  
როგორც სიყვარულს, მხოლოდ ცნობიერს...  
მადლი რომ ბნელშიც მენთო სანთელად,  
გმადლობ, უფალო, რომ მაცოდვილე...  
იქნება ბედიც არ მანყევლინო,  
თუმცა წვალებით ვზიდე მარხილი...  
და კიდევ ერთხელ ამანევინო,  
თავი, მიწისკენ მძიმედ დახრილი...  
ლმერთო, შენამდე ისე ახლოა,  
რომ ემბაზისფრად დღე სულს ჩამიდგამს...  
და აათროლებს მწიფე მაყვლოვანს,  
ნინოს ნაწნავით შეკრულ ჯვარისგან...





ცრემლიც თუ ფიქრად თვალს მომადგება,  
ბედს მაინც შეცვლის, შეცვლის პირწმინდად,  
ასკილის წითლად ამონათება,  
სევდაშერეულ თეთრი ჭირხლიდან...  
ვერ გამოდგება ის გზა ნარჩევად,  
და ეს მელავებიც აღარ მელავობენ,  
თუ მზეს, ოცნების დედა — მარჩენალს,  
მიაგორებენ სასაკლაომდე...  
მაგრამ პასუხი უმალ განარჩევს,  
სუნთქვას, რომელიც ბავშვივით წრფელობს, —  
მეც სიყვარულით უნდა გადავრჩე  
და დედამიწის დალლილი სფეროც...


## ნათლისლება


როცა ფიქრითაც ენაყავ სადარდელს  
და ზღვა სინანულს ვატევ თვალებში,  
თავს მიტოვებულ საყდარს ვადარებ,  
სანთლად მიმწვარი ნატერფალებით....  
მინავლებული ფერთა საცდური,  
მაინც თუ, ბუუტავს ისლის ქოხივით,  
ღამე, მთვარისგან მხრებგასანთლული,  
ბევრჯერ წელშიდაც ვიცი მოხრილი, —  
მიტოვებული მკვეთრი მანძილით,  
შეშლილ ფშანებთან როცა კანკალებს,  
დარდით დალლილი ბერიკაცივით,  
მიწას კოცნის და ლოცავს ნაკვალევს;  
გზასაც აგრძელებს სხივთა სიმაღლით,  
ხანაც მზედ, ხანაც მთვარის სახებად...  
რადგან, ღვთისმშობლის წმინდა წიაღში,  
კვლავ, მაცხოვარი ჩაისახება, —  
ვერ დააოკებს სულის ცდუნებას,  
ცა, ნაზამთრალი კუმშვით დაღლილი...  
და მონათლული ფურისულებად,  
გზაც აფეთქდება გულში ნაღმივით...  
ჩამოღვენთილი სანთლის წვეთები,  
შუბლზეც თუ ისევ დაბუდდებიან,  
მეც მომლოცველის მადლით შევხვდები  
დილას, უმწიფეს ალუბლებიანს...  
სიგრცეს, დაფატრულს სეტყვა-ქარისგან,  
თუ ჩაანაცვლებს ღელვა მდინარის,  
როგორ ჩავთვალო შესაბრალისად,  
გული — უფლისთვის შესაწირავი...  
ტანზე სულაც რომ, საცდურად მეცვას,  
შეუცნობლობა სველი ფშანების,  
თავსხმა წვიმებით ნაგუბარ ზეცას,  
მაინც ცრემლივით შევიმშრალებდი...  
და ცა, უკურნელ წვიმის სანაცვლოდ,  
შეიგსებოდა ერთი, — მზის სხივით...  
მინდვრად ხომ, ისევ ღვივის ყაყაჩო,  
ჯვარზე ნაწვეთი ღმერთის სისხლივით...



## გრალის ოაზი...

კაცს საუკუნო წყალობას თუ ჰევრის,  
გზა – სინათლეს და სიბნელეს შორის, –  
მინდა რომ, წამსაც ვაქეციო ზურგი,  
დაბადებიდან სიბერედ შობილს...  
წუთიც თუ – ტრფობის... და ყველა ტვირთის,  
ბოლოს თავს იყრის გრაალის თასში,  
ვიხსენებ – მეც რომ, დიდ სენად ვჭირდი,  
სივრცეს – დარდების ქარავნით დასჯილს...  
არავინ განსჯის, თუნდაც ნივთივით,  
ჩუმად გაყიდულ ძონეულ ზეცას...  
და სასოებაც უმაღ მიითვლის,  
უჭირო ჭირად ბოძებულ ვერცხლსაც...  
მაგრამ თუ ცრემლსაც ავსებს მზე – ქარვის  
და გულისცემას სინჯავს ზვირთებით,  
გოლგოთის მძიმე გზაზე შემდგარი,  
მეც შევიქნები ჯვრისა მტვირთველი, –  
რომ სიკეთის წილ მისჯილი ცოდვის,  
შემსუბუქება შევძლო, უფალო, –  
ბედს კი, გულიდან ახსნილი ლოდი,  
დიდ სინანულში გადავუცვალო...  
ქვის ცხენზე მჯდომი, დიდი წვალებით,  
ქარებთან ჭიდოლს თავსაც მივცემდი,  
რადგან ამ ჭიდოლს, სისხლის თვალებით,  
ზეცაც მოელის გაფაციცებით...  
ალბათ, ის ცრემლიც უნდა შემეშრო,  
რაც მერცხლად ესვა ფრთაზე ნიავ-ქარს...  
და ვარდის რტოთა დარი სეფე – დროც,  
ეკლის გვირგვინად გამეზიარა...  
წყალზეც იარეს საფეხურებით, –  
და გზას უპოვეს ორი წერტილი,  
თუმცა ფიქრები ცას შეპურებენ,  
მაინც – დამფრთხალი შოშიერივით...  
კაცს საუკუნო წყალობას თუ ჰევრის,  
გზა – სინათლეს და სიბნელეს შორის, –  
მეც აღარ მიკვირს, მძევლად რად ვსურდი,  
ქარს – ბობოქარი სულივით შობილს, –  
რატომ მომინდა, ის მძიმე ლოდი, –  
ბედს სინანულში გადავუცვალო,  
რასაც მადლის წილ, მისჯილი ცოდვის,  
შემსუბუქება ჰქვია, უფალო, –  
...ყველა ტკივილი ერთად შენივთდა,  
სასიხარულო სხივების მაცნედ...  
წამომართა ჩვენს წინ რწმენის მთა, –  
და ჯვარს ორთავე, ღვთის ნებით გვაცვეს...





აკაკი ბიძინაშვილი

ოფესმე...

ფარნა რაინაულს

ოდესმე, წლები აგნონის,  
თუშეთის მთებში შობილო,  
გველეშაპთან ხარ ნაბრძოლი, –  
ალაზნის ველთან ძმობილობ!  
ისმენდი ჩურჩულს მზის ქართა,  
ტანზე გეხვევა, მთის ქარიც,  
ვინ დაბადებდა, ღვთის გარდა,  
შენნაირ პოეტს, მითხარი!  
თელავში ჩამოიტანე  
ლექსად ნაკურთხი ჰაერი,  
ბრძენ პოეტს, ყველგან, იტანენ, –  
მას შენატრიან სხვა ერნიც.  
ვერ გაგახარბა ცხოვრებამ,  
ვერ გძლია შურმა – გოლიათს...  
მზეჩასულთ უთვლი ცხონებას, –  
შენც ყველა გლოცავს, – მგონია...





### ვაჟა მიროტაძე

#### არყოფნის კართან

არყოფნის კართან, არყოფნის კართან,  
ვიგონებ ყველა გარდაცვლილ პოეტს,  
ვიხსენებ დღეებს მუდამ შფოთიანს,  
ჩემი სიცოცხლის ანსა და ჰოეს.

ლირდა კი მოსვლა? ლირდა კი მოსვლა?  
ან ყოფნით ჩემით ვის და რა ვარგე,  
რა ჩინ-მაჩინი ვაბნიე ქარში,  
ლმერთო, რამდენი დღეები ვფლანგე.

ჩემს ბებრულ ყოფას ჩამცხრალვნებიანს.  
ანუხებს გული, მეტადრე წნევა,  
ულექსო დღეთა მიმყვება ჯარი,  
თითქოს ეკლიან ლოგინში ვწევარ.

და ხვითოსავით დავეძებ ყველგან,  
ვუსტვენ მუზაზე დაგეშილ მწევარს,  
ყურში ვგრძნობ, ყურში მდევარის სუნთქვას  
და მიუწვდომელს შევტირი მწვერვალს.

დავიწყებული, მიტოვებული,  
კალამაყრილი, არყოფნის ტყვე ვარ,  
აი, მთავრდება სპექტაკლი დიდი  
და მთავარ როლში, ამჟამად მე ვარ!





# ՀՐԱՄԱ ՑՐԿՎԱԾ ՔԱՌԵՐԵՐԵՐ

תְּבִ�ְמָנָה

ଦୟାଳୁଙ୍କ ଶେଷିର୍ବତ୍ର ଲୋଭିଲୋକ ମିଳିଥି  
ମୀର୍ବ୍ୟାଗ୍ରହି ଶିଖିଲ୍ ଓ ଶିଦ୍ଧିଲ୍ ନିର୍ମାତାଙ୍କ,  
କରନ୍ତା ଏଫ୍ଫ୍ୟୁବିଲ୍ ମିଳିଗିର୍ ମେଲ୍ଲେଗ୍ରାଂକଣ୍ଟା;  
ମିଳିଲିମିଳିଲ୍ ପୁନଃଶ୍ରୀ ଶ୍ୱାସକ୍ରମିତ,  
କ୍ଷରନିର୍ମିତ୍ର ଉତ୍ସବାଳୀ, ପାତାରିମିଳିଲ୍ ଶ୍ୱାସି,  
ଫାରିନିର୍ମିତ୍ର ଅନ୍ତର୍ଗତି ରୂପିତିଲ୍ଲାଗି.

క. 3. రూపాలు

תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה

ნუ გამსხვევენებ ყმაზე იღო კარიბის...

ნუ გამახსენებ ყმაზილკაცობის  
ბედნიერ უამს და გამქალ საათებს,  
ნურც მიჯნურების ერთსულოვნებას,  
რა დაბავინწყებს წუთებს განცხრომის,  
სანამ სიბერე მიგვასვათებს  
და შეგვინყდება ქვეყნად ცხოვრება.

გადავივინებო სატრფო თვალადი,  
ოქროსაფერი თმით თავის შეცევა,  
შემკრთალი შენი გულის ფრიალი?  
წარმომიდგება ისევ თვალნათლივ  
მკერდი, თვალების თბილი შეცექრა,  
ბაგე მსუნთქავი გზნებით ტრფიალის,

თავს დამადებდი მკერდზე დანდობით,  
მამუნათებდი განაცურები,  
თუმც ვნებიანი მზერა გაგცემდა,  
ენებებონწენ ერთურთს სანდომი  
ბადაგნარევი ცხელი ტუჩები,  
კოცნით ენადათ თითქოს გაცვეთა.

თვალმილულული ერთხანს იწექი,  
ქუთუთოების დაბლა დაშვებით  
აღარ მოჩანდა თვალთა ლაუგარდი,  
სათის წამნამთა გრძელი წინვებით  
გიშავდებოდა ლაწვისთავები,  
როგორც ყორნებით არე ნაბარდნი.

წუხელ მესიზმრა თითქოს კაპკაშა  
ისევ აგვენთო ტრფობის სანთელი,  
ხილვაში ჩანდი უფრო სანატრი,  
ვიდრე სხვა მიყვარს ცხადში აშკარად,  
შენი თვალების ათინათების  
მსგავსი ვერ ვნახე შუქი ნარნარი.

არ გამახსენო ჩვენი წარსული,  
საამო დროზე ნანვა მაქმარე,  
რათა არ აღძრან ტყბილი ხილვები,  
სანამ სახსოვრად წამომართული  
ქვები ალიშნავს საცნობ სამარეს,  
როგო მე და შენ გარდავიკვლებით.





## ჯორჯ გორდონ ჩაირობი

### ქრემლი

სიყვარული ან ამხანაგობა,  
როცა ალძრავენ ჩენეს თანაგრძნობას,  
მზერით ფასდება განზრხვა წრფელი,  
თუნდაც გვაცდუნოს ღიმილმა ბაგის  
და შეგვაპაროს მზაკვრობის ბანგი,  
გრძნობის საზომად გვადგება ცრემლი.

ძალიან ხშირად ღიმილის მიღმა  
პირფერი შიშს და სიძულვილს ნიღბავს,  
რათა აცდუნოს მორიგი მსხვერპლი;  
მასიამოვნე უნაზეს სულთქმით,  
სანამდე თვალი, გამთქმელი სულის,  
დაბინდულია დროებით ცრემლით.

გულმოწყალების წმინდა სანთელი  
მოკვდავთა სულებს ავსებს ნათებით  
და სიველურეს აქარწყლებს ქველი,  
ყინულსაც ალხობს კეთილთვისება,  
სადაც იგრძნობა მსგავსი ღირსება,  
ცვარად იფრქვევა მხურვალე ცრემლი.

ვინაც ავდარში ცურვას არ იშლის,  
არ უშინდება ქროლას ქარიშხლის  
და საჭეს მართავს გემბანზე გემის,  
როცა განიცდის ზვირთის კვეთებას,  
მისით ფეხები მოეკვეთება,  
მწვანე ნაშეფებს აპრწყინებს ცრემლით.

არ ეპუება ფათერაკს გმირი  
და მიესწრაფვის დიდების გვირგვინს,  
თუნდაც დაქცეს სიკვდილის ცელით;  
თუ დაჭრილ დუშმანს ნახავს კაი ყმა,  
შეებრალება, ხელში აიყვანს,  
ყოველ ჭრილობას მოუბანს ცრემლით.

თუ მეომარი ბრუნდება სახლში,  
ქარქშში აგებს სისხლიან მახვილს,  
ნარსულს ბარდება დლეები ღვრემის,  
დასაჩუქრდება სანაცვლოდ ბრძოლის,  
რათა ჩაიკრას ერთგული ცოლი,  
ამბორისყოფით მოწმინდოს ცრემლი.

ტკბილო სურათნო ყმაწვილკაცობის,  
ადგილნო ძმადნაფიცთა გაცნობის,  
სწრაფადგაფრენილ, სიამის მგვრელი  
წლებისკენ უკან მოვიხედები –  
უკანასკნელად დავტკბე ხედებით,  
მზერას მიბინდავს თუმცალა ცრემლი.

მე ალარ ძალმიძს ალთქმის მიცემა,  
ჩემი მერისთვის რამის მტკიცება,  
ნარსულს ჩაბარდა ტრფიალი მწველი,  
მახსოვს დრო, როცა ტალავრის ჩრდილში,  
ძვირფასი არსი, სათუთად ზრდილი,  
აჯილდოებდა აღნათქვამს ცრემლით.





თუმცა რაყიფმა დაისაკუთრა,  
მანც ვაკურთხებ მარად სათუთარს,  
ჩემთვის დარჩება პატიგსაცემი!  
დავემშვიდობე ოხვრით, ვაებით,  
ვინც ჩემი იყო ერთ დროს სავსებით  
და ვაპატიე ლალატი ცრემლით.

სიყრმის ძმობილნო ჩემი ცხოვრების,  
გეტყვით უამამდე გამოთხოვების,  
იმედს არ ვკარგავ ნუგეშისმცემლის:  
ერთურთს როდესმე თუკი შევხვდებით  
მიზანდასახვით, ანდა შემთხვევით,  
დე, შევხვდეთ, როგორც დავშორდით, ცრემლით.

როცა სიკვდილი სხეულს გასუდრავს,  
სული ეწვევა მკვდართა საყუდარს,  
გვამს ჩამარხავენ ცივ სარეცელში,  
ჩემს სამარესთან წუთით შემდგარმა  
ნამოიტირე ჩაფლულ ცხედართან,  
მიწას ეპკუროს მდუღარე ცრემლი.

მარმარილოს ქვა წუ დაიდება,  
არ მიანიჭოს წუხილს დიდება,  
არ მსურს ამაო არსის შემცველი  
ძეგლი, სახოტბო შეთხულ ამბებით,  
ვერას შემმატებს დითირამბებს;  
პატივი მხოლოდ მომაგეთ ცრემლით.

## თირზა

ასეთი წორჩი და მშვენიერი  
მოგონებადლა დარჩი წარსულის,  
მიწამ ჩაგიკრა – ნაზი იერის  
და იშვიათი ხიბლის ასული,  
გადაგეფარა მრუმე ნამქერად;  
ბრბო ალბათ საფლავს ფეხით გაქელავს  
უდარდელად, ან სიმხიარულით,  
არ შეუძლია ჩემს თვალს წამითაც  
სამარის მზერა, ძრწოლა ამიტანს.

თვალიერება არ მსურს ალაგის,  
სადაც ჩაგმარხეს დასამიწებლად,  
ყვავილი ხარობს იქ, თუ ბალახში  
სიმყრალისმფრქვევი წარი ირწევა,  
მტკიცებულებად ის მექმარება,  
ვინც მიყვარდა და კვლავ მეყვარება,  
მიწაში მწოლი რომ გაიხრწება  
და არ მწადია მითხრას მარმარმა –  
ავჟამმა რარიგ დაგასამარა.

მიყვარდი ძლიერ, დაუცხრომელად,  
დაგიდასტურე ტრფობა შეფიცვით,  
არც შენ შეგცვლია გრძნობა, რომელსაც,  
ახლა სიკვდლით ვეღარ შეიცვლი.  
რასაც დალუქავს კვდომა წატვიფრით,  
დრო ვერ დალენავს და ვერც რაყიფის



ცილი წარგვტაცებს, მრუდი, ბრეცილი;  
არ გდომებია ნაკლის დამნახავს  
ჩემში გეძებნა ავი განზრახვა.

მორჩა საამო წლები ნათების,  
დაიწყო უამი დამწუხარების,  
შუქმფინარი მზით ვეღარ გათბები,  
არ ჩაგესმება ჩქამი ქარების.  
უსიზმრო ძოლის დამდუმარება  
გულს შეშურდება, ამდუღარდება,  
აქვითინდება გაუხარები;  
გადაქცეულხარ მიწის ნაწილად,  
მემახსოვრები მიწყივ ყმაწვილად!

53



ყვავილს, სიტურფით შეუდარელსაც,  
ორომტრიალი ბედის დანავავს,  
თუნდაც დაინდოს იგი მსახვრელმა,  
ალარ შეარჩენს ეშხის ნასახსაც.  
სანახავია თავზარდამცემი,  
როცა ვარდს ხედავ ფურცლებდაცვენილს,  
სჯობს დრომ მოწყვიტოს ჯერაც ხასხასა;  
თვალს განა ძალუძს იმის ყურება,  
შნო ნება-ნება ვით ნადგურდება.

ვეღარ შევძლებდი ალბათ ატანას,  
თუ გახმებოდი ნელა ნარნარი,  
დილამ მცირე ხანს მხოლოდ გასტანა,  
ლამემ დაფარა ტურფა ბაღნარი,  
ქუფრის ღრუბლები ცაზე გასქელდა,  
ამიკამპაშდი უკანასკნელად  
გადამქრალი და ჯერ არ დამჭკნარი;  
მსგავსად ვარსკვლავი ჩამოწყვეტისას  
აკიაფდება გამოკვეთილად.

როგორც ძალმედვა სულისშემძვრელი  
გლოვა, ეს ცრემლი ზღვაში წვეთია,  
ფიქრი მაძრნუნებს, რომ ვერ შევძლი  
მომაკვდავისთვის ლამე მეთია,  
რათა მხურვალედ შენთვის მელოცა,  
სახე ბოლოვერ გადამეცოცნა  
და მხარზე ხელი გადამეხვია;  
ამგვარ სიყვარულს, მწველი ლაციცით,  
მე და შენ უკვე ვეღარ განვიცდით.

თუმც სიყვარულის ხუნდი ამხსენი,  
არ მიხარია გააზატება,  
ისევ მეწვევა შვება დამხსნელი,  
როცა ვიხსენებ ძვირფას ხატებას  
და რაც ბნელით ვერ გაანადგურა  
მკვდართა საუფლოს ქუშმა სადგურმა,  
მოგონებებად აფარფატდება;  
მაგრამ ზემი სულთა სიმორცხვის,  
ვერ შეცვლის დღეებს შენი სიცოცხლის.

თარგმანი მთარ ცისკაპებ

ოქტომბერი, №1 2025



# ნინო დარბაისელი

54



የኢትዮጵያውያንድ ማስተካከል በመሆኑ የሚከተሉ ነው ይህም የሚከተሉ ነው የሚከተሉ ነው

ნელი ტანგო – პროზიდან პოეზიაში

(გ. რჩეულიშვილი – გ. ლებანიძე)

ამას წინათ ერთ ახალგაზრდა კრიტიკოსთან  
კომენტარი დავტოვე ერთ ლიტერატურულ  
საიტზე, (მერე, მგონი, ოპუსადაც ვაქციე), ქა-  
რთული კონვენციური ლექსის განვითარების  
პერსპექტივას პოლიფონიაში ვხედავ-მეთქი და  
ნიმუშად მურმან ლებანიძის ლექსი ვიგულისხმე,  
რომელსაც ქვემოთ მოვიხმობ. მჯერა, ჩემსავით  
ბევრს გიყვართ.

ამ ლექსს გარდა პოლიმეტრული რიტმისა, უცნაური შინაგანი კომპოზიციაც აქვს, ასოციაციური რკალური ნახტომებით ბმა კომპოზიციურ ნაწილებს შორის.

აქ თითქოს დიდი, ტრაგიკული ემოციიდან – ლექსის დაბადებამდელი რაღაც მომენტია მოხ-ელთაბული.

და ეს ყველაფერი მოქცეულია მცირე ზომაში. სათქმელისთვის – ლექსის ოპტიმალური ზომის განსაზღვრა, მეტადრე თანამედროვე ქართულ თავისუფალ ლექსში, ხომ ტიპობრივ პრობლემადაა ქცეული და ამ მხრივ სხვაზე ნაკლები ცოდვა არც ამ წერილის ავტორს მიუძღვის.

ადრე ალბათ ამ ლექსზე რომ მესაუბრა  
თქვენთან, უფრო იმის ნიმუშად დავასახელებ-  
დი, თუ სიტყვა „სხვათაშორის“ – როგორ ზი-  
დავს მთელს პოეტურ- კომპოზიციურ კონ-  
სტრუქტიას.

მთელი ცხოვრებაა ვუტრიალებ ამ ლექსს, როგორც ამოცანას და ახლა, მგონი, ახალ რა-ლაკას მივაგინი.

ვცდი, ვიტყვი და თუ არ გამომივიდა, არ დამძრახოთ!

ზოგადდა, ლექსის კომიტეტისას აქცია შინაგანი და გარე მხარეები, ასე ვაძლინდა პილოტით, სამუშაოს გასაღდელობრივად, თორებ, სინამდვილეები, ან ანცენტოს ქარგი ლექსის არათუ კომიტეტის მიუსარი, არამედ პრეტრი მოტივიზტი, რომელიც უნისალიტი ან მუშაობს, ყველაფერ დანარჩენს, როგორიც აქ. ამ შემთხვევის.

## 6. ලාජම්පතිකාලෝග

\* \* \*

სიტყვა „სხვათაშორის“ რა ფუნქციის მტკირთველადაც მიმართდა აქამდე, ეტყობა, მთლად ზუსტი არ ვიყავი. ახლა ვფიქრობ, რომ რა-ლაცას მეტისმეტად ვაზვიადებდი.....

იგი არა მზიდი, არამედ „თანამზიდი“ ჩანს,  
ხოლო ძირითად მზიდად მესახება სტრიქონი:

„ნელი ტანგოა ეს ქვეყანა, გურამ!“

შეიძლებოდა, უბრალოდ, აღგვენიშნა, რომ  
აქ პოეტი ტრაგიკულად გარდაცვლილი მეგობარი  
პროზაიკოსის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოე-  
ბის სათაურს ახსენებს, ოლონდ უბრჭყალებოდ  
(„ნელი ტანგო“) და ამას დავსჯერებოდით, ან  
უფრო შორს „გაგვეცურა“ – რეალურ ფაქტს –  
სხვისი გადარჩენისას გურამის დახრჩობასა და  
მის ცნობილ მოთხოვბაში გადმოცემულ ამბავს  
შორის – კაცი რომ დახრჩობისგან ცოლ-შვილის  
გადარჩენისას თვითონ იღუპება – აშკარა კავში-  
რი დაგვეფიქსირებინა და დანანებით გვეტვა,  
რომ მწერალმა იწინასწარმეტყველა საკუთარი  
ტრაგიკული აღსასრული მაგრამ საქმე გაც-  
ილებით საინტერესო ჩანს.

მათთვის, ვისაც ლირიკული ნაწარმოების კომპოზიციაზე ნაკლები ინფორმაცია აქვს, მოკლედ განვმარტავ:

ეს ლიტერატურული სამი სტროფობისგან შედგება.

სტროფოიდს ვუწოდებთ ლექსის რიტ-  
მულ-ინტონაციურად გამოყოფილ გრაფიკულ  
ბლოკს, რომელიც – რიტმულად არც თანაზომ-  
იერია სხვა ბლოკებისა და არც პოტენციურად  
თანაზომიერი.

მარტივ არითმეტიკუს მიკმართოთ და გა-



დავთვალოთ სტრიქონები:

1. პირველი სტროფოიდი – რეფრენული წყობისაა,

(„მე რა ვიცოდი“) და 10 სტრიქონია. უფრო ზუსტად, მაგრამ ზერელედ რომ ვთქვათ, ეს იქნება ხალხური ხმითნატირლების ცხრამარცვლედს პლიუს რეფრენი

(ლექსის კვლევის პროფესიონალები, ლექსმცოდნენო, მაპატიეთ, რომ ტაქს არ ვიყენებ! – არ ვაპირებ აქ რთულ სტრუქტურულ ანალიზს).

2. მეორე სტროფოიდი 6 სტრიქონს მოიცავს.

3. მესამე – 7-ს

ბეჭდურად გამოქვეყნებული ტექსტის მონაცემები რამდენად ზუსტად ემთხვევა ჩემს ზეპირ ანგარიშს, ვერ გეტყვით, მეხსიერებას ვეყრდნობი, თუმცა ზუსტად, დაბეჯითებით გეტყვით ერთს, რომ ლექსში ნამდვილად გვაქვს სტროფოიდები და არა სტროფები!

რეფრენი, რომელიც პირველი სტროფოიდის გარდა, აღარ მეორდება, იქცევა რიტმულ იმპულსად, რიტმულ ექოდ, რომელიც ვარიაციებს ქმნის ქორე- დაქტილურ რიტმთან, მეორე „მარიტმიზირებელი“ ფაქტორია – ორმარცვლიანი, ქორეული აგებულების საკუთარი სახელი „გურამ!“

ეს სახელი სამსავე სტროფოიდში მეორდება და ამ განმეორების წყალობით, ჯერ ლექსის კიდევ ერთი რიტმულ-ინტონაციური და შემდგომ, მაღალ საფეხურზე კი მთელი ლექსის კომპოზიციური ფიქსატორია.

ზოგადად, ლექსის კომპოზიციას აქვს შინაგანი და გარე მხარეები, ასე ვამბობთ პირობითად, სამუშაოს გასაადვილებლად, თორებ, სინამდვილეში, არ არსებობს კარგი ლექსის არათუ კომპოზიციური, არამედ არც ერთი მომენტი, რომელიც უნისონში არ მუშაობს, ყველაფერ დანარჩენთან, როგორც აქ, ამ შემთხვევაში.

გარე კომპოზიციაზე ფიქრისას, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირობითად, იგი ასეა აგებული:

პირველი სტროფოიდი – პირადი დამოკიდებულება – ადრესატსა და ავტორს შორის (ფსიქოლოგურად ცნობილი რამ. ვიღაცის დაკარგვის, დაღუპვის შემთხვევაში ხომ მუდამ ახლიდან „ვკითხულობთ“ ჩევენი ურთიერთობის მთელს ისტორიას და რაღაცას, მიმანიშნებელს ვეძებთ.



## ნიმ დარბაისელი

და თითქოს ვპოულობთ კიდევ ჩევეულებრივ, ყოფით ურთიერთობაში, რაღაც ნაწინასწარმეტყველებს, მიმნიშნებელს მომხდარის შესახებ („მე რა ვიცოდი“).

მეორე სტროფოიდი უკვე მომხდარს გვაგებინებს.

მესამე – შემაჯამებელია, თითქოს სონეტის ჟანრობრივი, მსუბუქი მონახაზივითაა, არა?!?

(თეზა – ანტითეზა – დასავნა?)

დასკვნითი სტროფოიდი გვაცნობს, თუ რა მოხდა „ფაქტურ“, ანუ ტრაგიკული შემთხვევის მერე.

მე ამ ოპუსის წერა კონკრეტული მიზანდასახულებით დავიწყე და ვატყობ, სათქმელმა შემიყოლია და ლექსმცოდნებით ტრადიციის – ერთი ლექსის ანალიზისკენ გამიტყუა.

უმჯობესია, კონკრეტულ საკითხს დავუბრუნდეთ.

კერძოდ, ვცადოთ, გავარკვიოთ, თუ გარდა ზემოთ ნახსენებისა, რა ფუნქციას ასრულებს სტრიქონი:

„ნელი ტანგოა ეს ქვეყანა გურამ!“

ამაზე საპასუხოდ უნდა გავიხსენოთ, რომ თემატურად – გურამ რჩეულიშვილის აღნიშნულსათაურიან პროზაულ ნაწარმოებში გადმოცემულია ამბავი, თუ როგორ დაიღუპა მამა, რომელმაც ზღვაში დახრჩობისაგან იხსნა საკუთარი ცოლ-შვილი,


მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აქ გაჩერება არ ეგების.

გურამ რჩეულიშვილის პროზაულ ნაწარმოებში სწორედ კომპოზიცია იმდროინდელი ქართული პროზისტვის უცნობი (ან ნაკლებად ცნობილი) ხერხითაა აგებული.

კერძოდ, ტრადიციული კვანძის გახსნა უშუალოდ მომხდარს კი არ მოსდევს, ან ამბის რაიმე ნაწილი კი არაა, ასე ვთქვათ ფაბულის გასიუჟეტების წყალობით არამედ საერთოდ „გატანილია“ სხვაგან. (გავიხსენოთ: პირველი, დიდი ნაწილი მოთხრობისა მთავრდება იმით, რომ მთელი ოჯახი უკვე ნაპირზეა გამოყვანილი და მაშველები წყალნაყლაპი დედისა და ბავშვის გადასარჩენად ირჯებიან, აქაა აქცენტი!).

რა ხდება მოთხრობის მეორე, დასკვნით ნაწილში, რომელსაც სრულიად სხვა რიტმიკა, სხვა ანტურაჟი, ასევე სრულიად სხვა მოქმედი პირები ჰყავს?





რა და – „ტანცებზე“ ნელი ტანგოს მუსიკაზე, ვინმე ბიჭი ცდილობს, საუბარი გააპას ცეკვის პარტნიორ უცხო გოგოსთან, ოღონდ ტიპობრივი „შემბმელი“ კლიმებით გაძებრებული ბიჭი ახალ გზას ეძებს და იმ დღეს მომხდარის შესახებ ეკითხება. თუ გაიგეთ.

ასე, მისი „სხვათაშორის“ ნათქვამიდან ვგებულობთ, რომ ცოლშვილის გადამრჩენ მამას ჯერ კიდევ ნაპირზე გამოსვლამდე გული განეჭვია და ნაპირზე მომკვდარა.

აი, ამ პროზაული კომპოზიციის ანალოგიური აგებულება აქვს ლექსსაც.

სიტყვა „სხვათაშორის“ ლექსში იქცევა იმ კორელატად, რომელიც გვაბრუნებს უკან ლექსის საყრდენ სტრიქონთან – „ნელი ტანგოა ეს ქვეყანა, გურამ“.

დასასრულ, მთავარი კონცეფცია რჩეულიშვილის ნაწარმოებისა შეიძლება ასეც ჩამოვაყალიბოთ:

– ის, რაც ჩვენთვის ტრაგედიაა, სხვისთვის შესაძლოა, სხვათაშორის მოსაყოლ ამბად იქცეს.

ამგვარადვე „ითარგმნება“ ლებანიძის ლექსის „ბიჭებიანი“ სტროფოიდიც.

ვფიქრობ, ეს ლექსი-შედევრი ამ მხრივაც უნიკალური მოვლენაა.

### მურმან ლებანიძე

#### გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას

გურამ! ახალციხესთან ტბა ყოფილა –  
მე რა ვიცოდი!

გურამ! ტბასთან სათიბი ზღვად ყოფილა,  
მე რა ვიცოდი!  
იქ სლავურ სოფელს რა უნდოდა,  
მე რა ვიცოდი!

და სანადიროდ, საკალმახოდ, ცხენთა  
სახედნად რომ მპატიუობდი,  
ველარასოდეს თუ ვერ გნახავდი,  
მე რა ვიცოდი!

„ნელი ტანგოა“ ეს ქვეყანა, გურამ!  
ხომ არ იცეკვებო, – ათასჯერ მორიდებით  
მკითხეს!...

აბასთუმანში, ჭიქა არაყზე,  
„გურამი დამხრჩალაო“, –  
სხვათაშორის ბიჭებმა მითხრეს...

ან გვაგონდები  
ჩუმი სევდით და ჩუმი წყენით,  
ვინც კაცურ მჯილით გრანიტებს ფშვნიდი.  
გურამ,  
შენს წიგნზე დავხატეთ ცხენი –  
შენს კისერს უგავს  
კისერი – მშვილდი.



## Կհովոյա-Ցեծուցուսկոյա

ବୀରବୀର  
ଶୁଦ୍ଧିତାକାଳ

କ୍ରମତ୍ୟାଳେ ଶ୍ରେଣ୍ଟଲୋକଙ୍କି ଏହି ଫୋଟୋଫୂଲ୍ଡରୀ, କାନ୍ଦିନ୍ଦ୍ରିୟକାଳ ଓ ପ୍ରତ୍ୟାମନିକାଙ୍କ ଶ୍ରେଣ୍ଟଲୋକଙ୍କି ଗର୍ଭବତିନିଃ ଆଶକ୍ତିରେ, ରାତର୍କାର୍ଯ୍ୟ ସିନ୍ଧୁପାରାର୍ଥିଲୋ ତେଜିବାର, ଶ୍ରେଣ୍ଟଲୋକଙ୍କିର ଅଳମିଗ୍ରେନ୍ଡର୍ବିକ୍ଷେତ୍ରରେ ଆଶକ୍ତି ଓ ଅଶ୍ଵାମିଲ୍ଲେ ଏହି ପ୍ରାଣଗାସ ଅଶ୍ଵାମିଲ୍ଲାମରକିର. ମିଶିକାରାତିମିଶି, କ୍ରମତ୍ୟାଳେ ଶ୍ରେଣ୍ଟଲୋକଙ୍କି ପ୍ରାଣଗାସ ଦ୍ୱାରାରାଖିଲେ କାନ୍ଦିନ୍ଦ୍ରିୟକାଳରେ ମର୍ମବଳ୍ୟରେ ଆଶକ୍ତିର ମର୍ମବଳ୍ୟରେ ଏହି ଲୋକରାତ୍ରୀର୍ବୁଲ୍ଲାରୀ ଦ୍ୱୀପଶିଖି, କାନ୍ଦାର୍ଯ୍ୟ ସିନ୍ଧୁପାରାର୍ଥିଲୋ ତେଜିବାରିଯା ଦ୍ୱାରାରାଖିଲ୍ଲେ ମିଶିକାରାତି ମିଶିକାରାତିର୍ବୁଲ୍ଲାରୀ ଅଶ୍ଵାମିଶି. କ୍ରମତ୍ୟାଳେ ପ୍ରାଣିକ ଶ୍ରେଣ୍ଟଲୋକଙ୍କି ପାରାମରିତିକାରିତା କାନ୍ଦିନ୍ଦ୍ରିୟକାଳରେ ଏହି ଗର୍ଭବତିନିଃ ଆଶକ୍ତିର ଗର୍ଭବତିନିଃ-ଗର୍ଭବତିନିଃ ନିନ୍ଦ୍ରିୟକାଳ ମିଶିକାରାତିରେ ଗର୍ଭବତିନିଃରେ, ରାତର୍କାର୍ଯ୍ୟ ମର୍ମବଳ୍ୟ କ୍ରମତ୍ୟାଳେ, ଏହି ଗର୍ଭବତିନିଃରେ ଗର୍ଭବତିନିଃରେ ଲୋକରାତ୍ରୀର୍ବୁଲ୍ଲାରୀ ଦ୍ୱୀପଶିଖି.

### ୧୦. ବ୍ୟକ୍ତିଗ୍ରହଣକାରୀ



## ვისრამიანის სამიჯნურო თავისებურებანი

ლიტერატურა ადამიანის გრძნობათა გამომხატველობის მსახურია. მისი მთავარი საზრისი ადამიანის თვალით შეცნობილი და შეუცნობელი – მიღმიერი სამყარო გახლავთ. სწორედ ამ სამყაროთა ყოფიერებაში განვითარებულ მოვლენათა ინდივიდუალური ხედვა აღძრავს ადამიანში ათასგვარ გრძნობას: რწმენას, სიკეთეს, სიხარულს, სევდას, შურს, ბოროტებას, სიყვარულს... ამრიგად, ამ გრძნობათა მრავალფეროვანი გამომსახველობითა და ადამიანური ფანტაზიის ნაყოფით პურდება ლიტერატურა. ადამიანის გრძნობათაგან, როგორც კაცობრიობის მიერ სიტყვის ხელოვნებით შექმნილი მხატვრული ტექსტები დაგვიზუსტებენ, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მხატვრული ტექსტის შექმნაში სიყვარული. (ქალ-ვაჟის ერთურთისადმი ლტოლვა, სასიყვარულო სამკუთხედი, ცალქებრივი სიყვარული...) მეტიც, ხშირ შემთხვევაში იგი ლიტერატურული ამბის მთავარ მაცოცხლებელ წყაროდ გვევლინება და მის გარშემო ტრიალებს ყოველგვარი მხატვრული სიუჟეტი, ამდენად, სიყვარულია საწყისი და სასრული წერტილი ამა თუ იმ ნაწარმოებში განვითარებული ყოველგვარი მოვლენისა.

სხვადასხვა ხალხის მწერლობაში იკვეთება  
ინდივიდუალური ინტერესები, რელიგიურ-სარ-  
წმუნოებრივი საკითხები, პატრიოტული სუ-  
ლისკვეთების ამსახველ-გამაცოცხლებელი ელ-  
ემერტები. ამდენად, სიყვარულმა, როგორც  
ლიტერატურული ნაწარმოების ფაბულამ სხვა-  
დასხვაგვარი გამოვლინება ჰქოვა, სხვადასხვა  
ხალხის მწერლურ კულტურაში, თუმცა სამწერლო-  
ბო ურთიერთობებმა წარმოშვა „ლიტერატურული  
ნათესაობანი“, რაც იმას გულისხმობს, რომ ერთი  
ერის მხატვრული ნაწარმოები, თავისი შინაარს-  
ობლივი და შემოქმედებით-გამომხატველობითი  
საშუალებებით, სხვა ერის ლიტერატურის შეს-  
ისხლხორცებულ ნაწილად იქცა. სწორედ ამგვარ  
ნაწარმოებთა უმრავლესობა აღმოცენებულია მი-  
ჯნურობის მარადიულ თემაზე.

ქართული ლიტერატურის ისტორიას თუ გავცნობით და ჩავიხედავთ მის იდუმანებით მოცულ სამყაროში, სადაც დავანებულია ქართველი ერის სულიერი კულტურა, მისი მისწრაფებანი და ინტერესები, ცალსახად დავამოწმებთ ზემოაღნიშნულს.

ქართულ მწერლობაში ამ დიდებული, საინ-ტერესო და კაცთაგან შეუცნობელი გრძნობის ასახვა, რასაც სიყვარული ჰქვია, საერო მწერლობის აღმოცენებისთანავე დაინტე და აქამომდე არ კარგავს აქტუალობას. მაშასადამე, ქართული სიტყვიერი კულტურის ძვირფას სალაროს მოეპოვება არაერთი ძირძველი, გემოგნებანი ლიტერატურული ტექსტი, სადაც სიყვარულის თემატიკაზეა დაშენებული მთავარი მხატვრული ამბავი. ქართველი კაცის სიყვარულისადმი საუცხოო, არა-ერთსახოვანი დამოკიდებულება და ამ გრძნობის არსობის გარკვევა-გამოცნობის ინტერესი იმთავითვე გამოვლინდა, როგორც ძირეულ ქართულ, ისე გადმოთარგმნილ ლიტერატურულ ძეგლებში. ამდენად, ყურადღება მინდა გავამახვილო, სწორედ გადმოთარგმნილ ნაწარმოებზე, რომლის მაცოცხლებელი წყარო მივიღორბაა, ხოლო მასში ასახულ სატრაქიალო მოვლენებზე ქართველ ხალხში იმთავითვე არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ იჩინა თავი.

„ვისრამიანი“ ძევლი ქართული მწერლობის, უფრო ზუსტად, მთარგმნელობითი ოსტატობის თვალსაჩინო ძეგლია. იგი ქართულ ვერსიას ნარ-მოადგენს ფახრ-ალ-დინ ასად გორგანის მე-11 საუკუნის სპარსული პოემის „ვის ო რამინისა“ და, რომელიც ქართული სამეცნიერო ლიტერატურის თანამედროვე, სარგის თმოგველს გადმიუთარებული მეფე თამარის ეპოქაში ან მის შემდეგ. „ვისრამიანი“ საუკეთესო ნიმუშია იმის დასადასტურებლად, რომ სიყვარული საძირკველი გახლავთ ყოველივე კარგისა და ავისა.

„ვისრამიანში“ მაღალი მხატვრულობით, სი-  
ბრძნისლალოდით, სიჭყვაკაზმულობით, ძლიერი





ტროპული მეტყველებით არის გადმოცემული ვისისა და რამინის სიყვარულის თავპრუდამხვევი ის-ტორია და ამასთან, ნათლადაა გამოსახული ფახრ-ალ-დინ გორგანის სამიჯნურო წესდებანი, რაც ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის „ვისრამიანული“ სიყვარულის აღქმაზე და ცალსახა სათქმელს გვიტოვებს, რომ სიყვარული სწეულებაა, ხოლო ამ სწეულებით დასწებოვნებული კაცი ვერანაირი წამალ-სალბუნით, ცდითა და ხერხით, მამაცობითა და შეუპოვრობით ვერ დააღწევს სიყვარულის ცეცხლს თავს, სიყვარულთან ყოველი კაცი უძლური და მორჩილია. აღნიშნულის

დასაბუთებაა გორგანის შემდეგი შეგონებანი: „თუ მიჯნურობისაგან ჭირი და სიმწარე გაქცს, შენ ჩაუქობითა შენითა ვერ დაეხსნები“ და „რა სიყვარულისა საქმენი მოვლენ, უნებლივ ემორჩილებიან კაცნი ავითა და კარგითა“. მაშასადამე, სიყვარული ყოფილა უზენაესი გრძნობა კაცობრივ გრძნობათა შორის, რომელსაც ადამიანი ვერ დაიმონებს, ხოლო სიყვარული ადამიანს – რა თქმა უნდა. ზემოთქმულის თანახმად, სიყვარული ჭირია, სახადია, რასაც თვითმყოფადი ბუნება აქვს – ან შეგიბრალებს, ან – არა, კაცი მასთან ყველაგზით უძლურია. ყოველი ადამიანური გრძნობა: სიხარული, კეთილმოსურნეობა, სევდა, მწერალება და ა.შ. უსიტყვილ დაემჩნევა ხოლმე კაცს, თუმცა ამათგან ყველაზე უფრო საცნობია გრძნობათა მონარქის – სიყვარულის გაბატონება ადამიანზე, რადგან გორგანის შეგონების თანახმად, – „მიჯნურსა ტირილი გამოაცხადეს და ავად მოუხდების, ცხადსა მიჯნურსა დია ფათერაჟი სდევს“, – გვიქადის, რომ ცხადი მიჯნურობა ცხადი სისუსტის გამოვლენის ტოლფასია და იგი შეიძლება ავისმოსურნეთათვის ბოროტების იარაღად იქცეს. აღნიშნული პოსტულატი კიდეც გვახსენებს და დაგვიზუსტებს ჩვენში ფესვგადგმულ სიტყვებს:

„სიყვარულსა მალგა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა“ ხალხ.

თუმცა ზემოთქმულის მიუხედავად, ძნელია, სწეული კაცის სიტყვაძუნწობა თავის სწეულებაზე.

ეს ყოველივე იმას გავს, წყალში ჩავარდნილი კაცი რომ შველას არ ითხოვდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გორგანის თქმით ვიცით, რომ „ყოველთა უბედურთაგან მიჯნური უფრო საბრალო არის, რომელ მისი გული შინაური მტერი არის და ყოველთა დღეთა მისასა აუგსა ექებს“, მაგრამ, ასევე ავტორის თქმით, სიყვარულის გარეშე ცხოვრება ცხოვრება არ გახლავთ, რადგან „ვინცა მიჯნური არაა, არცა კაცია“. ამდენად, ვამჩნევთ, რომ ტრფიალის თვისების – გულთაშუსხავობის მიუხედავად, ნაწარმოების ავტორს მიჯნურობა



## გიორგი ზუგითაშვილი

მიაჩნია ადამიანის მაცოცხლებელ გრძნობად, გრძნობად, რომელიც საწუთროს სქენს ხიბლს, ეშხს, ნირს და, რომლის გარეშე ადამიანი უბრალოდ ცოცხალი არსებაა და არა პიროვნება – კაცი.

„ვისრამიანი“ აუარებელ სათქმელს გვიტოვებს სიყვარულის რაობის შესახებ, რაც ცალსახად უხვი შეგონებებითაა გადმოცემული რომანში, თუმცა არანაკლებ საინტერესოდ და მომხიბლავადაა წარმოჩენილი მიჯნურობის გამომხატველობა, როგორც მხატვრული სიტყვის ისტატობის ნაყოფი.

ნაწარმოებში ჭარბად ვხვდებით პოეტურ სამეულებს, იგივე პო-

ეტურ ფიგურებს, რომელთაგან თვალშისაცემია: შედარებათა ნაირგვარობა, ალეგორიული თქმანი, მეტაფორა, ჰიპერბოლა და სხვ. რა თქმა უნდა, ეს პოეტური ფიგურები მთელ რომანს გასდევს თან და ყოველგვარ სიუჟეტში ვლინდება, თუმცა საინტერესოა ის, თუ როგორ გადმოგვცემენ ისინი სიყვარულის ალით დადაგული ადამიანის განცდებს.

თავში „ამბავი რამინის გამიჯნურებისა“ (ეს თავი, შეიძლება ითქვას, დაშენებულია შედარებაზე) ვკითხულობთ: (რამინი) სანთლისებრ იწვებოდა, დნებოდა და გული მოყვარისთვის შეენირა – აღნიშნული წინადადება ცალსახა შედარებაა, თუმცა აქვე ვლინდება მეტაფორის მაგალითები, რომ მიჯნური დნებოდა და იწვებოდა. აქვე ვლინდება ჰიპერბოლის უიშვიათესი მაგალითი: „რა უგულო-ქმნილსა რამინს ესეთი საუბარი ესმა, ცრემლისაგან მიწა დაატალახა, სიყვარულის ცეცხლი ფერხთათ ტვინამდინ გაუხდა, საყელონი გარდაიხინა, ძმეულისა მსგავსი ფერი ზაფრანად გადაექცა...“ – აქაც არათუ მხოლოდ ერთი, არამედ ერთ წინადადებაში ორი პოეტური ფიგურა – ჰიპერბოლა და შედარება გამოვლინდა. რომანში, განსხვავებით სხვა პოეტური სამეულებისა, იშვიათია გაპიროვნება, მაგრამ შიგადაშიგ მაინც ვხვდებით მას. მაგ. „ბარბარული ბუთი (კურპი) შენგან განბილებულა და მისი მთლელი მისგან აპეზარ ქმნილა“. ზემოხსენებული მაგალითები ამოკრეფილია „ამბავი რამინის გამიჯნურებიდან“, რადგან რომანში პოეტურ სამეულთა აურაცხელი საბადოა წარმოდგენილი და ყოველი მათგანის გამომზეურება ნაშრომის ფორმატს აღემატება.

როგორც უკვე აღვინიშე, „ვისრამიანი“, როგორც სამიჯნურო ამბის გამომსახველი ნაწარმოები ქართველ ქრისტიანებში არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევდა. ცხადია, ცეცხლისმსახურთა საზოგადოების ცხოვრება გარკვეულ წინააღმდეგობაში მოვიდოდა ქრისტიანულ მორალთან. ცხადია, ვისრამიანი უპირისპირდება ქრისტიანულ დოგმატს ნათესაურ ქორწინებათა



მიმართებაში. ქრისტიანობა კრძალავს შვიდი თაობის ნათესავთა შეუღლებას, ხოლო „ვისრამიანი“ და-ძმას აძლევს აღნიშნულის უფლებას. გარდა აღნიშნულისა, რომანში დაუფარავადა წარმოჩენილი ადამიანთა მრავალი მანკიერი თვისება, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: ტყუილი, ორგულობა, გრძნეულება, სიძვა. ეს ორი უკანასკნელი ქრისტიანობაში მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება. ამდენად, არ უნდა გაგვიკირდეს, რომ მეფე-პოეტი არჩილი, რომელმაც გალექსა ვისისა და რამინის ამბავი სხვის კარზე ყოფნისას, დროის გასაყანად, ანუ როგორც არჩილი ამბობს „მოწყიდვისა სევდისა ჩემისა გასაძლებელადო“, „ვისრამიანის“ ქრისტიანული სულის წამწყმედელ წიგნად მოიხსენიებს და დელავს, რომ „ვისრამიანისთანა“ ლიტერატურულმა ტექსტებმა მიისა-კუთრეს არჩილის თანამედროვეთა გონება, გული და სული, ხოლო ქრისტიანული ლიტერატურა მტვერწაყრილ იქნა. მიუხედავად ზემოთქმულისა, „ვისრამიანი“ საქართველოში 5-ჯერ გამოიცა, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი პოპულარობას არ კარგავდა. თუმცა საინტერესოა ის გარემოება, არჩილ მეფის აზრს უფრო ითვალისწინებდა ქართველი ხალხი, თუ თანაზიარი ხდებოდა „ვისრამიანული“ იდეოლოგიისა? – აღნიშნული კითხვის საკომპენ-საციოდ, გავიხსენოთ ხალხური ლექსი „ხოშორში ქალი ატირდა“, რომელიც გარეგანი მახასიათებლებით მე-19 საუკუნის შემდგომ უნდა იყოს აღმოცენებული ჩვენში:

ხოშორში ქალი ატირდა,  
ცრემლი დალვარა მნარია,  
დედ-მამა ძალით მათხოვებს  
ვაჟებ არ მინდა ქმარია...  
დავჯექ, შავკერე სუდარა,  
მინაში ჩასატანია.  
მინას ქვეშ ამოვაფარე,  
ოთხი ნაწილი თმანია.  
თუ გინდათ, ძმანო, გაიგოთ,  
რისთვის მოვიკალ თავია:  
დედიდა მრთავდა დისწულსა,  
ამით მოვიკალ თავია.  
დედიდა იყო ურჯულო,  
არ ქონდა იმას შანდობა,  
ძმანო, გენაცვლეთ, ჯელნო,  
ყველამ მითხარით შანდობა!

ზემოთქმული ფოლკლორული ტექსტიც დაგვიბეჭითებს, რომ ნათესავთა ქორწინება ურჯულოთა წესია. ფოლკლორული ტექსტის ლირიკული გმირი, „ვისრამიანის“ მთავარი გმირის „ვისის“ მსგავს შემთხვევაში იმყოფება, თუმცა მათ შორის სულიერი განსხვავება თვალნათელია. ვფიქრობ, ფოლკლორულ ტექსტის ლირიკული გმირის ხასათი და მოქმედება წარმოადგენს ქართული იდეოლოგის ნაყოფს, რომელიც თავის

მხრივ ქრისტიანულ დოგმასაც უპირისპირდება თვითმკვლელობის აქტით, თუმცა მაინც ქართულ საზოგადოებაშია ჩასახული, ხოლო ვისის მოქმედება – ძმის, „ვიროს“ „სიყვარული“ და ნებაყოფლობითი ცოლობა – გასაყიცხი საგანი უნდა ყოფილიყო ქართველთა მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ ამ ორი ქალის უბედურებაში მესამეს წვლილი დიდია; თუ ფოლკლორულ ნიმუშში ლირიკული გმირი დედიდას დებს ბრალს უბედობაში, „ვისრამიანში“ ვისი დედამისისა – შაპოროს ადანაშაულებს და გვითხრობს, რომ, „ვინცა ავი ქნა, ავი წაეკიდა“, „პირველი ავი საქმე შაპორომან ქმნა, რომელ მოაბადის ცოლი ვიროს მისცა. ავი მან ქმნა, ჩვენ არ გვიქნია, და ნახე თუ რაზომი ჭირი ჩვენცა გვინახავს...“. შვიდ ქრისტიანულ საიდუმლოთაგან, მოგეხსენებათ, ქორწინება ერთ-ერთია, რომელიც წმინდა უნდა იყოს, იგი უნდა ეფუძნებოდეს უხინჯო სიყვარულს, რასაც ხალხ. ტექსტის ლირიკული გმირი ცალსახად ითავისებს და აღნიშნულ სიწმინდეს თავისაც სწირავს. „ვისრამიანული“ სიყვარული დაშენებულია აუკრებელ მანკიერებაზე, რომლის შემოქმედთა მიმართ, ჩვენი გაგებით, უფალი მოწყალე ვერ იქნება. ამრიგად, თემურაზ მეფის აზრის გათვალისწინებითა და ზემოთ მოცემული ხალხური ლექსის შინაარსის მიხედვით, შეგვიძლია ვთქათ, რომ ვისრამიანი, როგორც სიყვარულის ამბის მქადაგებელი, ქართულ-ქრისტიანულ მორალს ვერ შეესისხლორცება ვერასდროს, ხოლო მისი პოპულარობა, საქართველოში, ვფიქრობ, გამოწვეული უნდა იყოს ნაწარმოების მხატვრულუნარიანობით, თქმათა სილამაზით, რის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ შეძლებისდაგვარად.

თანამედროვე საქართველოში, ხალხში, „ვისრამიანი“, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატობის ნიმუში მიძინებულია. იგი მხოლოდ სამეცნიერო-ფილოლოგიურ წრეებში თუ განაგრძობს არსებობას, ფართო საზოგადოებაში ის უკვე მივიწყებულია, რაზეც მაქვს ვარაუდი, რომ ეს მივიწყება თანამედროვე მისწრაფებებით, ინტერესთა რევოლუციით უნდა იყოს განპირობებული. პირადად მე მიმართა, რომ „ვისრამიანი“ საჭიროებს საღათას ძილისგან გამოღვიძებას, რადგან იგი კვლავ გახდეს მასასაცლებელი, არა „ვისრამიანული იდეოლოგიის“, არამედ მხატვრული სიტყვის ოსტატობისა. მაშასადამე, წარმოდგენილი მოხსენება, პირველყოვლისა, მიზნად ისახავს „ვისრამიანის“ ავკარგიანობის გახსენებასა და გამოკვეთას, ქართული მთარგმნელობითი ნაწარმის მხატვრულ-გამომხატველობითი ფასეულობის ამოცნობას, პარალელთა გავლებას ქრისტიანულ-წარმართულ აზროვნებათა თანხვედრა/დაპირისპირებას. ამდენად, შევეცადეთ, რომ ზემოჩამოთვლილი ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოჭრილი საკითხები, შეძლებისდაგვარად, წარმოგვეჩინა წინამდებარე მოხსენებით.

ତାତୀ  
ତରଙ୍ଗ



କାନ୍ତିରୁଦ୍ଧ ପାଇଁ ଏହାରୁ କାନ୍ତିରୁଦ୍ଧ ପାଇଁ ଏହାରୁ କାନ୍ତିରୁଦ୍ଧ ପାଇଁ ଏହାରୁ କାନ୍ତିରୁଦ୍ଧ ପାଇଁ

ეპონომიკური კონცეპტები იღვია ფაზურაპის გეგმებისაში

ფულის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება ყოველთვის ორხაზივანია. ერთი მხრივ, ფული წარმოადგენს მატერიალური კეთილდღეობის საშუალებას, რომელსაც ყოველდღიური საჭიროებების დაკამაყოფილება შეუძლია: საკვები, საცხოვრებელი, განათლება და ა.შ. მეორე მხრივ, მას ხშირად აერიტიკებენ იმ სულიერი ღირებულებების დამახინჯებისთვის, რომლებიც, როგორც წესი, მატერიალურ საზომებს არ ექვემდებარება. ეს კრიტიკა განსაკუთრებით გამოხატულია ტრადიციულ კულტურებში, სადაც ადამიანურ ურთიერთობებსა და ზეობრივ პრინციპებს ხშირად ფულზე მალლა აყრინებენ.

„ფული ხელის ჭუჭყაა,“ - ეს გამონათქვამი თითქოს დასცინის მის ღირებულებას, მაგრამ ამავე დროს ირონიულად მიანიშნებს იმაზე, რომ ჭუჭყისგან განსხვავებით, ფული თავის მნიშვნელობას არასოდეს კარგავს. საზოგადოება მას ხმირად მორალური კონფლიქტის ცენტრში აყენებს, რადგან ფული არამარტო გადაჭრის პრობლემებს, არამედ ახდენს მათი წარმოქმნის პროცესის გადაჭრის მიზანის საფუძვლებს. ის გვაძებელებს ვიფიქროთ, რის ფასად გვიჯდება ცხოვრებისეული წარმატება ან ადამიანური ლირსების შენარჩუნება.

ფული, როგორც აბსტრაქტული და მატერიალური ღირებულება, ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის იყო წინააღმდეგობებისა და შესაძლებლობების ღერძი. ქართულ ლიტერატურაში ფულის მიმართ დამოკიდებულება ნათლად ჩანს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებში „ოთარაანთ ქვრივი“, სადაც ფულისა და შრომის თემა გამოიჩინება დომინირებს. აეტორი ხაზს უკვამს იმას, თუ როგორ იძონება და განისჯება ადამიანის სულიერი სიძლიერე და ზნეობა იმ ეკონომიკურ გამოწვევებში, რომლებიც მას ყოველდღიურად უდგას.

ქვრივი ჭრელ ქისებში ანაზიღებს შემოსავალს.  
პირველი ქისა განკუთვნილი იყო „საჭიროახუ-  
ლოდ“ შეი ინახვდა სახარჯოს ჰურისა და ქერის სამ-  
ართო მისაზორაო და საოცნელო.

მეორე ქისას „ბარაქალას“ ეძახდა მასში ინახავდა  
სახარული; ცენტრის სამიწალოსთვის;

မြန်မာပြည်တောင်းဆုံးအဖွဲ့အစည်းအဝေါဘဏ်ရှိခိုင်းများ

„ფული ხელის ჟუჟარა,“ — ეს გამონათვევაში თოთქოს დახურის მის ლირულულებას, მაგრამ ამავე ტონის ირონიულობა მიანიჭებს იმზე, რომ ჟუჟარისგან განსხვავებით, ფული თავის მიწვეველობას არასოდეს კარგდეს. ხაზოგათოება მის ხშირად მოროვეური კრი-ფლიუეტის ჩატარების აუცილებლივ, რადგან ფული არამარტო გრძელების პროცესში, არამედ ახდენს მათი ნარმოწმის პროცესირებასაც. ის გვაძლევამ ყიფიეროთ, რის ფაქტად გვიფრთხოება წარვრცმისული ნარმალება ან დამიანური ლილების შეჯარისნება.

୮. ଅନ୍ତର୍ଭୂତ

ფოსტის ფულს და საბეგროს.

მეოთხე ქისაში „მიეცი და მოგეცესო“ აქ მოჯამა-  
გირის საჯამაგირო ფულს ინახავდა ქვრივი.

მეხუთე ქისა „შიონს მარანი“, „ფარსილას ქარგას-ლა“ აქ საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხო ფული გროვდებოდა.

მე ჩიმებურად განვიხილავ ხუთი ქისის სიმბოლურ  
მნიშვნელობას:

## 1. შრომის ფასეულობა

ოთარანანთ ქვრივის ხუთი ქისა გამოხატავს იმ დაუღლალუ შრომას, რომლის წყალობითაც მან შეძლო ამ ქისების შევსება. თითოეული ქისა სიმბოლურად არის იმ განეული შრომის, ოფლისა და თავდადების შედეგი, რომელიც მის ცხოვრებაში უმთავრეს როლს თამაშობს. ფული მისთვის უძრალოდ მატერიალური სიმდიდრე არ არის, არამედ შრომის შედეგად მიღებული ნაყოფი, რომელსაც სულიერი მნიშვნელობა აქვს.

## 2. სიზუსტე და წინდახედულობა

ხუთი ქისა ქვრივის სიღრმოთხილისა და მომავლის დაგეგმვის უნარს ასახავს. იგი ფულს უყურებს როგორც აუცილებელ საშუალებას, რომლის სწორად მართვა მნიშვნელოვანია ოჯახისთვის. ეს ქისები მის წინდახედულებას უსვამს ხაზს – ქალისას, რომელიც არა მხოლოდ შრომობს, არამედ შედეგს მიზანმიმართულად იყნებს.

3. ზნეობრივი და ეკონომიკური სიმდიდრის დაპირისპირება

ნაწარმოებში ფული ხანდახან ხელის ჭყყაფად  
აღიქმება, მაგრამ ხუთი ქისა ამ შეხედულებას ცვლის.  
ისინი აჩვენებს, რომ შრომით ნაშოვნი ფული სულიერი  
სიძიდიდრის ნაწილად შეიძლება იქცეს. ეს ქისები ხაზს  
უსვამს იმას, რომ ეკონომიკური რესურსები შეიძლება  
იყოს მორალურად გამართლებული და კეთილშობი-  
ლურ მიზნებს მოხმარდეს.

ოთარანთ ქერივის ხუთი ქისა არის არა მხოლოდ შრომისმოყვარეობის, არამედ ზნეობრივი სიმტკიცის, ეკონომიკური წინდახედულობისა და მორალური პასუხისმგებლობის ამონხაზოულობა. ის ევასწავლის.

რომ ფული, შრომით მოპოვებული და მიზანმიმართულად გამოყენებული, შეიძლება იქცეს არა ჭუჭყად, არამედ საზოგადოებისთვის და ოჯახისთვის სასიკეთო იარაღად.

ოთარაანთ ქვრივის საპირისპირო მაგალითია ილია ჭავჭავაძის სატირული ნაწარმოების „კაცია-ადამიანის?“ მთავარი პერსონაჟი, ლუარსაბი, რომელიც სრულიად უყურადღებოდ ექცევა თავის ქონებას.

1. უვიცი და ზარმაცია — ლუარსაბი უგულვებელყოფს მინის მუშავობას და ფიქრობს, რომ თავადის მდგომარეობას მხოლოდ ფუფუნება შეეფერება. იგი არ ცდილობს თავისი მამული გააუმჯობესოს ან სწორად მართოს. მისი „სასახლე“ და მამული გაპარტახებულია, რადგან არავინ ზრუნავს მათ მოვლაზე.

ნაწარმოებში ვაწყდებით ეკონომიკურ დაღმასვლასაც — მისი დაუდევრობის გამო, ქონება თანდათან იფლანგება, რადგან მას არ შეუძლია ფინანსურის სწორად განკარგვა.

„კარგი რამ იყო თავად თათქარიდის სახლ-კარი. წარმოიდგინეთ შუა კახეთის პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცუმული ადგილი და იმ ადგილის შუაგულსა — ორსართულიანი სახლი ქვითკირისა. აი, ის სართულები რა ფერისა იყო: ქვეშ იყო მარანი, წალმით დახურული, და იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყავნილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ. მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებისა პეტამაშობდა. კარგა მანძილზედ კიდევ ფიცრულის სათორნეც იდგა, იმას აქედამ ხულა, რომელსაც ზედ ჰქონდა მოდგმული ცალთვალა სასიმინდე, ერთი უბადრუეკი რამ და მგლოვიარე. ბაღჩაც იყო, ლობით გავლილი. ლობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს, მოჩანდა ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ ნამოღებული და ნამოხრილი, თითქო გრილოში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერსავით ნეკრესის ქარის ტკივილებს უკერად ისე წამოხრილი და დალრეჯოლი შეუკავებათო. ეზო ამ ცხე-დარბაზისა, სიგრძეზედ თუ სიგანეზედ, კარგა ფართოდ იყო გაზიდული. იმას ერტყა გარშემო ძველი ტყერუშული ღობე, რომელიც ზოგიერთთვან გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!.. ამის პატრონს ჰყავს ოცი კარგად გაკეთებული კომლი კაცი, ასე რომ ათ ურმამდინ საბერო ებმებოდა, ცხვარი ბლომად და ასიოდეც ცხენი, რომელიც ყმაზედ ნაკლები არ არის განათლებულ მებატონისათვის. ეს სულიერი ქონება. ეხლა უსულო ჩამოვთვალით: ორი მოზრდილი ვენახი და ას-ორმოც-და-ათი დღის სახნავ-სათესი. ეს ქონება, ყმებიდგან დაწყებული ცხენამდინა და მინამდინა, იმის ხელში, — ვინც გამოყენება იცის, — კა ლუკმა არის. მაშ რაღად სდგას ეგრე ცუდად? მკითხავს გაკვირვებული მკითხველი. იმიტომ, რომ ქართველია, —



## თათია თოდუა

მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით.“

როდესაც ვსაუბრობთ თემაზე: ეკონომიკური კონცეპტები ქართულ ლიტერატურაში, მასშენდება გენიალური ფილიპე გოგიჩაშვილის პუბლიცისტური სტატია „ჩვენ და ცხოვრება“, სადაც კარგად არის ჩამოყალიბებული საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის განმაპირობებელი ეროვნული ცნობიერების ასპექტები. „ჩვენს ეკონომიკურ სისუსტეს მრავალგვარი მიზეზი და საფუძველი აქვს, მაგრამ თუ მათ სათითაოდ დავკვირდებით, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა ამ კერძო მიზეზებს ერთი მთავარი, ფირთო შინაარსისა და უფრო ზოგადი მნიშვნელობის გარემოება შეიცავს. ეს გარემოება არის შემდეგი: ქართველობა, თავის პრატექციულ საქმიანობითა და შინაგანი ფსიქიკით, დღესაც ვერ შეწყობია და ვერ შეგუებია თანამედროვე მოქალაქეობრივ ანუ კაპიტალისტური ცხოვრების აზრსა და მოთხოვნილებას. წესი ჩვენი საქმიანობისა და ხასიათი ფსიქიკისა იმგვარია, რომ სრულებით არ შეესაბამება კაპიტალისტურ დროის არც საქმიანობასა და არც ფსიქიკას.“

ამრიგად, ფ. გოგიჩაშვილი თავის პუბლიცისტიკაში აყალიბებდა საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის განმაპირობებელ ძრითად მიზეზებს, რომელიც რუსეთის კოლონიური რეჟიმით იყო გამოწვეული. კავკასიის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც სიფლის მეურნეობის განვითარება მიმდინარეობდა არა ეროვნული ბურჯუაზისა და მკვიდრებით, არა კაპიტალიზმის გზით, არამედ სხვა ერების „მეთვალყურეობის“ ქვეშ, რამაც საბოლოოდ ძირი გამოუთხარა ქართულ ეროვნულ მეურნეობას.

ქართული ლიტერატურა ეკონომიკური კონცეპტების მრავლისმეტყველ ანარეკლს წარმოადგენს, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს, შეაფასოს სხვადასხვა ისტორიული ეპოქის სოციალური და ფინანსურული რეალობება.

ლიტერატურა გვახსენებს, რომ ეკონომიკა მხოლოდ ფინანსური მაჩვენებლებით არ განისაზღვრება — ის ადამიანების ცხოვრების სტილს, მორალსა და ურთიერთობებსაც მოიცავს. იმ პერიოდში, როდესაც ოთარაანთ ქვრივი შრომისა და პატიოსნებით მოპოვებული ქისით გამოიჩინდა, დღეს სოციალური პასუხისმგებლობა და ფინანსური ეთიკა კვლავინდებურად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ლიტერატურული პერსონაჟები, მათ შორის ითარაანთ ქვრივი, მთავავაგონებები, რომ ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად, მთავარი ლირებულებები — შრომა, სამართლიანობა და თანადგომა — შეუცვლელი რჩება.

ამრიგად, ქართული ლიტერატურა არა მხოლოდ წარსულის ეკონომიკური პრობლემების ანალიზის საშუალებას გვაძლევს, არამედ თანამედროვე საზოგადოებისთვის მიმართულების მაჩვენებელიცაა.

### დასანაო შეცდომები

ქალბატონ ეთერ ხომიზურაშვილს 2021 წელს შეუდგენია და გამოუცია საბავშვო ლექსების მცირე ანთოლოგია, – სახელწოდებით – „იზარდე, მწვანე ჯეჯილო.“

წიგნის შედგენისა და გამოცემის მიზანი კეთილშობილური იყო, – ბავშვებს, რომ უყვარდეთ სამშობლო, მშობლები, და-ძმანი, უყვარდეთ სწავლა, შრომა, თამაში.

62



მაგრამ, დასანანია, კეთილის მსურველს მოსვლია უნცბლიერ შეცდომები. მაგალითისთვის, ჩემს ლექსებს არ აწერია ჩემი სახელი და გვარი, ეს ლექსებია: „ოქროს თევზი“ – გვ. 41, „უშიშარი ყურშა“ – გვ. 42; „მეგობრები“ – გვ. 50; „მამულს“ – გვ. 66.


მხოლოდ, ჩემს სამ ლექსს აწერია ჩემი სახელი და გვარი, – ნუნუ ძამუკაშვილი. „ზურია და მურია“ – გვ. 26; „გაიპარა ზამთარი“ – გვ. 26; „რა კარგია“ – გვ. 38.

ხოლო, ჩემს ლექსს – „მზე, წვიმა და ყაყაჩო“ მიწერილი აქვს ზინა სოლომნიშვილი, გვ. 23; ლექსს – „გის უამბობს ზღაპარს“, გვ. 48, – ნანა მახიტაშვილი.

სამწუხაროა, რომ წიგნი დაგვიანებით, 2024 წლის აგვისტოსლა მოვიდა ჩემთან.

მინდა, რომ ამ წიგნის მკითხველი შეცდომაში არ შევიდეს და, იცოდეს – ვისი, რა ლექსია მასში მოთავსებული.

ცუცუ ქამუკაშვილი



შოთა რუსთაველი.  
მხატვარი რეზო ადამია



## აუცილებელი ცხოვრების ქონია

### სერგო ასლანიშვილის დაპატიჟის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა

თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის დამარსებლისა და თელავის საპატიო მოქალაქის, სერგო ასლანიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა თელავის ისტორიულ მუზეუმში გაიხსნა.

გამოფენის გახსნას, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სერგო ასლანიშვილის ოჯახის წევრები, მისი მოსწავლეები და ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის ამჟამინდელი მოსწავლეები ესწრებოდნენ.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ფიქრია ყუშიტაშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა სერგო ასლანიშვილის როლს თელავის სახელოვნებო ცხოვრებისა და კულტურის განვითარებაში.

სერგო ასლანიშვილი, მის მიერ 1962 წელს დაფუძნებული სამხატვრო სკოლის დირექტორი 2006 წლამდე იყო, თელავის საპატიო მოქალაქეობა კი 2009 წელს მიენიჭა.

63



ოლქი, №1 2025



\* \* \*


თებერვალში, თელავის ისტორიულ მუზეუმში, ნატკორის ადრექტისტიანული ტაძრის არქოლოგიური კვლევის შედეგების გაცნობის მიზნით, შეხვედრა გაიმართა.

ნატკორის არქეოლოგიური კვლევის ისტორიულ და წყაროთმცოდნებით საკითხებზე საქართველოს უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, პროფესორმა მანანა სანაძემ ისაუბრა, ნატკორის ტაძრის გათხრების პროექტსა და მნიშვნელობაზე კი პროფესორმა დავით ბერიკაშვილმა.

გათხრების შედეგად ნაპოვნი არტეფაქტები საზოგადოებას არქეოლოგმა გიორგი მწყერაძემ გააცნო.

შეხვედრას, ეპარქიის სამღვდელოებასთან და აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითთან ერთად, თელავის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ანდრიაშვილი დაესწრო.






გარისკველავეთ - რესონაციულის გენის შეღლამნობა,  
სამუარი. 2024



ნათელისა და ბრტყლის გარემოცვაშისა სამუარი და  
გენი. 2024



მოთა რესონაციული, კოსმოური ნათება გენისში. 2024



გარისკველასინირაველება რესონაციულის კოსმოური  
პანორამი. 2017




კოსმოსის მნიშვნელობა, 2017



მარადიოული ცოცხალი პლანეტაა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. 2024



სიერცის მეხსიერებაში, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის უხელავი პორტრეტი. 2024




შედევრი „ვეფხისტყაოსნი“ კოსმოსის ვარსკვლავების გრძილი შობილი. 2024




რუსთაველის შემოქმედებითი გვერდის წყარო - გარემო.  
2024



რუსთაველი კოსმიკურ მითლიანობაში.



ილიასტრაცია „ველებისტებასნის“ ცხოვრებიდან. 2021



სტეფანი, დარიას და პარმატაგან დევნილი გვერდი. 2024

